

საქართველოს სტილიოთეკა




1239
2007



ISSN 1512—0880

№1 2007



რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ.: 93-26-82

მნიშვნელოვანი

შედეგად

საბიბლიოთეკო

კვირეული

განიხილეთ

30 ნაწიდიდან

10 მარტამდე.

ქურნალის რედაქცია:
ადექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თალნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე
- კომერციული დირექტორი
გუდნარა სცურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორექტორული მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი

ინსტანსიამ „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის იდია ქავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ქურნალი გაეცემის წელიწადში ოთხჯერ

ნომერი იგეგმება საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს ბიბლიოთეკა – 2007, №1
შინაარსი:

რეფორმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგი.....	4
ისტორიის ფურცლებიდან	
ალექსანდრე ლორია – საბიბლიოთეკო საქმის განვითარება მეორე მსოფლიო ომამდე.....	7
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინები ქართულში.....	11
ღირსეული წინაპრები	
ირინე აბესაძე, ირინე სარუხანოვა – მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურული ცხოვრების მოზაიკა..	16
კორესპონდენციები	
ლუიზა ქუმელაშვილი – ღიმილის საღამო.....	22
ნანა ფირცხალავა – სტუმარი შორეული ქვეყნიდან.....	22
გულიყო თომაძე – ლიტერატურული მართონი – წარმატებული პროექტი.....	24
თინა კობაური – რევაზ ინანიშვილის საღამო.....	25
მოსაზრება	
ქეთევან ხიზანიშვილი – კითხვა გონებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ფიზიკური ვარჯიში სხეულისათვის.....	26
ნინო კაპანაძე – დავბრუნდეთ წიგნებთან.....	28
იუბილე	
ზეინაბ ჟიჟილაშვილი – ორი კოლეგის 100-100 წელი.....	29
ივლიტა ერიაშვილი – თამარ მაჭავარიანი – 100.....	31
ბიბლიოთეკარის დასახმარებლად	
ცისანა წერეთელი – საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამედროვე საბიბლიოთეკო სისტემები.....	35
რეცენზია	
თემურაზ ქურდოვანიძე – გულის გადახსნა, ანუ მრავალსახეობის ერთიანობა.....	40
ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა	
გურამ თავნიაშვილი – პოეზიით სულანთებული.....	43
ინფორმაცია	
„მე სიყვარულით მოვედი თქვენთან“.....	45
ახალი ეთნოგრაფიული ნარკვევი.....	46
კაკკასიელთა და ქართველთა ეთნოგრაფიული კვლევის მეცნიერული შედეგები.....	47
მოგონება	
ნანა კანდელაკი – მხოლოდ ერთხელ.....	48
ჩვენი შემოქმედება	
ლამარა სიხარულიძე – სევდითა და იმედით.....	51
პალიტრა	
ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე – „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“.....	54
კონწარას კლუბი	
კონწარა – წინ – უკნისაკენ!.....	57
ნეკროლოგი	
მძიმე სინანულის განცდით - ზეინაბ ჯაფარიძე.....	60

83

Библиотека Грузии № 1-07
Содержание

Реформа и культурно-просветительная сфера.....4

Страницы истории

Александр Лория – Развитие библиотечного дела до начала Второй мировой войны.....7

Терминологические изыскания

Бадри Цхададзе – Палеографические – книговедческие термины в грузинском языке.....11

Заслуженные предшественники

Ирина Абесадзе, Ирина Саруханова – Мозаика культурной жизни Кутаиси в начале 20-го века.....16

Корреспонденция

Луиза Кумелашвили – Вечер улыбки.....22

Нана Пирцхалава - Гость из долёкой страны.....22

Гулико Томадзе - Литературный марафон.....24

Тина Кобаури - Вечер па мяти Реваза Инанишвили.....25

Соображения

Кетеван Хизанишвили - Чтение для души.....26

Нино Капанадзе – Вернемся к книгам.....28

Юбилеи

Зейнаб Жижилашвили – По 100 лет двум коллегам.....29

Ивлита Эриашвили – Тамаре Мачавариани - 100 лет.....31

В помощь библиотекам

Цисана Церетели _ Современные библиотечные системы информационного обеспечения.....35

Рецензии

Теймураз Курдованидзе – Сердечный разговор и многогранное единство.....40

Библиографический обзор

Гурам Такниашвили – Души, воспламененные поэзией.....43

Информация

Я с любовью пришел к вам.....45

Новый этнографический очерк.....46

Результаты этнографического исследования кавказцев и грузин.....47

Воспоминания

Нана Канделаки – Только однажды.....48

Наше творчество

Ламара Сихарулидзе – С печалью и надеждой.....51

Палитра

Натела Натлиашвили-Квиникадзе – “Мой Тбилиси и Пиросмани”.....54

Клуб Концары


Концара – вперед – к прошлому!.....57

Некролог

С чувством глубокого раскаяния – Зейнаб Джапаридзе.....60

Georgian Library N 1-07 Table of Contents

Reform and Cultural-Educational field.....	4
From The History Pages	
Alexandre Loria - The development of library affair before The World War II.....	7
Terminological Searches	
Badri Tstkhadadze - Paleographical-book-learning terms in Georgian.....	11
Worthy ancestors	
Irine Abesadze, Irine Sarukhanova - The mosaic of Kutaisi cultural life at the beginning of 20-th century..	16
Correspondences	
Luiza Kumelashvili - The evening of smile.....	22
Nana Pirtskhalava - The guest form remote country.....	22
Guliko Tomadze - Literary Marathon-Successful project.....	24
Tina Kobauri - The evening of Revaz Inanishvili.....	25
Point of view	
Ketevan Khizanishvili - Reading for mind is as important as physical training for body.....	26
Nino Kapanadze - Let's return to books.....	28
Jubilee	
Zeinab Zhizhilashvili - 100-100 years of two colleagues.....	29
Ivlita Eriashvili - Tamar Machavariani _ 100.....	31
To help librarian	
Tsisana Tsereteli - The modern library systems of Information providings.....	35
Review	
Teimuraz Kurdovanidze - The unity of obligation.....	40
Bibliographical review	
Guram Takniashvili - Flamed by poetry.....	43
Information	
I came to you with love.....	45
New ethnographic sketch.....	46
The results of ethnographic research of Caucasians and Georgians.....	47
Memory	
Nana Kandelaki - Only once.....	48
Our creations	
Lamara Sikharulidze - With sadness and hope.....	51
Palette	
Natela Natelashvili-Kvinikadze - "My Tbilisi and Pirosmeni".....	54
Kontsaras club	
Kontsara - Forward - Back!.....	57
Obituary	
With feeling of hard regrets.....	60



ჩეფორმა და კულტურულ-საბანეანოლოგიური დარგი

რეფორმა სამოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ხანგრძლივ პროცესში აუცილებლად გამოვლინდება ადამიანთა ძალისხმევით – წინასწარგანმზარხულად, გამიზნულად, თუ უნებლიედ, თავისთავად, შესატყვის მოვლენათა და სიტუაციების ობიექტურად წარმოქმნის შედეგად. ეს ყოველ დროში იყო დამახასიათებელი კაცობრიობისათვის, მაგრამ სხვადასხვა იყო გატარებული რეფორმების მიმართ ადამიანების დამოკიდებულება, მათი შეფასება. რეფორმის ჩატარება მოითხოვს დიდ ძალისხმევას, წინდახედულობას, შეწონილობას, თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, მით უმეტეს, როდესაც ის ცხოვრების პირდაპირი კარნახით, დაჩქარებული წესით განხორციელებას საჭიროებს.

რეფორმა ყოველთვის რაღაც პრობლემის გადაჭრასთანაა დაკავშირებული. პრობლემა რთული თეორიული თუ პრაქტიკული საკითხია, რომელიც გადაწყვეტას, შესწავლას მოითხოვს. პრობლემა რომ დაძლიო, უნდა იცოდე, რას წარმოადგენს ის, საიდან მოდის, რა ნიადაგზეა აღმოცენებული, თუ გვინდა მისი დაძლევის გზები და საშუალებები გამოვნახოთ.

პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობას, როგორც წესი, უმეტესწილად, ექსპერიმენტი ახლავს. არის ხელოვნური და ბუნებრივი ექსპერიმენტები. ორივე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამის შემთხვევაში, მაგრამ ამ დროს ერთია მთავარი – ექსპერიმენტი თეორიულად მიღებული შედეგის პრაქტიკულად დადასტურება და ყოველად უამროა ჯერ ექსპერიმენტი ვატაროთ, და მერე ვიფიქროთ თეორიულ დასაბუთებაზე, რაც არაერთხელ მომხდარა და ხდება ჩვენში – ჯერ ვაკეთებთ, გადაწყვეტთ და მერე ვფიქრობთ.

რეფორმის შეფასების კრიტერიუმი პროგრესია. რეფორმა თუ პროგრესი არ ემსახურება, ის თუ პროგრესი არ იწვევს და განვითარების სტიმულირებას არ ახდენს, ამგვარი რეფორმა სამო-

გადობისათვის მიუღებელია, თუმცა სხვადასხვა დროს არაერთხელ მომხდარა, რეფორმა არა თუ პროგრესის, არამედ პირობით – უარყოფითი მოვლენების საფუძველი გამხდარა. ზოგ შემთხვევაში დღეს ჩვენ თავად ვართ ამის მოწმენი.

პროგრესს ერთმნიშვნელოვანი გაგება აქვს. ის ლათინურად წინსვლას, დაბლიდან მაღალ ღონებზე, მარტივიდან რთულისაკენ გადასვლას გულისხმობს. მართალია, წინსვლა და გართულება, ზოგ შემთხვევასთან დაკავშირებით, ჩვენთვის შეიძლება არ იყოს სასარგებლო და მისაღები, როგორც, მაგალითად, დაავადების პროგრესი, მაგრამ თვითონ მოვლენისათვის ეს გაძლიერება, წინსვლაა, ამაღლებული ღონება. ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სამოგადოებაში მომხდარ პროგრესს, რაც ყოველთვის გაუმჯობესებას, უკეთესობას, გამოსწორებას ნიშნავს, ის სამოგადოების ცხოვრების ფორმების თვისებრივი სრულყოფისკენაა მიმართული.

რეფორმა თავისებური მასშტაბებით, ფორმებითა და მეთოდებით ხორციელდება. არსებობს მისი ჩატარების ევოლუციური და რევოლუციური გზები. ეს უკანასკნელი, რომელიც “სტრუქტურული რეფორმის” სახელითაა ცნობილი, რევოლუციური განვითარების აუცილებელი პირობაა. არც ერთის უგულვებელყოფა არ შეიძლება, გარკვეულ სიტუაციასა და პირობებში კაცობრიობა ხან რომელს მიმართავდა და ხან რომელს, ისიც ზოგჯერ ამართლებდა, ზოგჯერ ვერა, და ამის მიხედვით ან პროგრესს ვღებულობდით, ან რეგრესთან ვგჭონდა საქმე. სწორედ ამიტომაცაა ესოდენ საპასუხისმგებლო რეფორმირება და მას გონების დიდი ძალების მოხმობა ჭირდება.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ადამიანის როგორც პიროვნული, ისე ყოველგვარი სოციალური მოვლენა ერთნაირად არ ექვემდებარება გარდაქმნებს – ზოგი რამ უფრო რთულად, ზოგი – შედარებით იოლად. არსებულ სამოგადოებრივ მოვლენათა შორის რე-

ფორმირებისათვის ერთ-ერთ ყველაზე ძნელსა და რთულს კულტურული და საგანმანათლებლო სფერო წარმოადგენს, რომელიც ადვილად არ ემორჩილება გარდაქმნებს.

კულტურა, მოგადად, მრავალ გაგებას შეიცავს – ღამუშავება, მოვლა, განათლება, განვითარება და სხვ. ის ადამიანის სოციალიზაციისა და სამოგადოების ჰუმანიზაციის დონეს გამოხატავს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს კულტურის ამ დონეს. რაც შეეხება განათლებას, რომელიც მოგადი კულტურის შემადგენელი ნაწილია, არის სისტემა – ცოდნის, უნარ-ჩვევების, შეხედულებათა და რწმენის შემეცნებითი ძალებისა და პრაქტიკული მომზადების დონის ერთობლიობისა. მის ორგანულ ნაერთს წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ის გათვალისწინებულია ხალხის ყველა ფენისათვის, უფართოესი მასისათვის და არა რომელიმე მცირე თუ დიდი ჯგუფისათვის, ელიტარული პიროვნებებისა თუ კასტისათვის. ეს არის დონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანების სულიერ აღზრდა-განათლებას, კულტურულ დასვენებას, გონებრივი შესაძლებლობების მზდას, შემოქმედებითი ძალების გაძლიერებას, თავისუფალი დროის ორგანიზაციას, ესთეტიკური გემოვნების სრულყოფას და ეთიკური ნორმების გამომუშავებას. ამისათვის იღვწიან სახელმწიფოში ყველაზე კომპეტენტური დაწესებულებები: კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები და დასვენების პარკები, მუზეუმები, თეატრები, რადიო, კინო, ტელევიზია, სხვადასხვა სანახაობითი ორგანიზაციები და ა.შ. ყველა ისინი ერთმანეთს ავსებენ და, ცალკეულად თუ მთლიანობაში, პოზიერ ნიადაგს ქმნიან სამოგადოების სულიერი განვითარებისათვის. მთელი ეს საქმიანობა ყველა ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ბრუნვის საგანია და სხვადასხვაგვარი საშუალებითა და სისტემით ხდება მისი მართვა, მეთვალყურეობა, კონტროლი თუ ხელშეწყობა, თვითდინებაზე ის არასოდეს ყოფილა და არც ახლა არის, ოღონდ სხვადასხვანაირია მისდამი დამოკიდებულება და აღიარება. რაც უფრო მაღალკულტურული, მაღალცივილიზებულია ქვეყანა, მით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა თუ სამოგადოებისაგან კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

ყოველივე ეს ასეული წლებით ყალიბდება, ტრადიციად იქცევა, თანდათან ერგება არსებულ ყოფიერებას, ცხოვრების ნირს, ინერგება მნე-ჩვეულებად, და ამგვარი მყარი საფუძვლის ერთბაშად გარდაქმნა რეფორმების გატარების გზით მეტად სარისკო და ურთულესი პროცესია. შეიძლება მან არა თუ პროგრესი, არა თუ სამოგადოების სრულყოფის წარმოქმნა გამოიწვიოს, არამედ ქაოტურობა და არე-დარევა შექმნას.


კულტურულ-საგანმანათლებლო სფერო სწორედ ამგვარ კატეგორიის მოვლენებს განეკუთვნება და, ამდენად, მის მიმართ რეფორმატული დამოკიდებულებაც განსაკუთრებულ წინდახედულებას, გონივრული ძალების მოხმობას, საქმის დრმად შესწავლასა და მომავლის განჭვრეტას მოითხოვს, რაც უეჭველად უნდა ითვალისწინებდეს ადრინდელ გამოცდილებას.

რა მდგომარეობაშიცაა ამჟამად კულტურულ-საგანმანათლებლო დარგი, გვაძლევს უფლებას, ერთგვარი შემოთება გამოვხატოთ და ბევრი რამ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის მშენებლობა, მისი სრულყოფილი სისტემის შექმნა ხანგრძლივი და ძნელადწასამართავი პროცესია, მისი სტრუქტურები მძიმედ ყალიბდება, დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვს, მასზე უსაზღვროდ დიდი სახსრები იხარჯება, და მისი ერთბაშად რეფორმირება-გარდაქმნა, გადაკეთება-გადასხვაფერება იწვევს, ერთი მხრივ, ტექნიკური ხასიათის წინალობებს, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიური ბარიერების წარმოქმნას.

კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროდან რეფორმების დროს მხოლოდ ბიბლიოთეკები რომ გამოვარჩიოთ, მაინც თავსაყრელად გავგინჩნდება პრობლემა, არაა საეჭვო, რომ მრავალ ძნელად გადასალახავ წინალობას წავაწყდებით, რაც თითქმის გადაულახავ დაბრკოლებებს შეგვიქმნის. სწორედ ამის გათვალისწინებაა საჭირო, უპირველეს ყოვლისა.

საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე რეფორმირება, რომელიც შენიღბულად “ოპტიმიზაციის” სახელს ატარებს, სინამდვილეში არც ოპტიმიზაციას ისახავს მიზნად და არც რეფორმის შედეგად მიღებულ რაიმე პროგრესს. რაა დასამალი? – ყველაფერი, რაც ამ მიმართულებით კეთდება, უსახსრობის ბრალია. ხელისუფლება ე.წ. “ოპტიმიზაციის” მიმართავს.



ობიექტურად, ოპტიმიზაციის პროცესი ნამდვილად ჩასატარებელია. მართლაც ბევრია საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა, შეიძლება სამტატო განაკვეთების შემცირებაც საჭიროა, მაგრამ... სოფელი უბიბლიოთეკოდ? თავმოყვარე, სოფლის პატრიოტ მოსახლეობას არ ეკადრება ეს. დღეს საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების თავმოყრა კი არ არის, არამედ წიგნებისა და ინფორმაციის, კულტურული სულისკვთების აღმძვრელი, ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენის, სამოგადოებაში ურთიერთობის დამკვიდრების ორგანოა. უკვე დიდი ხანია, იუნესკომ საყოველთაოდ გააცხადა დეკლარაციაში: “ყოველი საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკა დღეს საინფორმაციო ცენტრს წარმოადგენს”. ეს სულ პრიმიტიულად რომ წარმოვიდგინოთ, ნიშნავს, სოფლის ბიბლიოთეკაში იყოს კომპიუტერი, დოკუმენტების რესურსები და პროფესიონალი ბიბლიოთეკარი: ხდებოდეს მოსახლეობის ყოველგვარი ინფორმაციით უზრუნველყოფა, დახმარება პიროვნების პირადი საქმიანი დოკუმენტების მოსაწესრიგებლად, მიღებული ინფორმაციით დაევალიანება, რომ არაფერი ვქთვათ იმ ტრადიციულ ღონისძიებებზე, რაც აქ ტარდება – ახალი წიგნების, ჟურნალ-გამეტების მიწოდება, ლიტერატურული პრემენტაციები, განხილვა-გარჩევები, საბიბლიო-საიუბილეო საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და ა.შ. ეს არის დღეს ბიბლიოთეკა, და რამდენად მართებულია, სოფელში არც ერთი ბიბლიოთეკა არ იყოს? ცხადია, დღევანდელი ჩვენი ბიბლიოთეკების ამჟამინდელი ღონე ვერ იქნება ასეთი, მაგრამ აქეთუენ უნდა მივიწრაფოდეთ, როგორადაც ამას ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში აკეთებენ, და არა განუკითხავად ვაუქმით ბიბლიოთეკები, მერე კი დავიმშვიდოთ თავი იმით, რომ მათი პრობლემები გადაწყვეტილია. ზოგი საქმეში ნაკლებად ჩახელული ჩინოვნი დაუფიქრებლად გეთავაზობს – სოფლის ბიბლიოთეკები სასკოლო ბიბლიოთეკებს შეუერთოთ, ან პირიქით. ამგვარი რამ იყო და ახლაც სადღაც-სადღაც არის დაბალგანვითარების მხარეებში, ისიც ძალიან შემღულულად; გვხვდებოდა ის შუა საუკუნეებსა და განსაკუთრებით კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე სოფლებსა და პატარ-პატარა დაბა-ქალაქებში, მაგრამ

ეს არასოდეს არ ამართლებდა და არც ახლა ამართლებს, თუ რატომ და რისთვის, ამის ახსნა-განმარტება უხერხულია, თუმცა ალბათ, თავის დროს ესეც საჭირო გახდება.

ზოგი ამტკიცებს, რომ ეს აქტი “ოპტიმიზაციის” ანუ რეფორმის შემადგენელი ნაწილია და დადებით მოვლენას წარმოადგენს. ეს ისეთივე აბსურდია, ამტკიცო: ცული სჯობს კარგსო. თუ რატომ სჯობს ის, რაც არის იმას, რაც ადრე იყო, არავინ იცის. ჩვენთვის სავსების მარტივადაა გასაგები – ქვეყანას არ გააჩნია საკმაო სახსრები. ოღონდ საჭიროა აშკარად გაცხადდეს, ეს უნდა ითქვას, რომ ეს იძულებითი ღონისძიებაა, ღროებით ხასიათს ატარებს და არა ქვეყნის საბიბლიოთეკო პოლიტიკას წარმოადგენს. საქმე იქამდე მივიდა, უკვე კანონსაც არაფრად აგდებენ. გამგებლის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, ბიბლიოთეკას ხურავენ, თვითდაფინანსებამე გადასვლას სთავაზობენ (ახალციხის სარაიონო ბიბლიოთეკის მაგალითი) და ამით მომხმარებელი იძულებული ხდება მომსახურებისათვის ფული გადაიხადოს, როდესაც კანონით ეს აღკვეთილია.

ხელისუფლებისაგან თვითნებობასა და პიროვნული შეხედულებებით მოქმედებას ყოველ ნაბიჯზე ვაწყლებით, განსაკუთრებით რეგიონებში. ეს კი ზოგჯერ დიდი მიაჩნის მომტანია საზოგადოებისათვის. თუ ასე გაგრძელდა, გაგრძელდება მარალის ოდენობის მრდაც. მაგალითად, გაურკვეველია, სად მიდის გაუქმებული, შეერთებული, შეკვეცილი ბიბლიოთეკების ფონდები, მათი ინვენტარი, აქსესუარი? საერთოდ, არის კი რაიმე სახელმწიფოებრივი ღონის დოკუმენტები ამის მოსაგვარებლად?

საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებით მრავალი საკითხი წამოიჭრება, რომელიც გასარკვევი, დასადგენი, შესასწავლი, გადასაწყვეტია. უპირველეს ყოვლისა, საბიბლიოთეკო სისტემა მოითხოვს მოწესრიგებას – რას ვქმნით, როგორ ავაგოთ ქსელი, რა ნორმატივები გამოვიყენოთ, როგორი უნდა იყოს სისტემის სტრუქტურა, ჩვენი საბიბლიოთეკო კონცეფცია, საბიბლიოთეკო ნაგებობების პირობები, მათი დისლოკაცია, როგორ უნდა უზრუნველყოთ ბიბლიოთეკები სპეციალისტებით, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სამსახურებით; სავსებით მოიმალა ამ ბოლო დროს უმაღლესი კვალიფიკაციის



ახალგაზრდა ბიბლიოთეკარების მომზადებისა და მეცნიერული კადრების ხელშეწყობის საქმე, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიბლიოთეკის მუშაკების მიზნულ ხელფასებზე.

ჩვენს სისტემაში რეფორმა აუცილებელია, ამაზე ორი ამრი არ არსებობს, მაგრამ როგორი უნდა იყოს ის, როგორ განხორციელდეს, რას მიექცევს მთავარი ყურადღება, როგორ უნდა განხორციელდეს – ეს კი ნამდვილად სამსჯელო და საფიქრალია; ასე, ფაქტის წინაშე არ უნდა გვაყენებდნენ. სამწუხაროდ, საბიბლიოთეკო დარგზე სახელმწიფოებრივი ბელადმხედველობა და მართვა არ არის დაყენებული სათანადო დონეზე, არაფერს ვამბობთ სახელმწიფოებრივ მრუნევაზე. რაც მთავარია, ბევრი სპეციფიური საკითხი არა სპეციალისტების, არამედ ფუნქციონერების მიერ წყდება – ფაქტობრივად, ერთპიროვნულად და ვოლუნტარულად. უფრო მეტიც – დარგის სპეციალისტებს არაფერს ეკითხებიან ან მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე. საწყ-

ის ეტაპზე სპეციალისტებისაგან კონსულტაციების მიღების ცდები დრო და დრო იყო, მაგრამ მერე ამგვარი რამ აღარავის აინტერესებს: კარგი იყო, როდესაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან საკოორდინაციო საბჭო მოქმედებდა და შესაძლებელი იყო კოლექტიური ამრის შემუშავება და რეკომენდაციების შედგენა.

ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს ბიბლიოთეკების განვითარების სახელმწიფო სტრატეგია – პროგრამა, არ ვიცით, რას ითხოვენ ჩვენგან, ან ითხოვენ, საერთოდ, რამეს თუ სულაც არ ესაჭიროებათ ეს? ამგვარი დამოკიდებულება ვერ გახდება პროგრესის საწინდარი. თუ გვინდა საქმე ფეხზე დადგეს და განვითარდეს, დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები. ჩვენი ამრით, პირველი რიგის საქმეა, შეტანილ იქნეს სათანადო შესწორებები საბიბლიოთეკო კანონში და მიღწეულ იქნეს კანონის თანმიმდევრული და ბუსტი აღსრულება.

ისტორიის ფურცლებიდან

ალექსანდრე ლორია



საბიბლიოთეკო საქმის განვითარება მეორე მსოფლიო ომამდე პერიოდსა და შაერთიანულ შტატებში* (1920-1940)

უახლესი ისტორიის ეს ეტაპი, მიუხედავად ხანმოკლე პერიოდისა, აღსაყვება დიდი პოლიტიკური ძვრებითა და გარდაქმნებით. ხდება მევეთრი გამიჯვნა სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებს შორის. მძაფრდება იდეოლოგიური დაპირისპირება, რაც იწვევს წინასწარი ცენზურის შემოღებას, წიგნის გამოცემაზე პარტიული აპარატების ბელადმხედველობას, ზოგან ოფიციალურად ჩამოყალიბდა წიგნის აკრძალვა და “ამოღება”, ბიბლიოთეკების “წმენდა”, სახალხო ბიბლიოთეკები მთლიანად იდეოლოგიურ დაწესებულებებად გადაიქცნენ, მოქმედებაში ერთვება კითხვაზე ბელადმხედველობა, მკითხველის “გაძლოა”, კითხვის ხელმძღვანელობა. ყოველივე ეს წარმოშობს მოთხოვნილებას,

ბიბლიოთეკების საქმიანობა კანონიერების ჩარჩოებში მოექცეს. ჩნდება საჯარო და მასობრივი ბიბლიოთეკების ახალი კანონები და საკანონმდებლო აქტები.

ახალი კანონი მიიღეს ინგლისში (1919), ამავე წელს იქნა საბიბლიოთეკო კანონი მიღებული ჩეხოსლოვაკიასა და ფინეთში. 1920 წელს – ბულგარეთსა და დანიასში, შეღარებით გვიან – ესპანეთში. 1931, 1936 წლებში აქ ორი დეკრეტი იქნა მიღებული ბიბლიოთეკების შესახებ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ საჯარო ბიბლიოთეკების განვითარება ხდებოდა ამა თუ იმ შტატის კანონების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიცემოდა. ამ პერიოდში თითქმის ყველა მოწინავე ქვე-

ყანაში საბიბლიოთეკო საქმიანობა კანონით განსაზღვრულ ობიექტს წარმოადგენდა.

განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ევროპასა და აზიაში მას შემდეგ, რაც მთელ რიგ ქვეყნებში ფაშისტური დიქტატურა დაამყვიდრდა.

საბიბლიოთეკო კანონებმა, მართალია, რაღაც წილად გააუმჯობესა ევროპაში საბიბლიოთეკო საქმე, მაგრამ არა იმდენად, ამას რაიმე არსებითი წინსვლა გამოეწვია. ამგვარად იყო სწორედ ინგლისში. აქ დადებით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ თვითმმართველობის ორგანოებს ნება მიეცათ გაეხსნათ და დაეფინანსებინათ საგრაფოების ბიბლიოთეკები. 1925 წლიდან იწყება საგრაფოების ცენტრალური ბიბლიოთეკების გახსნა. მაგრამ სოფლის მოსახლეობა თითქმის საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე იყო დარჩენილი. შედარებით მეტად ექცეოდა ყურადღება სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. ინგლისის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესის ხელშესაწყობად. 1932 წელს ბრიტანეთის მეფეუმის ბიბლიოთეკას ახალი ნაგებობა მიუშენეს, ძირითადად უცხოეთის პრესაზე მუშაობისათვის.

საფრანგეთში ამ პერიოდში სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკების ქსელი ვერ ასრულებდა თანამედროვე მოთხოვნილებებს. მხოლოდ კლერიკანული ბიბლიოთეკები აქტიურობდნენ, რომლებმაც 1934 წელს თავიანთთვის ცენტრიც შექმნეს, 1939 წელს გამოსცეს სახელმძღვანელო; სავსებით განსხვავებული პირობები ჰქონდა სამეცნიერო ბიბლიოთეკებს. 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში საგრძნობლად გაფართოვდა მათი საქმიანობა; მევიდრ ნიადაგზე იდგა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, 1934 წელს ვერსალში ექსპლოატაციაში შევიდა რეასართულიანი დამატებითი შენობა წიგნსაცავისათვის, გაიხსნა ახალი საცნობო დარბაზი, გაიმართა ფართობი გამოფენებისათვის. 1895 წლიდან დაწყებული, შეერთებული კატალოგების გამოცემა 1935 წლისათვის 22 ტომად იქნა გამოქვეყნებული და საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებლების ფონდები სრულად მოიცვა.

განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქმნა გერმანიაში. პირველ მსოფლიო ომში დამარ-

ცხებამ, ეკონომიურმა კრიზისმა, სულიერმა ღებრესიამ ძლიერ შეაფერხა საბიბლიოთეკო საქმის განვითარება; ხელისუფლების მიერ შემუშავებული რევანშისტული პოლიტიკა განსაკუთრებით სკოლებისა და ბიბლიოთეკებისაგან მოითხოვდა მხარდაჭერას. 1933 წელს დაარსდა პროპაგანდის სამინისტრო, რომელსაც ყველა ბიბლიოთეკა დაექვემდებარა.

სახელმწიფოს სათავეში ნაცისტების მოსვლა აღინიშნა უამრავი წიგნის დაწვით, პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერთა და შემოქმედთა დევნით, ბიბლიოთეკების “წმენდით”. დელაქალაქში, უნივერსიტეტის წინ ქუჩაში მართავდნენ წიგნების კოცონებს. 1933 წელს მხოლოდ ლეიპციგში – მესტამბეთა ცენტრში – 500 ათასამდე წიგნი მისცეს ცეცხლს. ბიბლიოთეკების საქმიანობას პოლიცია მეთვალყურეობდა. დაიხურა პროფკავშირული ბიბლიოთეკები. აგრძალული იყო ბიბლიოთეკებში ებრაულ და მოგ სხვა ენებზე გამოცემული წიგნების დაცვა. ფაშისტებმა თავიანთ სამსახურში 20 ათასი ფასიანი ბიბლიოთეკა ჩააყენეს.

გერმანიის სამეცნიერო ბიბლიოთეკებიც ვერ გადაურჩა რეპრესიებს, მაგრამ რადგანაც მათ მასების ფართო ფენებთან არაერთი კავშირი არ ჰქონდათ. მათზე შედარებით შერბილებული იყო მედამხედველობა.

გერმანიის სამეცნიერო ბიბლიოთეკები 30-იან წლებში ფონდების სიჭარბის გამო ფართობის სივიწროვეს განიცდიდნენ. ამიტომაც სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დაკომპლექტების საკითხებს. გამოჩენილმა ბიბლიოთეკათმცოდნემ გეორგ ლეიმ მეცნიერულად დაასაბუთა ფონდების ყოვლისმომცველობის (სისრულის) უტოპიურობა. ეს იმ პერიოდში საყოველთაო პრობლემას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა ადოლფ მეიერმა სისტემატური კატალოგების განახლების თეორიებთან დაკავშირებით. გერმანელი ბიბლიოთეკარები ტრეპეტი და ეჰლსხეიბერი თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებდნენ სისტემატური კატალოგის უპირატესობას საგნობრივ კატალოგებთან შედარებით. ჩნდება მოთხოვნილება სამეცნიერო ბიბლიოთეკების კოორდინაციისა, რაც იწვევს ბზა-ს სისტემის მტკიცე საფუძვლებზე ჩამოყალიბებას.

ამგვარად, გერმანიაში უმძიმესი პოლიტიკუ-

რი და იდეოლოგიური პირობების მიუხედავად, ამ დროს ბიბლიოთეკების მოღვაწეთათვის სულაც არ ყოფილა “მეცდარი სემონი”. ისინი მოცემული სიტუაციის პირობებში ახერხებდნენ გადაერჩინათ გერმანული კულტურული მემკვიდრეობა, არ ერიდებოდნენ არალეგალურ მუშაობასა და აკრძალული წიგნების გადარჩენას, თუმცა ეს საქმიანობა ხშირად დიდი რისკის ფასად ხდებოდა.

მსგავსი მდგომარეობა იყო ფაშისტური რეჟიმის სხვა ქვეყნებში. იტალიის ბიბლიოთეკებიდან თითქმის მთლიანად განდევნეს ანტი-ფაშისტურად მოამბოვნე ბიბლიოთეკარები, გაანადგურეს არასასურველი ავტორები და მათი წიგნები, უარი თქვეს კლასიკური მემკვიდრეობის დიდ ნაწილზე, თაროები ნაცისტური ლიტერატურით გადაივსო. მხოლოდ რამდენიმე პოზიტიური მოვლენა თუ შეიძლება აღინიშნოს ამ პერიოდში, როგორცაა, მაგალითად, 1935 წელს ფლორენციის ნაციონალური ბიბლიოთეკისათვის ახალი შენობის აგება. დამახასიათებელია ის, რომ ამ დროისათვის იტალიის ყოველ ოლქში ერთი მთავარი ეროვნული ბიბლიოთეკა არსებობდა. ამან გამოიწვია ის, რომ იტალიაში არ იყო ერთი ცენტრი, სადაც მთელი ნაციონალური ბეჭდური პროდუქცია მოიყრიდა თავს. ამ პერიოდში იტალიის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციებსაც ასრულებდნენ.

30-იან წლებში ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა მთელი ძალით გამოვლინდა ესპანეთში. ბიბლიოთეკის წიგნები აჭრელბულები იყო ათასგვარი მინაწერით ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. პოლიციამ სპეციალურად დააავალა ბიბლიოთეკებს, თვალყური ედევნებინათ იმ მკითხველთათვის, რომლებიც ეჭვიმტანილი იქნებოდნენ ასეთ ქმედებაში.

ასეთივე რეპრესიები მძვინვარებდა უზგრეთსა და ბულგარეთში. ცნობილია, რომ ბულგარეთში ასობით კულტურის მუშაკი იყო ციხეებში გამომწყვდეული, 374 კაცი ფაშისტური რეჟიმის დროს დახვრიტეს. 1920 წელს მიღებული საბიბლიოთეკო კანონმა სავსებით დაკარგა თავისი ძალა 1923 წელს. აქ მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა და მოხერხებულადაც იყენებდა ბიბლიოთეკებს თავის საქ-

მიანობაში.

დამაკმაყოფილებელი პირობები არსებობდა ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ ვერ შეეღწია ფაშიზმს, ამ მხრივ განსაკუთრებით სასურველ პირობებში იმყოფებოდა შვეიცარია. 1920 წელს ბერნში გახსნილმა სახალხო მოხმარების ბიბლიოთეკამ უდიდესი როლი ითამაშა ქვეყნად საბიბლიოთეკო საქმის მაღალ დონეზე აყვანისათვის. ამ ბიბლიოთეკას თითქმის ყველა ოლქში ფილიალი ჰქონდა გახსნილი, რომლებსაც ადგილობრივთან ერთად ფედერალური ხელისუფლებაც აფინანსებდა.

1921 წელს ბელგიაში სახალხო ბიბლიოთეკების საქმის შესწავლა მოეწყო. აღმოჩნდა, რომ ბევრ საეროებს არ ჰქონდა გახსნილი ბიბლიოთეკა, ხოლო ბევრგან, სადაც ის არსებობდა, სათანადო პირობები არ იყო მათი ნორმალური მუშაობისათვის. მიღებულმა საბიბლიოთეკო კანონმა დიდად შეუწყო ხელი საბიბლიოთეკო საქმის აღმავლობას. ამის შედეგად 1922-1923 წლებში საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა 1370-დან 2388-მდე გაიზარდა. ორგანიზებულ იქნა კურსები ბიბლიოთეკართა მოსამზადებლად. 1920 წელს ბრიუსელში გახსნილი საბავშვო ბიბლიოთეკა თანდათან აძლიერებდა თავის საქმიანობას. ამერიკელთა ხელშეწყობით ბელგიაში ერთმანეთზე მიყოლებით 10 საბავშვო ბიბლიოთეკა გახსნეს.

ჩეხოსლოვაკიაში 1919 წელს მიღებულმა კანონმა დიდად შეუწყო ხელი საბიბლიოთეკო საქმეს. ქალაქებში, სადაც 300 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, იხსნებოდა საჯარო ბიბლიოთეკები. 1937 წლისთვის ყველა მომრდილ დასახელებულ პუნქტში სახალხო ბიბლიოთეკა არსებობდა. შედარებით რთულად იყო საქმე სლოვაკიის მხარეში, მაგრამ აქ სახალხო საზოგადოება “მატიცა” აქტიურობდა, რომელიც სხვა კულტურულ საქმიანობასთან ერთად, ბიბლიოთეკებსაც ხსნიდა, გამოსცემდა ჟურნალს, გახსნა სპეციალური სკოლა ბიბლიოთეკარების მოსამზადებლად.

დანიაში საბიბლიოთეკო საქმე 1920 წელს მიღებულ საბიბლიოთეკო კანონს ეფუძნებოდა. შეიქმნა ქსელის სტრუქტურა, დადგინდა ბიბლიოთეკების დაფინანსების წესი, ახალი ბიბლიოთეკების დაარსების პირობები. აქ საბიბლიოთეკო საქმის მართვა და დაფინანსება საკმაოდ

მაღალ დონეზე იდგა.

ფინეთში საბიბლიოთეკო საქმის რეორგანიზაცია 1920 წლიდან დაიწყო, როდესაც სეიმმა მიიღო კანონი საბიბლიოთეკო საქმის სუბსიდიების შესახებ. 1929 წელს აქ საბიბლიოთეკო კანონიც ამოქმედდა.

ევროპაში შედარებით განსხვავებულ პირობებში იყვნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკები. ურთიერთკავშირების გაძლიერებამ, კონტაქტებმა შეერთებული შტატების ბიბლიოთეკებთან, ურთიერთგამოცდილების გაზიარების შედეგებით გაიოლებამ გამოიწვია მუშაობის მეთოდოლოგიის ერთიანი სისტემის შექმნა. მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სისტემა, ბიბლიოთეკებში მათი საქმიანობის უზრუნველყოფა, მოქმედი მეთოდები და ფორმები, მოწყობილობა, აქსესუარი, შრომის ტექნიკური პროცესების თავისებურებანი თითქმის ყველასათვის ერთნაირი გახდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნები თავიანთ ტრადიციებსა და თავისებურებებს სავსებით შეელიენ. მაგალითად, მთელ რიგ შემთხვევებში ნაციონალური ბიბლიოთეკების როლს ასრულებდნენ უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები (პოლონეთი, ჩეხეთი, იუგოსლავია), ზოგან აკადემიებისა და მუზეუმების ბიბლიოთეკები (ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია). უმეტეს ქვეყანაში ეროვნული ბიბლიოთეკების ფუნქციებს რამდენიმე ბიბლიოთეკა ასრულებდა. საერთოდ, 30-40-იან წლებში მთელ მსოფლიოში მკვიდრდება ეროვნული ბიბლიოთეკების შექმნის ტრადიცია.

ევროპული გამოცდილების ნიადაგზე თავისებური, დამოუკიდებელი ტრადიციები მკვიდრდებოდა შეერთებულ შტატებში. საბიბლიოთეკო საქმიანობა დიდად იყო დამოკიდებული ცალკეულ შტატში არსებულ მდგომარეობაზე. აქაური სახალხო ბიბლიოთეკების დაფინანსება ძირითადად ადგილობრივი მმართველობის ხარჯზე ხდებოდა. გარდა ამისა, დიდი წილი მოდიოდა შეწირულობებზე, რომელსაც მდიდარი ოჯახები, კორპორაციები და ასოციაციები იღებდნენ, რაც დღემდე გავრცელებული მოვლენაა შტატებში.

დიდი ბიბლიოთეკების ქსელი ცენტრალური ბიბლიოთეკებისა და ფილიალებისაგან შედგებოდა. ყველა მათგანს გააჩნდა გაცემის პუნქტი, მოძრადები და საბავშვო განყოფილებები, აგრეთვე აუდიტორიები საკლუბო მუშაობისათვის.

1929 წლისათვის 6 ათასამდე ასეთი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. წარმოებდა დაბალი ფენის მკითხველთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესწავლა, მიმართავდნენ ახალ-ახალ ფორმებსა და მეთოდებს მკითხველებთან მუშაობისათვის. აქ საფუძველი ჩაეყარა საბავშვო განყოფილებებსა და სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის კოორდინირებულ მუშაობას.

როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, ისე ამერიკაშიც არ იყო ერთიანი ნაციონალური ბიბლიოთეკა-ცენტრი, სადაც ყველა ნაციონალური გამოცემა მოიყრიდა თავს. ამერიკის სამეცნიერო ბიბლიოთეკისთვის დამახასიათებელია ფართო აუდიტორიის დაშვება, განსაკუთრებით ეს ითქმის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებზე. ფართო გასაქანი მიიღო სამეცნიერო ლაბორატორიების, ფირმების, საწარმო-დაწესებულებების სპეციალურმა სამეცნიერო-ტექნიკურმა ბიბლიოთეკებმა, რომლებიც ვიწრო დარგის სპეციალისტებს ემსახურებოდნენ. აქტიურად გამოიყენებოდა შეერთებული კატალოგები, თუმცა ბზა არ იყო მაინც და მაინც გავრცელებული. 1932-1949 წლებში მრავლად გამოიცა როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონალური შეერთებული კატალოგი. 1927-1937 წლებში გამოიცა პერიოდული ორგანოების 35 შეერთებული კატალოგი.

ამ პერიოდში კვლავ განაგრძობდნენ სრულყოფას შტატების ცნობილი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები. დიდი ყურადღება დაეთმო კონგრესის ბიბლიოთეკას. 1939 წელს მისთვის დამატებითი შენობა ააგეს. 1934 წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკა აღარ წარმოადგენდა ნაციონალურ არქივსაც.

შეერთებულ შტატებში წარმატებით გრძელდებოდა მეცნიერული მოღვაწეობა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში, ამ დროს გამოიცემოდა ცნობილი მეცნიერების ნაშრომები საბიბლიოთეკო საქმის ყველა საჭირობო პრობლემებზე. ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: იულიან ბლისი, ლანდი, ტრიუმე, გრეგორი, ბიშონი და სხვანი ქმნიდნენ ისეთ თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბიბლიოთეკებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

საყურადღებოა, რომ მეცნიერული ამროვნება ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლი-

ოგრაფიის დარგში მოცემულ პერიოდში საკმაოდ ძლიერად ინტეგრირდება, რაც ხელს უწყობს მსოფლიოში საბიბლიოთეკო დარგის თეორიული ბაზით სპეციალისტთა უზრუნველყოფას.

ადრინდელთან შედარებით, მეტი ყურადღება დაეთმო პროფესიული ცოდნის დაუფლების საქმეს – საბიბლიოთეკო განათლებას. ამ მიმართულების გზამკვლევად შეიძლება ჩაითვალოს მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და ამ უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სკოლის დირექტორი ვ.ვ. ბიშონი. მისი მოღვაწეობა მაგალითად იქცა სხვა ქვეყნების სპეციალისტებისათვის. 1921 წელს გერმანიაში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრა გეტინგენიდან ბერლინის უნივერსიტეტში გადაიტანეს; საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში მათ, რომლებიც საბიბლიოთეკო მოღვაწეობისათვის ემზადებოდნენ, ლექციებს უკითხავდა ცნობილი ბიბლიოფილი ლ.ნ. მალკლესი; ბულგარეთში სოფიის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კურსი მიჰყავდა ცნობილ მეცნიერს სტო-

იან არგეროვს; ბელგიაში – ბრიუსელის უნივერსიტეტში საბიბლიოთეკო თანამდებობის დამკავებელ პრეტენდენტებს ლექციებს უკითხავდა საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი პოლოტლე, აგრეთვე ლ. ვოუტერსი, მან ოტლესთან ერთად გამოცა “სამოგადოებრივ ბიბლიოთეკათა სახელმძღვანელო”, რომელიც ყველა ბიბლიოთეკის სამაგიდო წიგნად ითვლებოდა. 1913 წელს შვეიცარიაში (კენევაში) დაარსდა სამწლიანი საბიბლიოთეკო სკოლა. ბიბლიოთეკარის წოდების მოსაპოვებლად გამოცდების ჩაბარების წესი ვრცელდებოდა არა მარტო შვეიცარიაში, ბრიტანეთსა, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებშიც, არამედ მთელ ევროპასა და ამერიკაში.

პროფესიული მოთხოვნების წამოყენება საბიბლიოთეკო სპეციალობის დასაყავებლად თანდათან ტრადიციად იქცეოდა მთელ მსოფლიოში.

*არაა გათვალისწინებული სსრ კავშირის საბიბლიოთეკო საქმე, რაც ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე

სალოგრაფიულ-ნიგნოსოლოგიური ტერმინები ქართულში (დედა და დედანი)

თითოეულმა განათლებულმა ქართველმა იცის დიდი ილია ჭავჭავაძის თქმული სიტყვა “დედა”-ს შესახებ. პირველმა მან მიაქცია ყურადღება და განაცხადა: “ქართველებისთვის დედა მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლ ენასაც დედაენას ეძახის, უფროს ქალაქს – დედაქალაქს, მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას – დედაბოძს, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს – დედაბურჯს, სამთავრობო აზრს – დედააზრს, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – გუთნისდედას” [1,245]. ილიასეული ფორმულა “დადნა საგანი – დადნა სახელიცა” – ძირძველ ქართულ სიტყვა “დედაკაც“-საც ეხება. ილია გულისტკენით გვიხსნის, რომ ეს მშვენიერი სიტყვა “დაიფუყა, შეიკუმშა, დაპატარავდა... დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია...

დღეს “დედაკაცი მდაბიოთა სახელიდაა, თითქოს “კაცი-დედა” მარტო მათლა შერჩენიათ... დღეს “დედაკაცი” რომ ან თავადის, ან აზნაურის ქალს, ან ერთობ “შლაპოსანს” უწოდოთ, გიწყენთ, იუკადრისებს, ითაკილებს: “მე ქალი ვარ და არა დედაკაცი”, თითქოს ქართული “დედაკაცი” და რუსული “ნაма” ერთი და იგივე იყოს. ცოდვა არ არის, “დედაკაცი” სათაკილო იყოს და “ქალი” თავმოსაწონებელი! „დედაკაცი“ – ეს ბრგე და აზოვანი ადამიანი “ქალად დავადნეთ!.. ცოდვა არ არის, “დედაკაცი” დავკარგეთ და “ქალი” შევიძინეთ!”[1,245].

“ილია ჭავჭავაძე სასტიკად გმობდა ამა თუ იმ ტერმინის შემუშავებას სხვა ენის შესაბამისი ტერმინის ბრმა თარგმანის გზითო”, – წერს სპეციალურ ლინგვისტურ ნარკვევში

აკად. შ. ძიძიგური [2,28]. ილიამ ბევრი იღვაწა ამ მხრივ. მარტო ის რად ღირს, რომ დღეს გავრცელებული სიტყვაფორმები დედაზრი, შინაარსი, მიმართულება... ქართულ ენაში მისი დამკვიდრებულია.

ილიას გამონათქვამებს და ნააზრევ სიტყვას “დედა”-ს შესახებ ძალა არც დღეს დაუკარგავს. ახალი ეპოქის, მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე დედა, დედის როლი ოჯახსა და საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, დედა, ისე როგორც მამა, უძველეს ხანაში მარტო მშობელს კი არ აღნიშნავდა, არამედ იმავე დროის ძეგლებში სქესის გამომხატველ ტერმინდაც იხმარებოდა [3,224]. ამრიგად, დედა და მამა ფორმის შინაარსით უფრო ახალია:

დედა (მდედრ.სქ.(მშობელი).

მამა(მამრ.სქ.(მშობელი (ეს გაგება ბევრად ახალია, ლამის ჩვენ თვალწინ მოხდა მოქალაქეთა პასპორტიზაციის დროს). ამ სიტყვათაგან წარმოიშვა თხზული სახელები: დედაკაცი “დედა ადამიანი”, “დედა ქალი”(დეაცი(დიაცი; მამაკაცი(“მამა ადამიანი”(მამრ. სქესის ადამიანი(მამაცი. ეს უკანასკნელი (მამაცი) კ-ს შემცველი მარცვლის ჰაპლოლოგიაა, ჯერ კიდევ ძველ ქართულშივეა ცნობილი [4,123]. ასევე დიაც ლექსემაც: “შეჩუენებულ ყვეს იგი: მამაციტგან და ვიდრე დიაცამდე”. G-სუ-ნ. 6,21(მ-შია: შეჩუენეს...მამაკაციტგან ვიდრე დედაკაცამდე). ე.ი. დიაცი და მამაც დედაკაცისა და მამაკაცის მნიშვნელობით გვერდიგვერდ იხმარება, ოღონდ ეს უკანასკნელი პირველის ფონეტიკურად სახეცვლილი, დიალექტური, ზეპირმეტყველებითი ფორმებია. აღსანიშნავია, რომ მეგრულსა და სვანურში, ქართულის მონათესავე ენებში, დედა ლექსემა დია ფონეტიკური ვარიაციის ფორმითაა შემონახული: დედა(დეა(დია, შდრ. ქართ. დიაცი. ახლაც, თანამედროვე ქართულში შვილი დედას მოფერებითი-საალერსო ფორმით მიმართავს: “დე...” ძველად ორი სიტყვის წარმოთქმის გამთლიანების შედეგად, ე.წ. საშუალ ქართულში ვრცელდება დიალ||დიაზ ფორმა (← დია ღმერთო), რომელშიც დია იმავე სიტყვის ფონეტიკური სახესწავობაა. შდრ. ხალხური: “მზე დედაა ჩემი ((ღმერთი), მთვარე – მამაჩემი (=ღმერთი), შდრ. ასევე: ბატონო – როცა

ვინმე გვიხმობს და ვაგონებთ... თუ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გამოვრიცხავთ დია-ს წარმომავლობას დიად ((დიად(დია?სიტყვისაგან (შდრ.სვან. ხოშა ღერბეთ “დიდი ღმერთი”). დედა, ასე თუ ისე, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მშობელს, დედაკაცს, მდედრს აღნიშნავს [5,138]. ღირსსაცნობია, რომ გარდა ამ მნიშვნელობისა, დედა ლექსემა წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიულ ტერმინდაც გვევლინება ძველ ქართულში: “დაიწერა...დედისაგან საბა წმიდისა” H-1741, 297H [5,138]. “...გარდამივწერე...კარგი დედაი ამისა წიგნი ენახე...” (ხელნაწერთა აღწერილობა (Hკოლექცია), 111 №1328, გვ. 269 [6,78].

დედა, როგორც პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი შინაარსის შემცველი სიტყვა, არ გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონაში”[7]. დედა-ს მხოლოდ დედანის ფორმით იცნობს დ. ჩუბინაშვილი (დედანი=ნამდვილი წერილისა, მხატვრობისა და მისთ.)[8,473]. ანალოგიური ვითარება გვაქვს ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც: დედანი ანდაზა წერის მოსწავლეთა, пропись//პირველი დასაბამი წერილთა, მხატვრობათა და მისთანათა, оригинал[9,204].

ამრიგად, დედან ფორმა ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისათვის უცნობია. იგი ე.წ. საშუალო ქართულის, აღორძინების ხანის საბუთებში გვხვდება. მაგ: ლუარსაბ მეფის 1615წლის წყალობის წიგნში ნათქვამია: “ესეცა სწორე სევადი არის, ღმერთი მომეცეს თავდებათა და ამისი დედანი აქა მაქუს“-ო. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, “სევადი” სპარსულიდან შემოსული ტერმინია და XVI საუკუნის დამდეგის ძეგლებში გადანაწერის მნიშვნელობით იხმარება [10,68]. შდრ. ახ. ქართული ენის კუთვნილი ნახმნარი სიტყვა “მისევადებული”.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულ ენაში დედანი კანონიკური ფორმა-ლექსემაა. მისი ძირითადი მნიშვნელობაა: 1. თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც პირი გადააქვთ(გადაწერით ან გადაბეჭვდით//კომპიუტერზე აკრეფით, ან რომლის მიხედვითაც აწყობენ სტამბაში)—ძირითადი ტექსტი, ორიგინალი (საპირისპირო-პირი, კოპიო. აქედან: გა-

მოთქმა წერის დედანი – წერის ნიმუშთა კრებული, რომელიც შეიცავს კალიგრაფიულად შესრულებულ ასოებს, სიტყვებს, წინადადებებს და მცირე ტექსტებს სწორი წერის სასწავლად და ხელის შესამუშავებლად... [11,1120].

თანამედროვე ქართულ დიალექტში დედანი გუთნის ნაწილსაც ჰქვია (რომელზედაც ფრთა დაყრდნობილი: იგი ველისკენა მიწაში და გუთანს ფეხზე აჩერებს). ქართულ კილოში დედანი ვაზის ტანს ეწოდება (რომელზედაც გასხვლის შემდეგ დატოვებულია საკავებელი და ნეკი [10,1120]. იმავე ქართულ დიალექტში დედანი ერთგვარ საბავშვო თამაშობასაც ჰქვია (მოთამაშე, რომელიც ორმოსთან ზის და დანარჩენი მოთამაშების მიერ ორმოში ჩაყრილ კაკლებს ითვლის) [12,195]. ალგეთის ხეობის ქართულში დედანი ფიწლის ნაწილია (“სამზე მეტ თითიანი ფიწალი უხშირესად მთლიანი ფიცრისაგან არის გამოთლილი და რაზედაც თითებია, იმ ნაწილს დედანს ეძახიან”) [13,129]. კახეთშიც დედანს, ზოგიერთი თამაშის დროს, როგორც მთავარ მოთამაშეს, მსაჯის როლიც აკისრია [14,166]. ქიზიურშიც დედანი დედნა გუთნის ნაწილს ჰქვია (რომელიც სახნისის მარცხნივ არის სწორად დაყენებული...) [15,61]. მთიულურშიც დედანი ბუდე, პერანგია, რაშიაც ხბო იბადება [16]. ისმის კითხვა: რა წარმომავლობისა და ფუნქციისაა დედანი (დედნა) სიტყვაში ნ ელემენტი?

ჩვენი აზრით, დედანში ბოლოკიდური ნარი წარმოშობით მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ფორმანტია. ამჟამად მას მრავლობითობის, სიმრავლის გაგება აღარ აქვს. ასეთი სიტყვათფორმები ქართულში არაერთი გვაქვს; მაგ: ა-რჩევ-ა-ნ-ი (არჩევანი (შდრ. არადანი). ამ ფორმას რომ მართლაც დაკარგული აქვს მრავლობითობის ფუნქცია, ჩანს ა-რჩევ-ნ-ებ ლექსემისაგან [17,282]. მსგავსი ვითარების ამსახველია ჟამ-ნ-ი, დავით-ნ-ი, ლოცვა-ნ-ი, თავ-ნ-ი [18,80]. ღირსსაცნობია ისიც, რომ არჩევნების მსგავსად, ენაში დედნებ სიტყვაფორმაც გვაქვს. მაგ: ზემოიძერეთში გუდასტვირის ორ გამოღრუბულ თვლებიან სტვირს დედნები ჰქვია. მას გულყუროსაგან აკეთებენ [19],[20]. აღსანიშნავია, რომ ინგილოურ ენაშიც ეს სიტყვა მრავლობით

რიცხვშიც გვევლინება: დედანე (=გათხოვილი ქალისათვის მშობლების ოჯახი და იქ მყოფები, საყურადღებოა ისიც, რომ ამავე დიალექტში დედან, დედნა-ც გვაქვს, ქიზიურის მსგავსად, ნაირგვარი მნიშვნელობით) [21,181-182], სადაც ფუძე შეუკუმშავია. ასე რომ, როგორც ირკვევა, ნ მრ. რიცხვის აღმნიშვნელი ბოლოსართის გამოყენება სიტყვასწარმოებელი აფიქსის ფუნქციით ჩვეულებრივი, გავრცელებული მოვლენა ყოფილა.

იქნებ ძველი ქართული დედა-მ-ს დედა-ნ-ად ქცევა, მრავლობითობის ფუნქცია-შინაარსით, იმანაც განაპირობა, რომ ძველად ძველი ქართული “მხზრეკალები” ცდილობდნენ გადაწერისას დედნის შერჩევას. ზოგჯერ მათ წინ ედოთ რამდენიმე მოძიებული დედანიც კი. ისინი არა მარტო დედნის შერჩევით იფარგლებოდნენ, როგორც ცნობილია, ადგენდნენ ახალ-ახალ კრებულებსაც. მაგ: XIV ს-ით დათარიღებულ sin-91 ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს (ხელნაწერი ჰაგიოგრაფიული ტექსტების კრებულია): “წმიდანო მამანო და ძმანო, დიად მელმის და მტკივის, რომელ წინაუკმოდ და არა მიწყებით სწერია ესე საკითხები, და მიხეზი ესე არს: ოთხისა თუ ხუთისა დედისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხოსა და სხოსა მონასტრისაგან და ჟამსა თოსსა ვერ ვიპოვნი დედამ” [22,280].

ძველად, გადამწერ-მხზრეკალები სანამ ტექსტის გადამწერას შეუდგებოდნენ, პირველ რიგში, სასურველი დედნები უნდა მოეძიათ. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: “წიგნის მიმეგებელიცა და წამკითხველნიც მარტო წერის სილამაზეს არ ეტანებოდნენ, მათ თვით ამ წიგნის შინაარსი აინტერესებდათ. ამიტომ მთავარი ყურადღება ტექსტის სისწორეს ჰქონდა მიპყრობილი, რომ თხზულება უცდომლად ყოფილიყო დაწერილი. ის, ვინც ამ მხრივ ყოველ უმკაცრეს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, “მწერალი-უმართლესი” ან “სიმართლითა აღსავსე ეწოდებოდა” [10,54]

როგორც მზ. სურგულაძე შენიშნავს, “დედნების შერჩევის მიზნით, მწერლები ხშირად მოგზაურობდნენ ერთი მონასტრიდან მეორეში. ეს თვისება, როგორც ჩანს, ქართველ “მწერალთა” სიამაყის გრძნობას იწვევდა, რადგან ბერძენი გადამწერები, ეფრემ მცირის ცნობით,



დედნების შოვნაზე ამდენად თავს არ იწუხებდნენ [5,77]: “თუთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედად ჰპოვოს, ეგრე გარდაიწერებიან და თუთ ორთა წიგნის საცავთა სომეონ წმიდისითა ასკიტეონნი სხოთა და სხოთა ჰმატდეს ურთიერთას. ამისთოს თუალისადაცა მოვიდეთ” [23,40]. სწორედ ამის გამო, არცთუ იშვიათად, ტერიტორიულად შორს მდებარე ან მჭობელი ქვეყნის მონასტრებსაც უკავშირდებოდნენ, რათა ერთი მონასტრის ხელნაწერი მეორეში გადაეტანათ. ამის შესახებ, როგორც ვიცით, გრიგოლ ხანძთელმაც საბაწმიდის განგებ ჩამოატანინა (გადმოაწერინა) სპეციალურად წარგზავნილებს საქართველოში, კერძოდ, ტაოკლარჯეთში [24,264]. ასეთი ტრადიცია XV საუკუნეშიც გრძელდებოდა [6,77].

ღირსსაგნობია ისიც, რომ ხელნაწერთა გატანა მონასტრების წიგნსაცავებიდან სასტიკად იკრძალებოდა. ერთ-ერთი ანდერძის ცნობით, ბერებს წიგნის შეტანა სენაკშიც კი არ შეეძლოთ. მხოლოდ გადაწერის მიზნით თუ შეიძლებოდა წიგნის განათხოვრება. ერთი მინაწერი გვამცნობს: “ვინცა ეს წიგნი ქართუელთა ეკლესიით გამოიღოს, ანუ სხვათა ეკკლესიისა სენაკსა შინა დამალოს, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა... შენ, ქართველო მლოცაო, ვინცა ეს წიგნი სინით წაიღოთ... იერუსალიმისა, გინა სინისა, შეგრცხოეს მამაო. ვინცა რას სწერდეს, გაიღეთ და მერმეთ უკანამსადოე მოიღეთ...” [25,123].

და ბოლოს: დედად-დედნიდან ძველ ქართულში წარმოდგა არაერთი პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ცნება-ტერმინი, რასაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. აი ისინიც:

1. დედად ფრიად მართალი | დედად მართალი;

ერთ-ერთი ანდერძი გვამცნობს: “ქრისტეს მოყუარენო, მამანო და ძმანო, ვისთანაცა მოიწიოს წმიდად ესე სახარებად შემდგომად ჩუენისა, ლოცვა ყავთ ღმრთისათოს, და რომელი დამეკლოს, შემინდევით, ახალ თარგმნილისაგან დაგვიწერია და დედად დიად მართალ არს. ამას ძუელთა სახარებათა ზოგ-ზოგი სიტყუად არ ეწამების...” [22,57]. სხვა სახარების (sin-81) გადამწერიც იმავეს იუწყება: “წმიდანო მამანო... რომელი დამეკლოს, შემინდევით, ახალ

თარგმნილისაგან დაწერილ არს და დედად მართალი არს” [22,256].

ძველი ქართველი გადამწერი იმთავითვე, დასაწყისშივე დიდ დროს ანდომებდა სანდო და “მართალი” დედნის მოპოვებას, რაც თავისთავად, განაპირობებდა თარგმანის ხარისხს...

2. დედად მრუდი;

სამწუხაროდ, “მწხრეკალს” ტექსტისთვის საჭირო ყველა დედანი ხელთ არ ჰქონდა. ამიტომ ზოგჯერ იძულებული იყვნენ მხოლოდ ერთი დედნის მიხედვით გადაეწერათ ახალი ტექსტი. მაგ: Sin-85-ის, XII საუკუნის ხელნაწერი გვამცნობს: “...რუმისა მე... გან დაოხხრიკე ესე, ოდეს ვცან თუსა... დედად მრუდი” “არსო. სხუა წიგნი ვითხოვე და მას გარდავატყუ დიდითა ხარეებითა. ამისთოსცა მრავლად არს შიგან ჩართულიცა და... ..კიცა და კუალადცა შემინდევით და ეგრძთვე ღმერთმან თქუა...” ეს ხელნაწერი შეიცავს იოვანე მახარობლის გამოცხადებას, გამოცხადების ანდრია კესარიასეულ თარგმანებს და დოროთეს ორ თხზულებას. სამწუხაროდ, Sin-85 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტო)-ის ტექსტი ნახევრად გადამლილია და ცუდად იკითხება [6,86].

3. დედად წურილი. გადამწერთა ერთ-ერთ დაბრკოლებად დედად წურილი-ც იყო;

თურმე გიორგი მთაწმინდელის ხელი იმდენად წურილი ყოფილა, რომ კაცისა თმასა ჰგვანდაო”. ცხადია, ხანშესულ გადამწერს გაუძნელებოდა ასეთი ტექსტის ზუსტი, უშეცდომო წაკითხვა [10,72].

4. დედად ბნელი;

ეს ისეთი ხელნაწერი იყო, როცა სიმკვეთრის-სიმკრქალის ან ჩაშავეების გამო, ან ასოთა მოხაზულობის წყალობით, ტექსტის წაკითხვა ძალზე ძნელი იყო [10,72].

5. დედად გარყვნილი;

“გარყვნილი” დედნის ამოკითხვაც ჭირდა, როცა წიგნის მხმარებელთა თუ გადამწერთაგან ტექსტის წაკითხვა იოლი არ იყო: “დედანი ფრიად გარყვნილ იყო მწერალთაგან და მე, რომელსა შემძლებელ ვიქენ, გულსმოდგინებით დიდათ ვეცადე”-ო [იხ.10,72].

6. დედად კარგი;

გარკვევით, ადვილად წასაკითხ ტექსტს ერ-

ქვა: ...გარდამოვწერე, კარგი დედა ამისა წიგნი ვნახე და მეკეთა” (ვიმოწმებთ[6,71].

შეიძლება დავასკვნათ: ძველ ქართველ მწიგნობარ-“მხზრეკალებს”, ტექსტის გადამწერთ, ოდითგანვე უხმარიათ დედა პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობით ტერმინად. დედა მართალი და მისთ. სპეციფიკური გამოთქმები მიგვანიშნებს ძველი ქართული კულტურის, კერძოდ, პალეოგრაფია-მწიგნობრობის მაღალ დონეს. აღორძინების ხანიდან ჩნდება ტერმინი დედანი(პეტრე ლარადის თქმით: “ესრეთ ეწერა უძვეესა და ძნელად აღმოსაცნობელსა დედანსა შინა”. წ-კ.გ.ს. ხელნაწ.№4732), რომელიც დღესაც პოპულარული პალეოგრაფიულ-წიგნმცოდნეობითი ტერმინია ქართულ ენაში.

მითითებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი. პატარა საუბარი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ.IX/პ. ინგოროყვას რედაქციით.

2. ძიძიგური შ. ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა. – თბ., 1978.

3. ჯავახიშვილი ი. თხზულებანი თორმეტ ტომად: ტ.X. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. – თბ., 1992.

4. ქავთარაძე ი. ქართული ენის ისტორიისათვის: XII-XIII სს; I. – თბ., 1964.

5. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1973.

6. სურგულაძე ბ. ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. – თბ., 1978.

7. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი: ტ.IV/ ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. – თბ., 1965.

8. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მე-2 გამოცემა; აღდგენილი ოფსეტის წესით/სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. – თბ., 1984.

9. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ/აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. – თბ., 1961.

10. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათ-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მე-2 გამოცემა. – თბ., 1943.

11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვატომეული); ტ.III/არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. – თბ.,1953.

12. ქართლური დიალექტის ლექსიკონი: (მასალები)/შეადგინეს: თ. ბეროზაშვილმა, მ. მესხიშვილმა, ლ. ნოზაძემ. – თბ., 1981.

13. სალარიძე თ. ალგეთის ხეობის ქართლური. თბ., 1978.

14. სახლთხუციშვილი უ. გარეკახური ლექსიკონი. – თბ., 2003.

15. მენთეშაშვილი სტ.ქიზიყური ლექსიკონი/ ვ. თოფურიას რედაქციით. – თბ., 1943.

16. კაიშაური ლ. მთიულეთის დარგობრივი ლექსიკონი. – თბ., 1967.

17. ჯორბენაძე ბ. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. – თბ., 1980.

18. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები: I. – თბ., 1973.

19. წერეთელი ბ. შემოიძერული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა; I./ ვ. ბერიძის რედაქციით. – თბ., 1938.

20. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა/ შეადგინა აღ. ღლონტმა. – თბ., 1974.

21. ღამბაშიძე რ. ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი/ა. შანიძის რედაქციით. – თბ., 1988.

22. Garitte, Catalogue des manuscrits georgiens/itteraires du mont Sinai. Lowain, 1956.

23. ჟორდანიას თ. ქრონიკები:II. – თბ., 1897.

24. გიორგი მერჩულე. შრომად და მოღუაწეობად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა, და მის თანა ვსენებად მრავალთა მამათა ნეტართად//ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: წიგნი I. – თბ., 1963.

25. ჯავახიშვილი ივ. სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: №5. – თბ., 1947.

ღირსეული წინაპრები

ირინე აბესაძე, ირინე სარუხანოვა

XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურული სხოვრების მოზაიკა

დღეს, როდესაც ქუთაისის სტუმარი ქალაქს ტურისტის თვალთ აღიქვამს, მის მოუვლელ, ხალხისაგან დაცლილ ქუჩებში სეირნობს, სამხატვრო გამოფენების, თეატრალურ და საკონცერტო დარბაზებს გაუკაცრიელებულს ხედავს, როდესაც პერმანენტული ენერგოკრიზისის გამო წყვდიადში ჩაფლულ საგანმანათლებლო-კულტურულ დაწესებულებათა ბოქლომით ჩარაზულ ცენტრალურ შესასვლელებს აწყდება, ძალიან გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ქუთაისი საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი იყო. ეჭვით შეხედავს იმ ფაქტსაც, რომ სწორედ ამ ქალაქს შუა საუკუნეებში ამშვენებდა “სხუა ათინად” წოდებული გელათის აკადემია, რომელიც არა მხოლოდ გაერთიანებულ, მძლავრ სახელმწიფოს უზრდიდა მრავალმხრივ განათლებულ, “სულთ სპეტაკ და ხორცი მთელ” ახალგაზრდობას, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მეორე სამეცნიერო-კულტურულ ცენტრთან – იყალთოს აკადემიასთან ერთად, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში ანგარიშგასაწევ საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა. სულის განწმენდა-განსვეტავებს კი, ხელოვნებასთან ზიარება, ბევრათა ჰარმონიას მიყურადება და მასთან შეწყობილად საკუთარი სახმო სიმების აჟღერება, მუსიკალურ საკრავების ახმანება და მის უნისონში როკვა-თამაში ანუ “საქმენი საეშმაკონი” უწყობდა ხელს, ქუთათური კირითხურონი, ქვაზე კვეთისა და კედლის მხატვრობის უბადლო ოსტატები ქმნიდნენ მონუმენტური სახვითი ხელოვნების უიშვიათეს ნიმუშებს, ხელნაწერი ფოლიანტების უფაქიზესი მინიატურული მხატვრობის შედეგებს. ჟამთა სიავის მიუხედავად, წინაპართა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა უწყვეტ ჯაჭვად მეოცე საუკუნის დასაწყისამდე თითქმის შეურყვნელად გამოატარეს იმ მამულიშვილებმა, რომელთა უჩინარი ღვაწლის შესახებ თამამად შეიძლება დიდი

ილიას სიტყვებით ითქვას: “საქმე ის არის, იმ ჩუმთა გუმაგთა უჩინარი ღვაწლი დაინახოს კაცმა, რომელთა ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედაბოძად უდგას თავის საზოგადოებას”.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისის არცერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-კულტურული ორგანიზაცია არ გახსნილა დედაქალაქში, რომ მას რეზონანსი არ მოჰყოლოდა მეორე კულტურულ ცენტრ-ქუთაისში. ასე იყო 1912 წელს, როდესაც 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის და ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსებულ “საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას” ფილიალური ორგანიზაცია ქუთაისში შეემატა. ცოტა მოგვიანებით კი, 1919 წელს ქუთაისში შეიქმნა იქ მოღვაწე მხატვართა გაერთიანება, 1916 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ თბილისში დაარსებული “ქართველ ხელოვანთა საზოგადოების” ანალოგიით. ამ მძლავრმა ეროვნულმა კულტურულ-საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა თავიანთი შვილობილი განყოფილებებით ქუთაისში მრავალ სასიკეთო ეროვნულ საქმეს შთაბერეს სული, მათ შორის ქუთაისის სამუხეუმო კოლექციების შექმნას, რომლის სათავეებთან იდგნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ტრიფონ ჯაფარიძე, გრიგოლ გველესიანი, გრიგოლ მესხი და სხვ. ამჯერად, ყურადღებას გრიგოლ მესხზე მივაპყრობთ.

ქუთაისის კულტურულ გარემოს 1907 წლიდან ერთი ფრიად საინტერესო და ნიჭიერი ხელოვანი შეემატა, ეს იყო მხატვარი გრიგოლ პართენის ძე მესხი. ადამიანი, რომელიც პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის რუსული ჟანდარმერიის განსაკუთრებული ინტერესის ორბიტაში მოექცა. პოლიტიკური დევნის გამო მხატვარი იძულებულია თავი დაანებოს მოსკოვის ფერწერის, ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელ-

ში ბოლო, დამამთავრებელ კურსზე სწავლას და სამშობლოში დაბრუნდეს. სწორედ ამ დროიდან ჩანს იგი ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შუაგულში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1884 წელს დაბადებული მხატვარი, წარმოშობით ამბროლაურის რაიონის სოფელ კორდიდან, მხატვრობაში გამოვლენილი ნიჭის წყალობით მოხვდა ხელოვნებათა წამახალისებელი საზოგადოების თბილისის სკოლაში. აღნიშნული სასწავლებლის კედლებში მოწყობილი გამოფენებიდან მიიქცია ხელოვნების დამფასებელთა ყურადღება და მისი წარმატებით დასრულების შემდეგ, ხელოვნების მეცენატისა და ცნობილი კოლექციონერის ალექსანდრე სარაჯიშვილის ფინანსური ხელშეწყობით, პროფესიული სრულყოფისათვის მხატვარი მოსკოვს გაემგზავრა. ამის შესახებ გრიგოლ მესხი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ თავის მოგონებაში წერს, რომ იგი 1902 წელს გაემგზავრა მოსკოვში სასწავლებლად ალექსანდრე პეტრეს ძე სარაჯიშვილის დახმარებით, რომელმაც მიიყვანა მხატვარი თავის სახელგანთქმულ ბიძასთან, ცნობილ მეწარმე დავით სარაჯიშვილთან და დაარწმუნა იგი ახალგაზრდა ხელოვანის ნიჭიერებაში, რის შედეგადაც, როგორც დავით სარაჯიშვილის სტიპენდიატს, მოაპოვებინა მოსკოვში უმაღლესი განათლების მიღების უფლება. მართალია, როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ მესხმა სწავლა ვერ დაასრულა, მაგრამ ამას მის სამხატვრო კარიერაზე არ უმოქმედია.

სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი, რომელსაც წვრთნა ისეთ ცნობილ მხატვრებთან ჰქონდა გავლილი, როგორებიც ა. არხიპოვი, ვ. კასატკინი და ვ. სეროვი იყვნენ, ძირითადად პორტრეტის ჟანრში მუშაობდა. იგი დაუახლოვდა ქართული სცენის ისეთ კორიფეებს, როგორებიც კოტე მესხი, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი იყვნენ, რომელთა პორტრეტული გალერეაც ამ მხატვარმა შექმნა.

გრიგოლ მესხს ეკუთვნის 1907 წელს შესრულებული ახალგაზრდა ქალის პორტრეტი, რომელიც ეროვნული სამუზეუმო გაერთიანების – ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს. აღნიშნული პორტრეტი ერთ-ერთი საუკეთესოა ქართული პორტრეტული ხელოვნების ისტორიაში. მას ეკუთვნის აგრეთვე

ცნობილი მწერლებისა და პოეტების: გალაქტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, სანდრო შანიშვილის და სხვათა პორტრეტები. მოგვიანებით, გრიგოლ მესხი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის შედეგად, ეთნოგრაფიული ხასიათის პორტრეტულ ჩანახატებსაც გააკეთებს. პორტრეტების გარდა, გრიგოლ მესხს უმოღვაწია როგორც თეატრალურ მხატვარს. იგი შემოქმედებას წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას. გრიგოლ მესხი აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ სარბიელზეც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი იყო “საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების” ქუთაისის განყოფილების და “ქართველ ხელოვანთა საზოგადოების” ქუთაისის ფილიალის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მხატვარ ნ. კროტკოვთან ერთად, მის სახელს უკავშირდება ქუთაისში პირველი სამხატვრო სტუდიის დაარსებაც.

გრიგოლ მესხის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ადასტურებს აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო ფონდებში დაცული მხატვრის ხელით შედგენილი ერთი უთარილო ანგარიში, რომელშიც დაფიქსირებულია გრიგოლ მესხის მოხსენება, გაკეთებული ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. ტექსტი ქვეყნდება პირველად ავტორისეული ორთოგრაფიის სრული დაცვით მცირეოდენი შემოკლებით:


“ორ მაისს გავემგზავრე თბილისში ზემოხსენებული საზოგადოების (“საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების” ქუთაისის განყოფილება – ი.ა., ი.ს.) მიერ დავალებული 1) უნდა მიმემართა ჩვენი მხატვრებისათვის, რომ თვითო-თვითო თავიანთი ნაწარმოები შემოეწირათ ამ მშობლიურ ხელოვნებათა და კულტურის დამცველ ტაძრისათვის. 2) უნდა მქონოდა მოლაპარაკება თბილისელ მხატვრებთან ქუთაისში პირველი სურათების გამოფენისათვის თავის ნაწარმოებთა გამოსაფენად დათმობის შესახებ. ამ დავალებებით ჩავედით თბილისში და ზემოხსენებული დავალება როგორც საჭირო იყო შევასრულე. პირველად ჩვენი ქართველი მხატვრები ვინახულე სათითაოდ თავთავიანთ ბინაზე. აუწერე ყველას ქუთაისის საისტორიო-ეთნოგრაფიო მუზეუმის დღევანდელი სახე და საზოგადოების სახელით ვსთხოვე მათ თითო

საქართველოს
პარლამენტის
ბროშეული

თავიანთი ნაწარმოების შემოწირვა ამ მუზეუმი-სათვის, რისთვისაც აღუთქვი მათ საზოგადოების მიერი მადლობა პრესაში და სამუდამო სახელი მუზეუმში, ველაპარაკე მათ აგრეთვე ქუთაისში სურათების გამოფენის გამართვის მნიშვნელობაზე. ჩემს აზრებს ყველამ მხარი დაუჭირა და გულუხვად მოკიდნენ ჩემს წინადადებებს. მხატვარმა მოსე თოიძემ პატარა ბარათზე აღნიშნა თანხმობა თავის ნაწარმოებთა შემოწირვისა და აგრეთვე გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე. ეს ბარათი პატივცემულ გრიგოლ ივანეს ძეს (გრიგოლ გველესიანი – ი.ა., ი.ს.) მივეცი შესანახავად თბილისიდან ჩამოსვლისთანავე. მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ საკმარის ღირსეულად ვერა სცნო თავისი ბარელიეფი (ვ. მესხიშვილი) რომელიც მე გამომატანა და აქ არის უვე მუზეუმში. შეგვპირდა მუზეუმს უფრო ღირსეულს და სასახლო ნაწარმოების ძღვნას ახლო მომავალში. მხატვარმა გრინევსკიმ რომელიც ქუთაისის გუბერნიაშია დაბადებული მოვალედ ჩასთვალა თავისი თავი რამოდენიმე თავისი ნაწარმოები შემოსწიროს ქუთ. საისტ-საეთნ. მუზეუმს როგორც სთქვა შემოსწირავს ისეთს სურათებს, რომლებიც ეთნოგრაფიული ხასიათისანი იქნებიან. მხატვარმა გ. გაბაშვილმა სურათის შემოწირვის შესახებ არა მითხრა რა გადაწყვეტილი. მხოლოდ გამოფენაში კი მონაწილეობას მიიღებს; შეგვპირდა რამოდენიმე თავისი ნაწარმოებების გამოგზავნას გამოფენაზე. რადგანაც სამწუხაროდ ჩემს თბილისში ყოფნის დროს იქ არ იმყოფებოდნენ ვერ ვინახულე ა. მრეველიშვილი, ს. ციმაკურიძე და ს. ერისთავი. ვინახულე ძმები აგლაძეები მშენებლები, რომელთაც ქვაშვეთის ეკლესია ააშენეს და ეხლა თბილისის თავადაზნაურობის ბანკს აშენებენ. მათ სახელოსნოში ჩემი ყურადღება მიიქცია დავით აღმაშენებლის ბარელიეფმა გაკეთებულმა მხატვარ გრინევსკის ესკიზზე და დიდმა ბოძის თავზე დასადგმელმა კაპიტელმა ი. ნიკოლაძის ესკიზზე გაკეთებულმა. ეს ორი ნაწარმოები როგორც ჩემს კაი ნაცნობებს და მეგობრებს თამამად გამოვსთხოვე აგლაძეებს სამუზეუმოდ რისთვისაც აღუთქვი მათ რომ საზოგადოება ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდება მათს ასეთს შეწირულებას. მათ უარი ვერ მითხრეს და შემოძირდნენ დათმობას. ვინახულე ბ. თაყაიშვილი და ვთხოვე დროებით სურათების ნათხოვლობა გამოფენისათვის. მან დაკიდებული სურათების ნათხოვლობაზე გადაჭრილი უარი მითხრა მხოლოდ ის სურათები და საგნები

რომლებიც განმეორებულნი არიანო. ესე იგი დუბლეტებით როგორც მანა სთქვა დაგეთმობათო.

რაც შეეხება ჩვენს კოლექციონერებს, მე ორს ჩვენ კოლექციონერ მეცენატს ვიცნობდი პირველი ა.პ. სარაჯიშვილი და მეორე პ.ი. თუმანიშვილი. პირველს თავის კოლექცია მთლად გადაუცია ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის ხოლო მეორე თბილისში არ დამხვდა. იგი პეტროგრადში ყოფილა. პ.ი. თუმანიშვილთან თუ იგი ამ საფხულზე დაბრუნდა თბილისში შეიძლება მოეწყოს კიდევ საქმე. მე დარწმუნებული ვარ თუ მოლაპარაკებას იქონიებს მასთან საზოგადოება. ვინახულე მხატვრები: სავენკო, ზომმერი, ზანიისი, აკოფიანი, შებუევი, რომელნიც ყველანი შემპირდნენ, რომ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ. დამრჩნენ კიდევ რამოდენიმე მხატვრები უნახავი, ალბათ მშვენიერი ამინდის გამო სახლში ძვირად თუ ვინმე მხვდებოდნენ. ბევრთან ორჯერ-სამჯერ გამიხდა მისვლა სანახავად. სიარულით საქმე გაჭირვებულმა განცხადებები შევიტანე მხატვართა საზოგადოებებში. ასეთი საზოგადოებები თბილისში ორია: ის მიღება და გულითადი მოპყრობა რომელიც გამიწიეს ყველა შემოხსენებულმა მხატვრებმა თავდებია იმისა, რომ გამოფენა უთუოდ საყურადღებო მოეწყობა. არავინ არ დაიშურებს ამ გამოფენისათვის ნაწარმოებს და ყველანი მოხარულნი იქნებიან გააცნონ თავი იმ საზოგადოებას, რომელიც ნაკლებად იცნობს კავკასიელ შემოთ ჩამოთვლილ მხატვრებს. უადგილოდ არ მიმაჩნია, რომ საზოგადოებამ ამ მოხსენების გაცნობისთანავე მადლობის წერილი დაბეჭდოს რომელიმე თბილისის გაზეთში. მადლობა იმ პირთ რომელთაც აღუთქვეს თავიანთი ნაწარმოებების შემოწირვა მუზეუმისათვის და მადლობა იმ პირთაც ვინც უკვე ალგვითქვა გამოფენაზე სურათების უფასოდ დათმობა გამოსაფენად. აქვე შეიძლება მოხსენიება იმ პირობისა, რომ ყველა მონაწილე მხატვრის ნაწარმოები ჩამოიტანება და უკანვე დაუბრუნდება ეთნოგრაფიული საზოგადოების ხარჯით, გაფუჭებულ რამეს საზოგადოება ზღავს. გამოფენის შემოსავალი ეკუთვნის მთლად საზოგადოებას. გაყიდული სურათების ფასი მთლად გაეგზავნება ავტორს და სხვა. ასეთი წერილის შემდეგ საჭიროა გაიგზავნოს ბარათები შემოხსენებულ მხატვართა ორ საზოგადოებაში ამ შინაარსისა: ჩვენმა დავალებულმა მხატვარმა გრიგოლ მესხმა მოგმართათ



თქვენ მოგეწვიოსთ თქვენი წევრები ჩვენს მიერ განზრახულ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. გთხოვთ გვაუწყოთ თუ შესდგა ასეთი მოწვევა თქვენი წევრებისა, ვინ გამოსთქვა სურვილი გამოფენაზე მონაწილეობისა, მათი სახელი და გვარი და დაწვრილებითი ადრესი შეგვატყობინეთ. ასეთი ადრესების მიღების შემდეგ მარიამობისთვის დამდეგ რიცხვებში ანუ ენკენისთვის დასაწყისში უნდა გაიგზავნოს კაცი თბილისში სურათების მოსაგროვებლად და ჩამოსატანად. თბილისში ნაცნობმა მითხრა, რომ რკინი გზა, თუ საზოგადოებამ ნებართვა არ იმოვაო სურათების ბაგაჟით გადატანისა შეიძლება ისე არც კი მიიღონო ბაგაჟით. ასე, რომ ეს საჭიროებაც უნდა გავითვალისწინოთ და ნებართვა უნდა ვიშოვოთ რკინის გზით გადმოტანისა.

აი, ყოველივე ის რაც შეიძლებოდა მომეხსენებია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის ჯერჯერობით მხოლოდ თუ რამე კითხვები დაიბადება კიდევ შესახებ გამოფენისა ყველაფერზე ვეცდები უპასუხო. ამ ზაფხულში გაიხლებით რაჭის მაზრაში”...

აღნიშნული დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასში განცხადებულია მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის დამოკიდებულება ქართული კულტურის მეორე მძლავრი ცენტრის – ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო მნიშვნელობისადმი.

გრიგოლ მესხის ერთგვარ ორგანიზაციულ ნიჭთან არის დაკავშირებული აგრეთვე თბილისში შემდგომში ცნობილ პეიზაჟისტ ალექსანდრე ციმაკურიძესთან ერთად წინა საუკუნის დასაწყისში მოწყობილი პირველი საერთაშორისო გამოფენა, როდესაც თბილისის ექსპოზიცია მთლიანად დაეთმო ცნობილი რუსი მხატვრების შემოქმედებას. კულტურათმორისი ურთიერთობების ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი ცალკე განხილვის საგანია.

XX საუკუნის საწყისი პერიოდიდან ქუთაისი ეროვნული მუსიკალური კულტურის მძლავრ კერად ჩამოყალიბდა. ქუთაისში პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარება საფუძველს იღებს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში, სადაც მუსიკის სწავლებას დიდი ადგილი ეთმობოდა.

ქუთაისის სასწავლებლებსა და სკოლებში

მოღვაწეობდნენ ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებიდან მუსიკოსები: ა. ბენაშვილი, ა. მრეკლოვი (მრეკლიშვილი), მ. მაჭავარიანი, ვ. სალიჩი, ვ. ჩეტვერუხინი, მ. ბალანჩივაძე და სხვ. რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროფესიული მუსიკალური განათლების საქმეში. ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს იოსებ, მიხეილ და ნიკოლოზ შარაბიძეებმა.

იოსებ შარაბიძე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. მისი ხელმძღვანელობით პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება მიიღეს შემდგომში ცნობილმა მოღვაწეებმა: ფილიმონ ქორიძემ, მელიტონ ბალანჩივაძემ, კოტე ფოცხვერაშვილმა. იოსებ შარაბიძემ ქართულ ენაზე მუსიკის ელემენტარული თეორიის პირველი სახელმძღვანელო შეადგინა, რომელიც 1890 წელს გამოიცა თბილისში.

ოსებმა მუსიკისადმი სიყვარული ჩაუნერგა თავის ორ ვაჟს – მიხეილსა და ნიკოლოზს.

მიხეილმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სასულიერო სემინარია დაასრულა (ამ პერიოდში პარალელურად მღეროდა ი. რატილის გუნდში). შემდეგ პეტერბურგის სასიმღერო კაპელაში ჩაირიცხა, 1897 წელს დაამთავრა ამ უძველესი სასწავლებლის სარეგენტო კლასი, ერთხანს გალობის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იგი 1900 წლიდან მუსიკალურ საგნებს ასწავლიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

1918 წელს მ. ბალანჩივაძემ და ლ. ქუთათელაძემ დაარსეს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი, სადაც მიხეილი მოსწავლეთა გუნდს ხელმძღვანელობდა, აქვე ასწავლიდა თეორიულ საგნებსაც.

90-იანი წლებიდან მიხეილმა ხელი მიჰყო ხალხური სიმღერების ჩაწერას. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა გაცნობოდით მხოლოდ ერთ სიმღერას “ფაცხა”, რომელიც მიხეილს 1894 წელს ჩაუწერია.

იოსების მეორე ვაჟის – ნიკოლოზის თვალწინ მიმდინარეობდა ქართული პროფესიული მუსიკის ჩასახვა-განვითარება. იგი თავად მონაწილეობდა ეროვნული მუსიკის ფორმირებაში.

ნიკოლოზ შარაბიძემ პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება ქუთაისის სასულიერო სას-



წავლებელში მიიღო. დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი (პედაგოგ ნ. კლენოვსკისთან). შემდეგ კი სწავლა დაასრულა პეტერბურგის სასიმღერო კაპელაში ა. ლიადოვის, ნ. სოკოლოვისა და ს. ლიაპუნოვის ხელმძღვანელობით. 1907 წელს ახალგაზრდა მუსიკოსი მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა. აქ დაიწყო ნ. შარაბიძის აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ნ. შარაბიძე მუშაობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიასა და “საგუნდო სიმღერის მოყვარულთა საზოგადოებაში”. ეს საზოგადოება 1908 წლის 11 აპრილს ჩამოაყალიბეს ივლიანე ანჯაფარიძემ და მიქელაძემ. ღირიჭორებად მიიწვიეს ძმები შარაბიძეები, რომლებმაც 70--კაციანი (ოთხხმიანი) გუნდი შეადგინეს. ამ გუნდის რეპერტუარში შედიოდა ქართული ხალხური სიმღერები, დასავლეთევროპელი, რუსი და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები. 1912 წლის 31 მარტს ქუთაისის თეატრში გამართულ კონცერტზე გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები: “მარიკელა”, “ოი, შავდა იავდა”, “ოი და დელა”, “ქვედრულა”. “ფაცხა”, “ორი რავო”, ი. რატილის მიერ გადამუშავებული სიმღერები: “მიცურავს გემი”. “გაზაფხული”, “ეს ბალი”, “ჩუხჩუხი”, ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერიდან “დარეჯან ცბიერი” (ცირას “ნანას” ასრულებდა ნიკოლოზის მეუღლე ანასტასია შარაბიძე) ა. ყარაშვილის “სამშობლო” და რამდენიმე გუნდი გუნოს ოპერიდან “ფაუსტი”.

გუნდი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მის კონცერტებს მუდამ დიდი ინტერესით ხვდებოდნენ მუსიკის მოყვარულნი. ნ. შარაბიძე იგონებს, რომ ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ აკაკი წერეთელმა გუნდის ხელმძღვანელებს მხურვალედ მიულოცა წარმატება, ქება შეასხა მთელ კოლექტივს. შარაბიძეების გუნდი მთელ დასავლეთ საქართველოში მართავდა კონცერტებს, მაგრამ მძიმე პირობებმა (კერძოდ კი სარეპეტიციო დარბაზის უქონლობამ, რის გამოც გუნდი იშვიათად იგრიბებოდა, ისიც საღამოობით, სინათლის შუქზე) 1915 წელს გუნდის დაშლამდე მიიყვანა.

1923 წლიდან ნიკოლოზ შარაბიძე თბილისის კონსერვატორიაში ხელმძღვანელობს საგუნდო-სადირიჟორო კათედრას. პარალელურად ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობას. მან ჩაწერა და დაამუშავა მრავალი ხალხური სიმღერა. შექმნა საკუთარი ნაწარმოებები, მათ შორის: საბავშვო სიმღერე-

ბის სამი კრებული (გამოცემულია სამჯერ 1927, 1936 და 1952 წლებში), ვოკალური კვარტეტი; საბავშვო ოპერები: “მამლაყინწა”, “გაზაფხული”, “სარეველა ბალახი”; მუსიკა საბავშვო სპექტაკლებისთვის, ორი საორგესტრო მარში, რომელთაგან ერთს 1918 წლის კონკურსში პირველი ადგილი მიეკუთვნა. თავის დროზე პოპულარობით სარგებლობდა მისი სიმღერები “განთიადი”, “უცნობი მხარე”, “ჩვენ ვართ მჭედელნი”.

1918 წელს ქუთაისში გამოიცა ხალხური სიმღერების კრებული, შემდეგი სახელწოდებით: “ქართული სამხმიანი სიმღერების კრებული, მოკლე განმარტებით ჩაწერილი და შედგენილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის ნ. შარაბიძის მიერ ქართული სკოლებისათვის, ნაწილი პირველი”.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, კრებული ზოგადსაგანმნათლებლო სკოლებისათვის იყო განკუთვნილი. ამიტომ მასში მოცემულია მოკლე ცნობები მუსიკის ელემენტარული თეორიის სხვადასხვა საკითხზე. ნ. შარაბიძის კრებულში ხალხური სიმღერები ძირითადად უცვლელადაა მოტანილი. კრებული 1918 წლით არის დათარიღებული, თუმცა ავტორს სიმღერების ჩაწერა 1907 წლიდან დაუწყო, კრებული 18 სიმღერას შეიცავს, მათ შორისაა: იმერული – “ვა, ჰა, ჰეი”, “ერეკლე და პამპულაი”, “მგზავრული”, “სუფრული”, მეგრული – “ორერო და”, “საცეკვაო”, “მაყრული”, გურული – “ალავერდი”, “აბადელია” და სხვ.

კრებულში წარმოდგენილია სიმღერათა შედარებით მარტივი ვარიანტები, ნ. შარაბიძეს ზოგიერთი სიმღერის მელოდია, ინტონაციური სვლები და ტესიტურა შეგნებულად გაუმარტივებია, რათა გაეადვილებინა მათი შესრულება 6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ამასთან, ხალხური მუსიკის ჰარმონიული თავისებურებანი შენარჩუნებულია. ნიკოლოზ შარაბიძის ამ კრებულს დღემდე არ დაუკარგავს ღირებულება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქუთაისში მოღვაწე მუსიკოსის კორნელი მალრაძის მშობლიური ქალაქისა და ზოგადად ერის სასიკეთოდ მიმართული საქმიანობა გასული საუკუნის დასაწყისში. იგი ხალხური სიმღერების ჩინებული მცოდნე იყო და თავდადებით იცავდა ქართული სიმღერა-საგალობლების სიწმინდეს. ამასთან განუმარტავდა საზოგადოებას მათ დანიშნულებასა და ღირსებებს. ქუთაისის პრესაში ხშირად

იბეჭდებოდა კ. მალრაძის სტატიები. იგი მოუწოდებდა ჩვენს საზოგადოებას ხალხური მუსიკის ნიმუშების დაცვას, შეკრებას, ჩაწერას, კ. მალრაძე 1915 წელს წერდა: “ქართველები რომ მსოფლიო ასპარეზზე გავიდნენ, ამისათვის უნდა ჰქონდეთ სამხმიანი და ოთხხმიანი მუსიკა”.



კორნელ მალრაძე


1890 წელს ოდესის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, მშობლიურ ქუთაისში დაბრუნებულმა კ. მალრაძემ ჯერ სასულიერო სემინარიაში დაიწყო მუსიკის მასწავლებლობა, ხოლო 1906 წლიდან რეალური სასწავლებლის გუნდს ხელმძღვანელობდა. 1916 წელს გაზეთი “სამშობლო” ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს შესახებ წერდა: “ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა რეალური სასწავლებლის გუნდის მიერ მრავალჟამიერის “დიდება შენს გამჩენს” შესრულებულუბამ, რომლის სიტყვები და მუსიკა ეკუთვნის მალრაძეს, აგრეთვე გუნდურმა სიმღერებმა “მიყვარს, მიყვარს” და “მერანმა”.

მართლაც კორნელი მალრაძის დაუღალავი მეცადინეობით რეალურმა სასწავლებელმა წარუშლელი კვალი დატოვა ქუთაისის მუსიკალურ კულტურაზე. ამ სასწავლებელში მოწყობილ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოებს

ახასიათებდა მძლავრი ეროვნული სულიწკვეთება. მართლია, კ. მალრაძე არ იყო კომპოზიტორი-პროფესიონალი, მაგრამ მან მეტად საყურადღებო ნაწარმოებები შექმნა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1912 წელს დიდი ილიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულებული კანტანტა კორნელი მალრაძის ავტორობით, ასევე მისი ლოტბარობით აჟღერდა სიმღერები ილიას ლექსებზე “ჩემო კარგო ქვეყანავ”, “მესმის, მესმის”. ეს სიმღერები კ. მალრაძემ ხალხურ მოტივებზე ააგო. კ. მალრაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საგუნდო სიმღერები და რომანსები ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკის ტექსტებზე. მუსიკა საბავშვო სპექტაკლისათვის, რომელიც ხელნაწერის სახით არის შემონახული. სამწუხაროდ, დღემდე არ არის მიკვლეული კ. მალრაძის მიერ დაწერილი დუეტი (ქალთა ხმებისთვის) მისივე სიტყვებზე “ჩემს ვარსკვლავს”, რომელიც 1891 წელს გამოიცა თბილისში (არსებობს მისი ხელნაწერი ვარიანტი). როგორც ფოლკლორისტმა კ. მალრაძემ მრავალი უნიკალური ხასიათის ხალხური სიმღერა ჩაიწერა, მათ შორის: იმერული – “ჭონა”, “ოკრიბული ნანა”, “წვეური ნადური”, “წვეური ოდილა”, “კვატიტა”, მეგრული – “ფაცხა”, “კუჩხა” “სი ქოული, ბატა”, გურული – “ხბო”, რაჭული “სუფრული” და სხვა მრავალი. აღსანიშნავია კ. მალრაძის მიერ ჩაწერილი სიმღერა “ალიფაშა”, რომელიც კილო-პარმონიული ელემენტებით საგრძობლად განსხვავდება ამ სიმღერის ყველა სხვა გავრცელებული ვარიანტისგან. განსხვავებულია აგრეთვე “წვეური ნადურის” კ. მალრაძისეული ვარიანტიც, რომელიც ქართული ფოლკლორის უიშვიათეს ნიმუშს წარმოადგენს.

ამრიგად, ქუთათურმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ შესანიშნავი გაკვეთილები გადასცა მათ შთამომავლებს იმისა, თუ როგორი სიყვარულით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძობით უნდა მოვეკიდოთ ჩვენ ეროვნულ კულტურულ ფასეულობებს, მათი დაცვა-განვითარების საქმეს. ჩვენი ღირსეული წინაპრების ღვაწლი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორი აუცილებელია კვლავ დაუბრუნდეს დასავლეთ საქართველოს რეგიონის ამ დიდი ტრადიციების მქონე ქალაქს მეორე, მძლავრი კულტურული ცენტრის სტატუსი.

კორესპონდენციები



ლუიზა ქუმელაშვილი
თბე მეთოდისტი

ლიბილის საღაპო

2006 წლის 7 დეკემბერს თბე 53-ე ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო “იუმორინას” მსახიობს – “სიცილის დედოფალს” მზია კვირიკაშვილს.





ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის განყოფილების გამგემ რ. ფალავამ, რომელიც დამსწრე საზოგადოებას ესაუბ-

რა მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ქალბატონმა მზიამ თავისი ხალასი იუმორით მოიარა ამერიკის შეერთებული შტატები, საბერძნეთი, ისრაელი. პირველი მსახიობი ქალია, რომელიც ქართულმა სათვისტომომ კანადაში მიიწვია.

მზია კვირიკაშვილის შესახებ საინტერესოდ ისაუბრა მისმა კოლეგამ, მსახიობმა მამუკა ონაშვილმა.

მსახიობს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიესალმნენ ბიბლიოთეკის მკითხველები: ისტორიკოსი ავთანდილ ბიბილაშვილი, გეოლოგი გურამ ტატალაშვილი, მოსწავლეები ანა კვირიკაშვილი, ირაკლი ეჯიბაძე, ნინო ხმალაძე, მეთოდისტები ლუიზა ქუმელაშვილი და ნელი ჯარიაშვილი.

ქალბატონმა მზიამ და ბატონმა მამუკამ სიამოვნებით უპასუხეს ახალგაზრდობის მიერ დასმულ შეკითხვებს და დიდი მადლობა გადაუხადეს ყველას ლამაზი საღამოსათვის.



ნანა ფირცხალავა

სტუმარი უოჩუღი ქვეყნიდან



ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ნოემბერში სტუმრად იმყოფებოდა იაპონიის ხოკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევის ცენტრისმეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქ-

ტორი ქ-ნი კიოკო სიდა.

კიოკო სიდას სამეცნიერო კვლევის თემაა „რუსეთის ათონი. რუსეთის იმპერიის მართლმადიდებლური პოლიტიკა და საეკლესიო მოღვაწეობა ყირიმსა და აფხაზეთში მე-19 საუკუნეში“. როგორც კიოკო სიდამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საქართველოში საკითხის საკვლევად მეტად ნოყიერი ნიადაგი დახვდა – ბიბლიოთეკებში აღმოვაჩინე ბევრი ისეთი წიგნი და





თვალყურს მივადევნებ იაპონიაში გამოქვეყნებულ მასალებს საქართველოზე და აუცილებლად გამოვიგზავნით. მოზიბლული ვარ თქვენი მშვენიერი ქვეყნითა და საოცრად სტუმართმოყვარე ხალხით. როგორც კი მომეცემა საშუალება, ისევ ჩამოვალ საქართველოში.

გამომშვიდობებისას კიოკო სილამ საჩუქრად გადმოგვცა იაპონელი კავკასიოლოგის, ქართული ენის კარგი მცოდნის (რაც წიგნზე გაკეთებული წარწერიდან ჩანს), პირიტაკე მადეას კიოკო სიდასთვის საჩუქარი წიგნი სახელწოდებით „60 თავი, რომ გავაგოთ კავკასია“. ამ წიგნში, რომლის ერთ-ერთი თავის რედაქტორი სწორედ პირიტაკე მადეაა, არის მასალები საქართველოს შესახებ – მის ისტორიაზე, დღევანდლობაზე, ხე-

სტატია, რომლებმაც ძალიან დამაინტერესა და რითაც შეივსო ჩემს ხელთ აქამდე არსებული ლიტერატურა. მეტად ნაყოფიერი იყო ჩემი მუშაობა არქივშიც, – თქვა მან. დიდი მადლობა მინდა გადავიხადოთ ყველას, ვინც მუშაობდა ჩემთვის საინტერესოა ის მასალებიც, რომლებიც საქართველოსა და იაპონიის კულტურულ ურთიერთობებს ეხება. სიხარულით ავივსე, როცა შევიტყვე, რომ ქართველებს ბევრი იაპონელი მწერლის ნაწარმოები გქონიათ თარგმნილი, ქართველ ბავშვებს იაპონური ზღაპრების წაკითხვაც შესძლებიათ ქართულ ენაზე, იაპონური ხილიც ყოფილა საქართველოში გავრცელებული – იაპონური ხურმა, რასაც ჩვენ „კაკი“-ს ვეძახით. ეს ჩვენებური ხილი თქვენთანაც ძალიან გემრიელი ყოფილა... თქვენს თხოვნას სიამოვნებით შევასრულებ, - დაგვპირდა ის, -

ლოვნებასა და ლიტერატურაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომლის ბაზაზეც დღეს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაარსდა, არაერთი უცხოელი ქართველოლოგი, კავკასიოლოგი თუ ეთნოგრაფი ჰყოლია სტუმრად, მაგრამ კიოკო სიდა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის პირველი სტუმარია და სასიხარულოა, რომ ტრადიცია გრძელდება.





გულიო თომაძე
ამბროლაურის მთავარი ბიბლ. მეთოდ. განყ. გამგე

ლიტერატურული მარათონი – ნარმატაჟული პროექტი

ამბროლაურის კულტურის განყოფილება მთავარ ბიბლიოთეკასთან ერთად უკვე მე-3 წელია წარმატებით ახოსციელებს პროექტს “ლიტერატურული მარათონი – “მწამს მომავალი სახე მცინარი”, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობების დაინტერესება იმ მსოფლიო საგანძურით, რომელიც ბიბლიოთეკების ფონდებშია დაცული, კითხვის უნარისა და გემოვნების განვითარება, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის უკეთ გაცნობა, ახალგაზრდების სულიერი და ზნეობრივი აღზრდა, დამეგობრება, საბიბლიოთეკო ცხოვრებისათვის სასიცოცხლო ფუნქციის დაბრუნება.

აღნიშნული პროექტით კონკურსი ცხადდება სამ ნომინაციაში:

ქართული ისტორიული რომანი;
ქართველი და უცხოელი

კლასიკოსები;

“პოეზია, უპირველეს ყოვლისა!”

მარათონში ჩაებნენ: რაიონში არსებული 20 ბიბლიოთეკა, 15 საჯარო სკოლა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები; მარათონის მზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პედაგოგები, საბიბლიოთეკო და კულტურის სფეროს თანამშრომლები, ჩვენი რაიონის ინტელიგენცია.

კონკურსი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება და მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. სასოფლო ბიბლიოთეკებში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, შეხვედრები კონკურსანტებთან და თავისუფალი საუბრები ლიტერატურის ირგვლივ.


2004 წელს ლიტერატურულ მარათონში მონაწილეობდა 45 კონკურსანტი, 2005 წელს-60, 2006 წელს-96. დაინტერესებულ მკითხველთა რიცხვი თანდათან იზრდება და ბიბლიოთეკაში მუშაობაც მეტ ინტერესს იძენს.

ლიტერატურული მარათონი 3 დღეს მომდინარეობდა და ახალგაზრდებისათვის ნამდვილ

ზეიმად იქცა. მოწვეული გვყავდა ჩვენი ქვეყნის ცნობილი მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, შემოქმედებითი სამყაროს სხვა ღირსეული წარმომადგენლები.

31 ოქტომბერს სწორედ ამგვარი ღონისძიება გაემართეთ – შეხვედრა გვექონდა საპატიო სტუმრებთან. კონკურსანტებს მიესალმნენ პოეტები: ნანა ცინცაძე, თემურ ჩალაბაშვილი, პროექტის ავტორი პოეტი – გურამ გორდენიანი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის მხარის გუბერნატორი – ოთარ სირაძე.

მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო



პრეს-კონფერენცია, ბიბლიოთეკის დირექტორთან – ციური ჯაფარიძესთან და პროექტის ავტორთან – გურამ გორდენიანთან.

1 ნოემბერს მთავარ ბიბლიოთეკაში შეიკრიბა 96 კონკურსანტი, რომლებსაც ტესტირება ჩაუტარდათ. გამოვლინდა 4 გამარჯვებული.

ნომინაციაში “ქართული ისტორიული რომანი” – გამარჯვა გოგა ლომთაძემ (წარმოადგინა ტოლის სას. ბიბლიოთეკამ – ბიბლიოთეკარი ქეთევან ბოჭორიშვილი);

ნომინაციაში “ქართველი და უცხოელი კლასიკოსები” – გამარჯვდა ნიკა ჭელიძემ (წარმო-

ადგინა ამბროლაურის მთავარმა ბიბლიოთეკამ – ბიბლიოთეკარი ნინო ენუქიძე), აგრეთვე ლია სანთელიძემ (წარმოადგინა ჭრებალოს სას. ბიბლიოთეკამ – ბიბლიოთეკარი მარინა მელაშვილი).

ნომინაციაში “პოეზია, უპირველეს ყოვლისა!” – გაიმარჯვა სოფო თვარაძემ (წარმოადგინა ჭრებალოს სას. ბიბლიოთეკამ. – ბიბლიოთეკარი მარია მელაშვილი).

კონკურსანტებს გამარჯვება მიულოცა მუსიკოსმა ზაზა კორინთელმა /ზუმბა/, მომღერალმა ვია ნიკოლაძემ და რეჟისორმა ვია დიასამიძემ. საღამოს კინო-თეატრში გაიმართა დოკუმენტური ფილმის “ადილას” ჩვენება. კონკურსანტებმა სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს სახვითი ხელოვნების მუზეუმი, აქვე მოეწყო ცნობილი რაჭული ღვინოების “ხვანჭკარას”, “თეთრას” და “ბარაკონის” დეგუსტაცია.

სტუმრებმა კოტე ყუბანიშვილმა და კინორეჟისორმა ვოვა ხაინდრავამ მაღლობა გადაგვიხადეს რაჭველებს ასეთ კარგ ღონისძიებაზე და პატიუებისათვის და ახალგაზრდებს მოუწოდეს იკითხონ რაც შეიძლება მეტი და მეტი წიგნი.

2 ნოემბერს საზეიმო ღონისძიება გაიმართა კულტურის სახლში. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი პრიზები და ფულადი ჯილდოები. კონკურსის ყველა მონაწილე დასაჩუქრდა გივი სიხარულიძის, ნანა ცინცაძის და რეზო ამაშუკელის წიგნებით. ყველაზე დიდი სიხარული მოგვანიჭა მომღერალ თემურ წიკლაურის სტუმრო-



ბამ და სიმღერამ. მაყურებელი სცენიდან არ უშვებდა თემურს, ფეხზე ადგომით გააცილეს ის სცენიდან. კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე დედაქალაქიდან ჩამოსული ახალგაზრდა მომღერლები, მოეწყო თექის ნაწარმის ჩვენება (ღიზანური ქეთევან ჭაბუკიანი). ღონისძიება მიჰყავდა პოეტ ნანა ცინცაძეს. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ცაგერის რაიონის და ტყიბულის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა.

სიგელები გადაეცათ კონკურსში გამარჯვებული მკითხველების პედაგოგებს, ჟიურის თავმჯდომარეს ნინო ენუქიძეს და ორგანიზატორს გულიკო თომაძეს.

საღამოს კონცერტი გაიმართა კინო-თეატრში. ვისმენდით შესანიშნავ მუსიკას ზაზა კორინთელისა და მისი ჯგუფის შესრულებით. მასალები გაშუქდა პრესით და ტელევიზიით.

ლიტერატურული მარათონის ღირსეულად ჩატარებას გამოეხმაურნენ ჩვენი რაიონისა და საქართველოს სხვა რეგიონების კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, რისთვისაც მათ დიდ მაღლობას მოვასხენებთ. კონკურსის დაფინანსება ძირითადად შემოწირულობების ხარჯზე მოხდა.

ლიტერატურული მარათონი “მწამს მომავალი – სახე მცინარი” რაიონის ხელმძღვანელობის, ჩამოსული სტუმრების და დამსწრე საზოგადოების მიერ შეფასდა წარმატებულ პროექტად და ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა მთავარ ბიბლიოთეკაზე.



თინა კობაური
საგარეჯოს ც/ბ ბიბლიოთეკარი


რევაზ ინანიშვილის საღამო

2007 წლის 6 თებერვალს საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა ლიტერატურული საღამო, რომელიც მწერალ რევაზ ინანიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა.

შესავალი სიტყვის შემდეგ (თინა კობაური) დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ნაწყვეტები თუ გამოშვებულთა შემოქმედებითი ნაწერები, მიძღვნილი მისი იუბილისადმი, პოეტის ლექსები და

მოგონებები. მკითხველებს ორგანიზატორებმა შესთავაზეს შემდეგი პროგრამა:

- 1) მწერლის ხელით დაწერილი ბიოგრაფიული მოთხრობა, მოგონებები მშობლიურ ხაშმზე, ბებიანზე, სკოლაზე, სიყვარულზე (სტუდენტი მაკა ნინოშვილი);
- 2) მარადიული პეიზაჟი. მოთხრობა (ნათელა დიდმელაშვილი – გიორგიწმინდის კლუბის გამგე);
- 3) ჭირნახული ცხოვრება პოეტისა. მინია-



ტურული მოთხრობები (ანი მოსიაშვილი –II საჯარო სკოლის მე-8 კლასისი მოსწავლე);

4) მინიატურული მოთხრობა (თინა მეზერიშვილი – კულტურის სახლის დირექტორი);

5) ნაწევები „ვამლის ბაღიდან“ (მარინა შიომშვილი – კულტურის სახლის თანამშრომელი);

6) ჩანახატი (ლია ურდულაშვილი – ც/ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი);

7) არწივი. ნოველა (მიმა ხოკერაშვილი – კულტურის სახლის თანამშრომელი);

8) მეწისქვილე ალექსას ნაამბობი. მოთხრობა (პაატა ქვლივიძე – ბიბლიოთეკის მკითხელი);

9) ბლუკები. მოთხრობა (შოთა ბახერაშვილი – თეატრის მსახიობი);

10) დედა. მოთხრობა (გულო დაბახიშვილი – საგარეჯოს საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი).

იმის გამო, რომ ვერ შევძელით საღამოზე მოგვეწვია მწერლის ოჯახის წევრები, მოვიძიეთ მათი მოგონებები რევაზ ინანიშვილზე – მეუღლის, რძლის და შვილიშვილის ჩანაწერები (წაიკითხა მარი გულიაშვილმა – სტუდენტი);

მწერლისადმი მიძღვნილი ზუმრუდ გოდერძიშვილის, ბელა შავლაშვილის, შოთა ხოდამნელის ლექსები წაიკითხა ანი მოსიაშვილმა;

ხალხური ლექსები, რომლებიც განსაკუთრე-

ბით უყვარდა მწერალს, წაიკითხა მიმა ხოკერაშვილმა;

უახლოესი მეგობრების: თამაზ ჭილაძის, ტარიელ ჭანტურიასი და თენგიზ ჩალაურის მოგონებები წაიკითხა – მაკა ნინოშვილმა.

საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ – ვერიკო კერატიშვილმა წაიკითხა მოთხრობა და მსმენელებს მათ მიერ ჩატარებულ იმ ღონისძიებებზე ესაუბრა, რომლებიც მწერლის სახელთან იყო დაკავშირებული. ნინო გამყრელიძემ მკითხველებს საყვარელი მწერლის მოთხრობა წაუკითხა.

სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის მკითხველი მერი ლეჟავა, რომელსაც პირადი ნაცნობობა აკავშირებდა მწერალთან.

დარბაზში სასიამოვნო და ხალისიანი განწყობილება სუფევდა. იყო მადლიერების სიტყვები საღამოს ჩატარების გამო.

ის, ვინც რევაზ ინანიშვილის შემოქმედებას იცნობს, იცის, როგორ უყვარდა ხატვა და რა სითბოთი ხატავდა იგი სოფლის პეიზაჟებს და ასურათებდა თავის მოთხრობებს, ამ სურათების ასლები, მასშტაბურად გადიდებული, მწერლის პორტრეტთან ერთად ისინი შეასრულა და ბიბლიოთეკას აჩუქა მხატვარმა თამარ იორამაშვილმა, რამაც მხახველების დიდი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია.

მოსაზრება

ქეთევან ხინანიშვილი

თბილისის 85-ე სკოლის პედაგოგი-ბიბლიოთეკარი

კითხვა გონაპობისთვის ისავე აუსილვაელია, როგორც ფიზიკური პარჯიში სხეულისათვის

საქართველოში წიგნიერებას, წიგნსა და საბიბლიოთეკო საქმეს ბევრი მოამაგე და მოჭირნახულე ჰყავდა. წიგნთმეტყველება, როგორც ზოგადი მოძღვრება, იმ ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა, რომლებიც ქართულ მწერლობას ეროვნული და სახელმწიფოებრივი განვითარების საკმაოდ რთულ და გრძელ გზაზე შეუქმნია.

ქართველ კაცს ოდითგანვე შვილივით უბეში შეუნახავს და ისე გადაურჩენია წინაპრების ნაღვაწი უძველესი წიგნები. დღესაც მრავალი ჩვენგანის ოჯახში ნახავთ სათუთად შენახულსა და წმინდა ნივთივით გადარჩენილ უძველეს

ხელნაწერს თუ წიგნს. ასეთი მნიშვნელოვანი საქმე იყო ოდითგანვე წიგნის შენახვა და მოვლა-პატრონობა. ამ ტრადიციას საქართველოში ანბანური დამწერლობის, მწიგნობრობის საწყის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ამ საქმეში განუზომლად დიდია ღვაწლი ეკლესია-მონასტრების, სკოლების, სასწავლებლების, სწავლულ მეფეთა და თავადაზნაურობის. თუ არა ჩვენი წინაპრების განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება წიგნისადმი, ჩვენამდე ვერ მიადწევდა ის უნიკალური ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც დღეს XXI საუკუნის ადამია-



ნები ვხვდებით საქართველოსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში – ამერიკასა თუ სირიაში, საფრანგეთსა თუ ისრაელში, საბერძნეთსა თუ იტალიაში. ასეთი იყო მწიგნობრული სულისკვეთება ჩვენი პატარა, მაგრამ უდიდესი კულტურის მატარებელი ქვეყნისათვის. ასეთ ტრადიციების ქვეყანაში საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს მომავალ თაობას ემუქრება.



სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ბოლო ათწლეულში მთელი ჩვენი საზოგადოების ინტერესი კითხვისადმი მეტად შესუსტდა. პირველადგილზე საკომუნიკაციო საშუალებები – ტელევიზია და ვიდეოკომპიუტერი გაჩნდა. ამ საინფორმაციო საშუალებებს კი დიდი გონებრივი დატვირთვა არ ახლავს. ყოველივე ზედაპირული კი უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდების გონებაზე. მეორე პლანზე გადადის ინტელექტუალური, საერთო ცოდნის დონე, ამასთან შემოქმედებითი მოღვაწეობის დონეც. იქ, სადაც არ კითხულობენ, გონიერებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ნათქვამია: “კითხვა გონებისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც ფიზიკური ვარჯიში სხეულისათვის”. პრობლემა, პირველ რიგში, მოსწავლეთა შორის გაჩნდა. არიან მოსწავლეები, ე.წ. “ზარმაცები”, რომლებიც იოლი გზით მოპოვებული ინფორმაციით კმაყოფილდებიან. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ წიგნის მიმართ ინტერესი დაიკარგა. ჩვენი ახალგაზრდები საათებს ატარებენ კომპიუტერთან, უამრავ ინფორმაციას ღებულობენ, მაგრამ ეს ინფორმაცია

ზედაპირულია. ამჯერად სკოლის პედაგოგებისა და ბიბლიოთეკის უშუალო ვალია შევანებინოთ ჩვენს მოსწავლეებს, რომ ზერელედ მოპოვებული ინფორმაცია, ასევე იოლად ეძლევა დავიწყებას, მოსწავლის გონების განვითარებას და მეხსიერების ჩამოყალიბებას კი დიდ სარგებლობას ვერ აძლევს. ვურჩიოთ ახალგაზრდებს, შემობრუნდნენ წიგნისაკენ, ჩავაგონოთ, ვესაუბროთ და ხშირ შემთხვევაში დავეხმაროთ, როგორ იკითხონ, რა იკითხონ, როგორ მოიპოვონ ესა თუ ის ინფორმაცია, დაეუფლონ წიგნის სიღრმისეულად კითხვის ჩვევას და არა ზერელე სწრაფ კითხვას. უნდა ვასწავლოთ სისტემატური კითხვა. სწორედ ასეთი გზით მიიღწევა შედეგი, მხოლოდ ასე შეიძლება ადამიანი ეზიაროს ჭეშმარიტ ცოდნას. მართალია, ეს პროცესი მეტად შრომატევადია და დიდ გონებრივ დატვირთვას მოითხოვს, მაგრამ სანაცვლოდ, ვინც სწორად წარმართავს კითხვის პროცესს, ის სრულყოფილ განვითარებულ შემოქმედ



პიროვნებად ყალიბდება. კითხვის კულტურის დეფიციტი – აი, რა პრობლემის წინაშე დგას ჩვენი საზოგადოება – განსაკუთრებით ჩვენი მომავალი თაობა. სწორედ ახლა, ჩვენს საუკუნეში, როდესაც თითქმის ყველაფერი შთანთქა თანამედროვე ტექნიკურმა საშუალებებმა და მათ მიერ მოწოდებულმა, ხშირად არასასურველმა ინფორმაციამ, საშიშროებაც გააჩინა, რომ ჩვენს მომავალ თაობას ყურადღების მიღმა დარჩება ისეთი ლიტერატურული შედეგები, როგორცაა ჩვენი გენიოსების შემოქმედება, იქნება ეს უცხოური, თუ ჩვენი მშობლიური. არაა გამონაკლისი, როცა თანამედროვე ახალგაზრდებს არ ჰყოფნით ნებისყოფა, თუნდაც ზოგჯერ მაინც, ცოტა ხნით გამოეთიშონ ტელევიზიას, განსაკუთრებით ფუჭ და არაფრის მომცემ სანახაობებს და დრო დიდებულ წიგნებს დაუთმონ, გადაშალონ წიგნი და ეზიარონ ჭეშმარიტ შემეცნებით წყაროს. დღეს ამის პროპაგანდა ჩვენს მომავალ თაობას ნამდვილად სჭირდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ბოლო დროს საერთო გულგრი-



ლობა, უინტერესობა და ზერელე დამოკიდებულება გაჩნდა წიგნისადმი, როგორც საგნისადმიც კი, უკვე საკმაოდ იკვეთება ძალიან მძიმე პერსპექტივა. ამიტომაც საჭირო დიდი ყურადღება, მუშაობის მეტი შანსის მიცემა სკოლის ბიბლიოთეკებისათვის, რათა ისინი აქტიურად ჩაებნენ ყველა იმ პრობლემის მოგვარებაში, რისი საფრთხეც რეალურად არსებობს. სანამ გვიან არ არის დაუბრუნოთ ახალგაზრდები წიგნს, დაე, თვითონ გახდნენ შემომქმედნი, სკოლის ბიბლიოთეკა აქტიურად უნდა დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს, სწორად შეარჩიოს წიგნები, დამოუკიდებლად იმუშაოს, შეძლოს წარმოაჩინოს თავი. მივცეთ ახალგაზრდებს საშუალება, შეიცნონ და შეისწავლონ ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის საკითხები, რაც სასწავლო პროგრამებით არ ისწავლება. მივცეთ მათ შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების

შესაძლებლობა, რომ შემდგომში სწორად განსაზღვრონ თავიანთი ცხოვრების გზა, ზუსტად აირჩიონ თავიანთი შესაფერისი სპეციალობა, იყვნენ ერუდირებულნი და დამოუკიდებელნი, ღრმა ინტელექტითა და ცოდნით აღჭურვილნი. სწორედ ასეთი თანამედროვე ადამიანი ესაჭიროება დღეს ჩვენს საზოგადოებას.

და ბოლოს, ყველა ის, ვისი მოვალეობაცაა გარკვეული წვლილი შეიტანოს ჩვენი თაობების აღზრდაში, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც პირველივე წლებიდან იწყებენ მოსწავლეობას მუშაობას და ანბანის სწავლებას, ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რომ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცოს ადამიანმა წიგნი. ჩვენი მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის. ჩვენი მომავალი თაობა სრულფასოვანი, შემოქმედი და განათლებული უნდა გაიზარდოს, რათა მათ თავიანთი სიტყვა თქვან ცხოვრებაში.



ნინო კაპანაძე
თბილისის 85-ე სკ. IX კლ. მოსწავლე

დაპირუნდეთ წიგნებთან!

XXI საუკუნეში წიგნიერმა ადამიანმა ერთგვარად დაკარგა პოპულარობა. რატომ ვაცხადებ ამას ასე დაბეჯითებით? წინათ, როცა ამა თუ იმ პიროვნებას რაიმე ინტელექტუალური დახმარება დაჭირდებოდა, ყველაზე განათლებულ კაცს მიმართავდა, ახლა კი იმ განათლებული კაცის ადგილი კომპიუტერმა დაიჭირა, და რა საუაღალო შედეგი მივიღეთ! წაგვერთვა უფლისაგან ბოძებული თავისუფალი გონება და ნება, ფაქტობრივად, მანქანები ჩვენი წარმმართველები გახდნენ, თუმცა კი გვგონია, რომ ჩვენ ვმართავთ მათ. აბა, დაჯექით ერთი კომპიუტერთან და დაიწყეთ “თამაში” – დღე ისე გავა, ვერც კი გაიგებთ. ვინმემ რომ თამაშის შეწყვეტა გთხოვოთ, ლამის “თავში ჩაარტყათ” და ისე მოიშორო. დღის ბოლოს ცხოვრებიდან “გათიშული”, ძლივს მილასლასდებით საწოლამდე.

ტელეფონი იმისთვის გამოიგონეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ, გაიოლონ ურთიერთობა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი უკიდურესად

განვითარებული შთამომავალი, “მობილური”, ნამდვილად “ჩვენი ცხოვრების მახელ” იქცა. მრავალი გასართობითაა სახსე და საკმაოდ ძვირადღირებულ “სიამოვნებად” მოგვევლინა. საჭიროა მისი ზომიერი, გონებრივი გამოყენება, რომ ტვინის “გასალაყებლად” არ გაგვიხდეს. ბევრჯერ გამიგონია თანატოლებისაგან: “მობილურით დავიწყე თამაში და ისე გამოვიითიშე, დამავიწყდა შიმშილიც და წყურვილიც, მეცადინეობისთვის უწინაც ვერ ვიდებდი თავს და ახლა გაკვეთილებს სულ ვერ ვუდებ გულსო”. ეს ადამიანები შიმშილით სხეულს აყენებენ ზიანს, გაუნათლებლობით – გონებას.

ტელევიზორი ხატოვანად “ემშაკის ყუთად” მონათლეს – ყველა ოჯახში მუდამდღე ჩართულია, ასეულობით არხს იჭერს და ათასგვარ უმსგავსო პროგრამას უჩვენებს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ღირსშესანიშნავ გადმოცემას ვუყურებთ, სწორედ იმის გამო, რომ დიდი ნაწილი დათმობილი აქვს არაფრისმომცემ, არაპუმანურ, სისასტიკითა აღსავსე და უხამს

გადმოცემებს, უწოდეს მას დამამცირებელი სახელი – “ემშაკის ყუთი”. დიდი დაკვირვება და ნებისყოფა გინდა ადამიანს, გონივრულად გამოიყენო კაცობრიობის ეს უდიდესი გამოგონება.

ბავშვებს რომ უთხრათ, წიგნი წაიკითხეთ, მოსაცდენად სადა მცალიაო, გიპასუხებენ, ეგ ჩვენი საქმე არ არისო. მიაჩნიათ, რომ წიგნზე უკეთ და მეტი კომპიუტერმა იცის. ერთმანეთთან გულახდილი საუბარი დაგვიძვირდა; აზრის გაზიარება, მსჯელობა, წაკითხულის შეფასება, წიგნის განხილვა უკვე აღარ იჭერს თანატოლების გონებას. ის, რომ ჩვენს მოსწავლეებს გაუღარიბდათ მეტყველება, ვეღარ პოულობენ შესაფერის სიტყვებს საუბრის დროს, ეს ძირითადად უწიგნურობის ბრალია. განა იმიტომ ხდება ეს, თითქოს ჩვენს ღვთიურთხეულ ენაში საჭირო სიტყვები არ მოგვეპოვება, არამედ იმიტომ, რომ ეს სიტყვები წიგნებში წერია, ჩვენი თაობა კი ნაკლებად ეტანება წიგნებს. სამწუხაროდ, ამ “ემშაკის მანქანების” გამოყენე-

ბა ათასი ჯურის საქმოსანმა ავანტიურისტებმა იმგვარად მოახერხა, რომ ქრისტიანებს “სატანის საწინააღმდეგოდ” ვითომდა უფალთან კონტაქტის საიტებიც კი გაგვიხსნეს, ეს კი ღვთისმოსავთ ნამდვილად არ გვეკადრება.

სწავლებამაც თითქოს დაკარგა თავისი ძალა და ფასი, ნაკლებად ვსწავლობთ ლექსებს, ისე გაგვეყინა ტვინი, ანგარიში დაგვავიწყდა, უკეთ რომ ვთქვათ, სულაც აღარ ვსწავლობთ, რაკი დამხმარედ კალკულატორი დავსახეთ. ყოველივე ამას წიგნისაგან ჩამოშორება, მისი უგულვებელყოფა გვიშვება. ნუ დაგვკარავთ ჩვენი ცხოვრების ნირს, ერთმანეთის სიყვარულსა და ადამიანობას, გონიერებასა და თავისუფლების შეგრძნებას, დამოუკიდებელი აზროვნების უნარს.

დავბრუნდეთ წიგნთან! მე მოვუწოდებ ყველა ჩემს თანატოლს – იქ არის ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი და ჭეშმარიტება, სიკეთე და სიყვარული!

იუბილე

ზეინაბ ჟიჟილაშვილი

ორი კოლეგის ას-ასი წელი

(სავერიან ბაღელია – 100, ბრიგოლ ზაქარაია – 100)

ვინც სვეერიან გადელას ბიოგრაფიას გაეცნობა, თვალწინ დაუდგება ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება უმწიკვლოდ გაატარა, მან მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა ერის, ხალხის, ქვეყნის წინაშე. ის ყველას მიმართ პირნათელი, თავისი სინდისის წინაშე წმინდა იყო.

მოდვარჯობის პერიოდში თავი გამოაჩინა როგორც შრომისმოყვარე, კვალიფიციურმა სპეციალისტმა. ჰქონდა კარგი ორგანიზატორული ნიჭი; საქმეში ჩახედული კაცი იყო. მისი რჩევა-დარიგება ყოველთვის იყო მაღალკვალიფიციური. თავის გამოცდილებას დაუზარელად გადასცემდა ყველას, ვინც ამას საჭიროებდა.

იყო თანმიმდევრული და პრინციპული, ყველა დავალების მაღალ დონეზე შემსრულებელი. უყვარდა დისციპლინა: იყო უაღრესად ყურადღებიანი. სწორედ ამ თვისებების გამო

დაიმსახურა დიდი პატივისცემა კოლეგებსა და მკითხველებს შორის.

სვეერიან გადელია დაიბადა 1907 წლის 7 ნოემბერს გალის რაიონის სოფელ რეფოშეშელეთში. საშუალო განათლება ქ. ზუგდიდში მიიღო. 1926 წელს და მუშაობა თავის სოფელში სკოლის მასწავლებლად დაიწყო.

1932 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფაკულტეტი, პოლიტეკონომიის სპეციალობით.

1932-35 წწ. სვეერიან გადელია პოლიტეკონომიას ასწავლიდა თბილისის კომერციულ ტექნიკუმში.

1937 წელს დაამთავრა განათლების სამინისტროს პედაგოგიური მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა,



პედაგოგიის სპეციალობით.

1937-41 წწ. ბატონი სევერიანი მუშაობდა ქ. დუშეთში პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად, ხოლო 1939-1941 წწ. ფასანაურში საშუალო სკოლის დირექტორად.

1941 წელს გაცვეულ იქნა არმიის რიგებში. 1941 წ. დემობილიზებული, ამავე წელსვე დაინიშნა მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტში ინსპექტორად. პარალელურად კითხულობდა ლექციებს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში.

1951 წელს მუშაობას იწყებს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში სწავლულ მდივნად, ხოლო შემდეგ დაინიშნა ბიბლიოთეკის მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ.

დაჯილდოვებული იყო მედლებით, სიგელეობით, არაერთი მადლობით.

მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, მათ შორის საგულისხმოა ქ.შ.წ.კ.გ.ს. სკოლების და ბიბლიოთეკების ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებული მასალები.

გრიგოლ ზაქარაია იყო გულმართალი, ჩუმი, მოკრძალებული ჟურნალისტი. იგი დაიბადა 1907 წლის 20 ოქტომბერს, სოფელ ნაჯახოვო-

ში (მარტვილის რაიონი). საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა სწორედ იქ დაიწყო მასწავლებლად. 1930 წელს რაიონის განათლების განყოფილებამ ის სასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგზავნა, რომელიც 1934 წ. დაამთავრა. იმავე წელს მუშაობას იწყებს გაზეთ “კომუნისტის” რედაქციაში ჯერ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ პარტიული ცხოვრებისა და პროპაგანდის განყოფილებაში ინსპექტორად.

1941 წელს გაცვეული იქნა არმიის რიგებში, თუ რა ქარცეცხლმა გადაიარა მის თავზე, მოთხრობილია წიგნებში: “ქართველები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში”, “კალმით და ხიშტით”, “ყირიმის ველებზე”, “სამშობლოდან დაშორებით” და სხვ.

1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა გაზეთ “სახალხო განათლებაში” განყოფილების გამგის თანამდებობაზე. 1948 წელს კი სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტში იწყებს მუშაობას უფროს ინსპექტორად.

1953 წელს გრიგოლ ზაქარაია მუშაობას შეუდგა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ, ხოლო 1971

წლიდან, პერსონალურ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, ინიშნება ამავე განყოფილების მთავარ ბიბლიოგრაფად. 1995 წლის 30 ივნისს გრიგოლ ზაქარაია გარდაიცვალა. მან სამაგალითო ცხოვრებით იცხოვრა, გარკვეული კვალი დატოვა დარგის განვითარების საქმეში, თავისი ვალი მოიხადა ყველას წინაშე, არასოდეს არ უღალატებია საყვარელი საქმისთვის.


ყოველთვის დინჯი და აუჩქარებელი, მშვიდი და თავშეკავებული, პრინციპული და ორგანიზებული, ყველგან და ყოველთვის მშვიდობისა და სიკეთის მთესველი, უტყუარი მეგობარი და ამხანაგი, გულთბილი და გულისხმიერი მეოჯახე ყველასათვის მისაბაძი ადამიანი იყო. ასე იცნობდნენ მას მისი მეგობრები და კოლეგები. სწორედ ამ თვისებების გამო დაიმსახურა დიდი სიყვარული და პატივისცემა.

მიღებული ქონდა მთავრობის ჯილდოები: მედ-


ლები, სიგელები, საპატიო წოდება, მადლობები. გ. ზაქარაია ავტორია 50-ზე მეტი მეთოდური ნაშრომისა, 40 ბიბლიოგრაფიული საძიებლისა და მაჩვენებლის, მრავალი საგანგებო პუბლიკაციის, რეცენზიების, წერილების რადიოგადაცემისთვის, მისი რედაქტორობით არაერთი ნაშრომი გამოიცა.

ამ ორმა პიროვნებამ – სევერიან გადელიამ და გრიგოლ ზაქარაიამ ერთად იცხოვრეს, ერთად იშრომეს, მეგობრულად განვლეს ერთად 40-წელზე მეტი, ერთად აკეთეს ბევრი სასიყვართო საქმე ბიბლიოთეკისათვის, ერთად იყვნენ ჭირსა თუ ლხინში.

ისინი, რომელთაც მენსიერებაში შემორჩათ ამ ორი პიროვნების ხსოვნა, მომდევნო თაობებს უეჭველად გადასცემენ მათ სახელებს, თავად კი ღიმილით, სითბოთი და სიყვარულით მოიგონებენ მათ.



ივლიტა ერიაშვილი



თამარ მაჭავარიანი – 100

ცნობილი ბიბლიოგრაფი, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი დაიბადა 1896 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ბორში. საშუალო განათლება ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში მიიღო.

ქ-ნმა თამარმა ბავშვობიდანვე შეიყვარა წიგნი და მისი განუყრელი მეგობარი გახდა.

1912 წელს, 17 წლის ახალგაზრდა, შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას – ჯერ ზესტაფონის პროკიმნაზიაში, შემდეგ (1915 წლიდან) ქუთაისში – “სინათლის” საზოგადოების ქალთა სასწავლებელში.

1920 წელს ის სამუდამოდ სახლდება თბილისში და კვლავ განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას “განათლების” საზოგადოების ქალთა სასწავლებელში, რომელიც

1921 წლიდან შრომის სკოლად გადაკეთდა, ხოლო შემდეგ – პედაგოგიურ ტექნიკუმად.

1923 წლიდან ქ-ნი თამარი მასწავლებლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშფაკში. 26 წელი იმუშავა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ვისაც კი ერთხელ მაინც მოუსმენია მისი წმინდა ქართული, დამაჯერებელი, დინჯი ლაპარაკი, არასოდეს დაავიწყდება ტკბილად მოუბარი თამარ მასწავლებელი.

1931 წლიდან თ. მაჭავარიანი შეთავსებით იწყებს მუშაობას სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. 1938 წლიდან თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და მთელი თავისი არსებით საჯარო ბიბლიოთეკის მუშაობა-



ში ერთვება. 1931 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებას და დიდი ამაგი დასდო მისი აწყობისა და მოწესრიგების საქმეს.

1935 წელს თამარ მაჭავარიანმა საფუძველი ჩაუყარა კავკასიოლოგიურ (ამჟამად ქართველოლოგიის) განყოფილებას. დაუცხრომელი შრომით თავი მოუყარა კაბინეტის დამხმარე ფონდს, ააწყო კატალოგები და კარტოთეკები.

მან შეკრიბა და აღადგინა ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, შეადგინა ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ივ. ჯავახიშვილის შრომების სრული ბიბლიოგრაფია საძიებლებითურთ, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის 11 წიგნი.

მომამაგე ადამიანის ეს ნაშრომები XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ცოდნის დაუმრეტელ წყაროს სათავედ იქცა, რომელიც საზოგადოებისათვის ცნობი-

რობით, თანავეტროობითა და რედაქტორობით გამოცემულია არაერთი ნაშრომი, სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებელი, საავტორო ტაბულები და სხვ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის თ. მაჭავარიანს ქ.შ.წ.კ.გ საზოგადოების ფონდების დამუშავებაში, რომელიც 1936 წელს გადაეცა ეროვნულ ბიბლიოთეკას. მანვე შეავსო და გაამდიდრა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებთან – ვიქტორ ნოზაძესა და მიხეილ კვალიაშვილთან ერთად “ვეფხისტყაოსნის” კოლექცია. ყოველივე ეს იყო მოსამზადებელი სამუშაო იმ დიდი საქმის მოსავგარებლად, რომელსაც სამვილიშვილო საქმეს უწოდებდნენ ჩვენი მეცნიერები.

“ქართული მეცნიერული ბიბლიოგრაფიის მესვეური, ფუძემდებელი”, “დედამთავარი”, “ქართული კულტურის დარაჯი”, “ხალხის უანგარო მსახური”, “ქართული წიგნის ღვაწლმოსილი ამაგდარი”, “საჯარო ბიბლიოთეკის ხერხემალი”, “მკვლევართა უანგარო მეგზური”, “ქართული კულტურის ქურუმი”, “წმინდა თამარი” და “ქართველი სათნო ქალის განსახიერება” – ასე უწოდებდნენ მას.

თ. მაჭავარიანი ეკუთვნოდა იმ კეთილსინდი-



ლია “ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის” სახელწოდებით. თამარ მაჭავარიანის შრომა მარტო მასალის აღწერა-სისტემატიზაციაში არ გამოიხატება, მის მიერ დადგენილია ბევრი ხელმოუწერელი სტატიის ავტორთა ვინაობა, მისი დამსახურებაა ი. ჭავჭავაძის 34 ხელმოუწერელი სტატისა და ვაჟას ორი უცნობი წერილის მოკვლევა და გამომხეურება, მრავალი ფსევდონიმისა და კრიპტონიმების გახსნა. თ. მაჭავარიანის ავტო-

სიერ, უანგარო ადამიანთა რიცხვს, ჩუმიად, უხმაუროდ რომ აკეთებდნენ დიდსა და სასარგებლო საქმეს. მასთან ხშირად მოდიოდნენ საკონსულტაციოდ სხვადასხვა დარგისა და სპეციალობის ადამიანები არა მარტო საქართველოს რაიონებიდან, არამედ მაშინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან. მასთან ერთად უმუშავიათ ცნობილ უცხოელ ქართველოლოგებს: ჩეხ ი. იედლიჩკას, უნგრელ ლაიოშ ტარდის, ინგლისელ სტივენ ჯონსს,

იტალიელ ლუიჯი მაგაროტოს, გერმანელ ჰანს ფეინრიხს, ჯორჯ ჰუიტსა და სხვებს.

თ. მაჭავარიანი იყო ლიტერატურის ისტორიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის ენციკლოპედისტი, განათლებული და იშვიათი გამოცდილების ადამიანი. განსაკუთრებით ანცვიფრებდა ადამიანს მისი ფენომენალური მეხსიერება. ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი: ქართველოლოგიის განყოფილებაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა. დილის 10 საათი იქნებოდა, როცა დარბაზში ჩემთვის უცხო მკითხველი შემოვიდა. შეწუხებული ჩანდა, უნივერსიტეტიდან ვარ, ერთი კვირაა ყველგან ვეძებთ არჩილ ჯორჯაძის სურათს, მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ, დღეს მისდამი მიძღვნილი საღამოა და ძალიან გვესაჭიროებაო. დრო ცოტა გექონდა პასუხისთვის, იგი სამ საათზე უნდა მოსულიყო. მთელი განყოფილება ეძებდა სურათს, მაგრამ ამაოდ. ქნი თამარის იმედილა გექონდა, მაგრამ იგი სამი საათისთვის უნდა მოსულიყო. გახდა სამი საათი და ქნი თამარიც მისთვის ჩვეული პუნქტუალობით შემოვიდა განყოფილებაში. სკამზე დაჯდომაც არ ვაცალე, ისე მოუყევი ჩვენი გასაჭირი. ყურადღებით მომიმინა და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ დახუჭა თვალები, ერთი წუთით ჩაფიქრდა და მერე თითქოს თავისთვისო, ჩაილაპარაკა: – დიახ, ეს იყო 1913 წლის მარტის თვე, თოვლნარევი წვიმა მოდიოდა, ზესტაფონის სადგურში ვიდექი ქოლგით ხელში. სადგურში აუარებელი ხალხი ირეოდა. უცებ ხალხი აჩოჩოლდა და აქეთ-იქით შეძახილები გაისმა: “მოსვენებენ! მოსვენებენო!” სადგურში შემოვიდა მატარებელი, რომელზედაც ყვავილებში ჩაფლული არჩილ ჯორჯაძის ცხედარი ესვენა, – ქნმა თამარმა ხმამაღლა ფიქრი შეწყვიტა და მითხრა: “ივლიტე ჩემო, აბა, მოიტანე 1913 წლის “სახალხო გაზეთის” სურათებიანი დამატების მარტის ნომერიო, – მე უხმოდ და სწრაფად შევასრულე მისი დავალება. უზომო იყო ჩვენი სიხარული, როდესაც ერთი კი არა, არჩილ ჯორჯაძის რამდენიმე სურათი მოვინახეთ. სურათი დროზე გადავეცით უნივერსიტეტიდან წარმოგზავნილს, რომელიც უკვე მერამდენედ იმეორებდა: ასეც ვიცოდი, რომ სწორი მისამართით მოვდიოდით.

როცა ამ წერილს ვწერდი, ოთახში ფერიდე

კვაჭანტირაძე შემოვიდა (ჩვენ ორივე თამარისა და კლარა რამიშვილის მოწაფეები ვიყავით).

თამარი სამართლიანი, ახალგაზრდების მოყვარული და კეთილშობილი პიროვნება იყო, მაგრამ თუ ვინმეს საქციელი არ მოეწონებოდა, მაშინ მკაცრი და უხეშიც კი ხდებოდა. აი, რა გაიხსენა ფერიდე: ქნი თამარი და ფერიდე საღამოს ცვლაში მუშაობდნენ. შემოსულა უცხო მკითხველი, რომელიც თურქეთის საზღვრებში მყოფი ქართული არქიტექტურული ძეგლებით ყოფილა დაინტერესებული. ფერიდეს მთელი სამუშაო დღე ამ მკითხველისათვის დაუთმია და ბოლოს, როცა მკითხველს ამ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხი მიუღია, გახარებულს წიგნში სამი მანეთი ჩაუდგია და ფერიდესათვის გადაუცია, ფერიდე ისე შეუმფოთებია ამ ამბავს, რომ აღარ იცოდა თურმე რა მოემოქმედა. ეს შეუმჩნევია ქნი თამარს, რომელიც ყოველივეს თვალყურს ადევნებდა, მისულა მკითხველთან და უთქვამს: – აიღეთ ეს თქვენი სამი მანეთი და მიბრძანდით, თქვენ აქ ცოდნის ტაძარში ხართ მობძანებული და არა ბაზარშიო, – კიდევ ბევრი რამის მოგონება შეგვიძლია მის მოსწავლეებს, მაგრამ ეს ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანს.

თამარ მაჭავარიანი იყო “დამწყებ მეცნიერთა და გამოცდილ მეცნიერთა განუყრელი მრჩეველი და დამხმარე”, “ახალგაზრდების დიდი მეგობარი”, “კეთილის მსურველი და დამრიგებელი”, “გამამხნეველები და შთამგონებელი”, “მეცნიერებისათვის გულშემატკივარი”, “ქართველ მწიგნობარ ქალთა ღვაწლის ბრწყინვალე გამგრძელებელი, რომლის შრომა და საქმენი ღირსია მხატვრულ ლიტერატურაშიც კი აისახოს.” დ. ჯანელიძის აზრით, თ. მაჭავარიანის “შრომამ და ღვაწლმა დიდად წასწია წინ კვლევა-ძიება მეცნიერების ყოველ დარგში”, რომ მისი “თავდადებული შრომით და კვლევა-ძიებით დავალებულია ყველა, ვისაც წიგნებით სარგებლობა უხდება”.

თამარ მაჭავარიანის საქმეს ღირსეული გამგრძელებლები ჰყავს მისი უშუალო მოწაფეების – დამსახურებული ბიბლიოთეკარების: კლარა რამიშვილის, მზია მეგრელიძის, ჟანა ქვათაძისა და მთელი კოლექტივის სახით. კ. რამიშვილის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით დამუშავდა და გამოიცა თ. მაჭავარიანის ბიბლიოთე-

ბიბლიოთეკარის დასახმარებლად

ცისანა წერეთელი

საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამედროვე საბიბლიოთეკო -საინფორმაციო სისტემები

(ეკოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგთა მიხედვით)

თანამედროვე საბიბლიოთეკო სფეროს ინოვაციური პროცესებიდან, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო პრობლემატურ საკითხად საინფორმაციო სისტემების და მათი რაციონალურად გამოყენების ჯერჯერობით გადაუჭრელი საქმიანობა რჩება. მრავალ პუბლიკაციაში, საბიბლიოთეკო თუ ბიბლიოგრაფიული ხასიათის კვლევებში, მართალია, ამაზე საუბარი კი გვხვდება, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევები და რეკომენდაციები ნაკლებად ქვეყნდება. თუ როგორ უნდა განხორციელდეს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის საინფორმაციო-საცნობო ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფა, გვინდა გავაშუქოთ ეკოლოგიური და საბუნებისმეტყველო თემატიკის ლიტერატურისა თუ ინფორმაციების ძიების მაგალითის მიხედვით; მით უმეტეს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში განმარტება ეკოლოგიური და სხვა მეცნიერებების საინფორმაციო სისტემების შესახებ არცთუ სიღრმისეულადაა გაშუქებული. როგორც ცნობილია, ნებისმიერი სისტემა ნაწილებისგან შედგენილი ერთობლიობაა, რომლის კავშირები და მიმართებები ქმნის ერთ მთლიანს.

საქართველოში საბიბლიოთეკო სისტემა ეროვნული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილია და, ამდენად, ბიბლიოთეკაში მოპოვებული ინფორმაციებიც ლოკალურ სისტემურ სფეროს განეკუთვნება. მაგრამ არის კი სხვადასხვა თემატიკის შესახებ მოპოვებული ეს ინფორმაციები სრულყოფილი ნუსხის საინფორმაციო ელემენტები? აღნიშნული საკითხის შესახებ მასალა თითქმის არ მოიპოვება და პრობლემა დღევანდელ ეტაპზე გადაუჭრელად გვესახება.

კვლევის პროცესში გამოყენებული საინფორმაციო თემატური სისტემები ინდივიდუალური ბუნებისაა და, ვფიქრობთ, მათი გამოყენების მრავალფეროვნება დამოკიდებულია პიროვნე-

ბის საინფორმაციო კულტურაზე, ცხადია, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება შემუშავდეს თემატური საინფორმაციო სისტემების სტანდარტები მათი შემადგენელი ელემენტების გათვალისწინებით, დაჯგუფებითა და განმარტებით, ინდივიდუალური საინფორმაციო თემატური სისტემის შესწავლის შემდეგ. სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში ბიბლიოთეკარ-მეთოდისტების არსებობა მათგან საინფორმაციო-საძიებო ჩვევების გამომუშავებას მოითხოვს. ნებისმიერი თემის და, მით უმეტეს, ეკოლოგიური თემატიკის ლიტერატურის ერთი მიმართულებით ძიებით პრობლემის განხილვა ან მის არსში გარკვევა შეუძლებელია თუნდაც იმის გამოც, რომ საინფორმაციო ძიება გულისხმობს ბიბლიოთეკის სხვადასხვა ქვეგანყოფილების მონაწილეობას. რაც შენება თვით მეთოდური განყოფილების კვლევითი სამუშაოების დიფერენცირებულად წარმოებას – ეს უკვე თავად გულისხმობს აღნიშნული პრობლემის გადაჭრისკენ სწრაფვას.

ნებისმიერი თემატიკის კვლევითი სამუშაოებისთვის ინფორმაციის მოპოვების მიზნით ძიება შემდეგი საინფორმაციო წყაროებიდან ხორციელდება: ინტრანეტ-ინტერნეტ-ექსტრანეტი, კონფერენციები, სემინარები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შესაბამისი სფეროს საწარმოები, ბიბლიოთეკების ინტეგრირება საერთაშორისო საინფორმაციო-საბიბლიოთეკო სისტემაში (MIRC); საბიბლიოთეკო ნოვაციად აღიქმება ეკოლოგიური ვირტუალური ვებ-ცნობების ასახვა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენება ინფორმირების მიზნით (პრესაკეტი, პრესრელიზი), გამოკვლევები და ლიტერატურა ამ კვლევების შესახებ... თუმცა საინფორმაციო თემატური სისტემის შემად-



გენელი წყაროების ნუსხა შეიძლება თანამედროვე ეტაპზე ატარებდეს მობილურ ხასიათს და ჩამონათვალი შეიკუმშოს ბიბლიოთეკებში და საერთოდ საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში ავტომატიზაციის პროცესების დაწერვის გამო. საინფორმაციო სივრცეში ინფორმაციით სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია ექსტრანეტ-ინტრანეტ-ინტერნეტის ქსელის სრულფასოვნად გამოყენების შესაძლო ვარიანტები.

მიმართულება “თანამედროვე სოციოკულტურულ სიტუაციებში საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მეცნიერებები”, ვფიქრობთ, მკვლევარის ინტერესების პროფესიული და გააზრებული ლობირების საწინდარი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ საინფორმაციო სისტემების შესახებ ინტერნეტში სხვადასხვა სახის ინფორმაციის ნაკადი მოიპოვება, სისტემატიზაცია სწორედ დროულია, მით უმეტეს, რომ ცნებები, რომლებიც ინტერნეტის ქსელის საინფორმაციო წყაროებშია ასახული, შემდეგი ფორმით გვხვდება:

ა) ელექტრონული საინფორმაციო სისტემები – www.eisystem.ur.ru (233 წყარო)

ბ) საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემები – www.atrinfo.ru. - (12014 საიტი და 136 591 დოკ).

გ) ИКТ – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები – www.ict.edu.ru. (1771 დოკ).
დ) www.region.2003.ru

ე) conf.rsu.ru

ვ) МИБС (www.mibs.ts.ru). ნოვაციები ეკოლოგიაში და ა.შ.

ევრაზიის საბიბლიოთეკო ასამბლეის და იუნესკოს მიერ მოწოდებულია პროექტი: “ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივების შესახებ”. ამ პროექტში ყურადღება გამახვილებულია საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

(<http://text.book.open.web.ru>). პარალელურად მოპოვებულია მასალა ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებზე, რის შესახებაც რუსეთის საინფორმაციო სივრცეში გამოიცა დოქტრინა “საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ”; მოწოდებულია მომზადდეს კურსები: “ინტერნეტში ინფორმაციის პროფესიული ძიება”, “ინტერნეტის საცნობო-ბიბლიოგრაფიული

რესურსები”, “სისტემა ИРБИС : თეორია და პრაქტიკა”, “ინტერაქტიული პროფესიული ურთიერთობები” და ა.შ.

საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ პუბლიკაციებში ცნება ИКТ საჭიროებს დაზუსტებას: ერთ შემთხვევაში ИКТ განმარტებულია როგორც საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები; მეორე შემთხვევაში კი – საინფორმაციო-კომპიუტერული. აღნიშნული ცნებები, როგორი შინაარსობრივი დატვირთვისაც არ უნდა იყოს საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შესახებ სისტემის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს. შესაბამისად, ვფიქრობთ, საინფორმაციო თემატური სისტემის ცნებაში აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ ყველა იმ შემადგენელი ელემენტის ერთობლიობა, რომელიც მოიპოვება მსოფლიო, ევროპული, სამამულო თუ რეგიონულ საინფორმაციო სივრცეში. ამ მიმართებით საინტერესოა: საერთაშორისო უნიკალური საგამომცემლო პროექტი, რომლის რეალიზება მიმდინარეობს შემდეგი ნომინაციით: “ფიზიოლოგია/მედიცინა”, “ქიმია”, “საბუნებისმეტყველო მეცნიერებები”, “ეკოლოგია” და ა.შ. რუსეთის წიგნის პალატის საიტი www.bookchamber.ru, საინფორმაციო სისტემის შემადგენელი ელემენტების ერთ-ერთ საფუძვლად ის კანონებიც მოიაზრება საბიბლიოთეკო სფეროში, რომლებიც შეეხება საგამომცემლო სავალდებულო ეგზემპლარებს. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული და МБА-ს ცენტრი, რომელიც გვაწვდის ანალიტიკურ მიმოხილვით ინფორმაციებს წარმოებებისათვის, მათ მიერ კონკრეტული ეკოლოგიური ამოცანების შესრულების მიზნით; ყოველ თვეს გამოიცემა მაჩვენებელი – “ახალი წიგნები ეკოლოგიაში”, “ეკოლოგია და ბავშვთა ჯანმრთელობა”, “საინფორმაციო და სპეციალისტის დღეები”, ვფიქრობთ, სისტემის შემადგენელი ელემენტებია.

ეკოლოგიური თემატიკის საინფორმაციო რესურსების ფორმირების აუცილებლობის მიზნით, სასურველია, ეკოლოგიური საინფორმაციო სისტემების გარდაქმნა კომპიუტერული ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სასურველია აგრეთვე, სამედიცინო-ეკოლოგიური საგანმანათლებლო ლექტორიუმები, ვიდეო-ფილმები, ტრენინგები სხვადასხვა თემატიკაზე დაინტერესებული საზო-


გადობისთვის. საგულისხმოა, რომ საბავშვო და ახალგაზრდულ ბიბლიოთეკებში იქმნება პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფილია მეცნიერულად და მეთოდურად დასაბუთებული ინფორმაციებით. ამ ინფორმაციათა ნაკადი მოპოვებულია შეკრების, ანალიზის, შერჩევითი სამუშაოების შესრულებით და ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით. დამუშავებულია პროგრამა “საინფორმაციო ლიდერი”. ამ პროგრამის მთავარი მიზანია მსოფლიოს საინფორმაციო სივრცის შესახებ სისტემური კონცეფციის ფორმირება, რაც საფუძველია სხვადასხვა საინფორმაციო თემატური სისტემების შესავსებად ახალი შემადგენელი ელემენტებით. პარალელურ რეჟიმში სასურველი იქნებოდა ბიბლიოთეკის მომხმარებლის ან მკითხველის საინფორმაციო კულტურის შესწავლა სოციოლოგიური კვლევების გამოყენებით. აღნიშნული მიმართულებით გამოკვლევები საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ სისტემის შემადგენელი ელემენტების რეალური საჭიროება ბიბლიოგრაფიული ინფორმირების მიმართებით. პროფესიულ ლიტერატურაში საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელემენტად მოიხსენიება ბიბლიოთეკების მიერ გამოცემული პუბლიკაციები. მოსწავლეთა ეკოლოგიური, საბუნებისმეტყველო ლიტერატურით თუ ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით დამუშავებულია სხვადასხვა თემატიკა: “მოსწავლეთა საინფორმაციო კულტურის საფუძვლები”, “მკითხველთა მოთხოვნა ეკოლოგიური თემატიკის წიგნებზე”, კვლევები: “ბიბლიოთეკა და მოზარდი”, “ბავშვი, წიგნი, კომპიუტერი” და ა. შ.

პუბლიკაციებში საინფორმაციო სისტემების თემატური ნუსხა სხვადასხვა ელემენტებითაა წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციების პერიოდში, ნებისმიერი საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებულია და ამჟამადაც ხორციელდება სამუშაოები საინფორმაციო სისტემაში ახალი ელემენტების შესწავლის ასპექტით, რათა უკეთ იყოს გაგებული ნებისმიერი ყველა იმ პრობლემის არსი, რომელსაც აწყდება ნაციონალური საინფორმაციო სისტემა. პუბლიკაციების და სხვადასხვა გამოცემების დაგეგმვა, კვლევების შედეგების შესახებ ინფორმირება ხორციელდება ცნობარის მეშვეობით: <http://www.book.coe>.

fr. საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელემენტებად ნებისმიერი ბიბლიოთეკების რესურსებიცაა დასახელებული, რომლებიც პირობითად შეიძლება დაიყოს ქალაქის, ელექტრონულ და მიკროფილმების შემცველ (ვიდეოფილმები) წყაროებად. უნივერსალური ინფორმაციის მიღების მცდელობა სხვადასხვა სპეციალისტების მიერ უფრო გაადვილდება, თუ მათ მივაწვდით მისამართს – <http://melvyl.cdlib.org>. აღნიშნული კატალოგი საშუალებას იძლევა ვიპოვოთ ბიბლიოთეკების ელექტრონული მისამართები კოორდინირებული ურთიერთობების დამყარების მიზნით, მით უმეტეს, რომ შესაძლებელია ყველა ბიბლიოთეკის ლოკალური კატალოგების გაცნობა, რომლებიც დეტალურად აღწერს მათში შენახულ ფონდებს (ჟურნალები ელექტრონულ ფორმატში ან ონლაინური დაშვებით). მისამართზე: <http://sul.stanford.edu>. შესაძლებელია ჟურნალების და წიგნების ელექტრონული ფორმით სიების გაცნობა; რაც შეეხება მათზე მისაწვდომობას, ბიბლიოთეკის საზღვრებში შესაძლებელია თითოეულ ელექტრონულ გამოცემაზე უფასო დაშვება.

საინფორმაციო თემატური სისტემის შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ელექტრონული რესურსის ახალი ფორმით წარმოდგენა, რაც საინფორმაციო სისტემის შემადგენელი ელემენტებით მოწესრიგების, მისი შესაძლებლობის გაუმჯობესების მიზნითაა მოწოდებული. აღნიშნული რესურსების ჩანაწერის ამგვარი ფორმა საშუალებას გვაძლევს, მოიძებნოს ინფორმაცია, ლიტერატურა, გაირკვეს, არის თუ არა იგი ტრადიციულ კატალოგში, რა ფორმითაა სასურველი მისი ასახვა. მაგ: {Кузменько М.Компьютерная этика и право. (Электронный èvèyèè). Кузменько М.– Режим доступа. <http://www.gtk.p.p.ru/it-eth.htm>. Вых. дан.орил.: М., 2005.} (ინოვაცია საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სფეროში.)

21-ე საუკუნის საბიბლიოთეკო ნოვაციადაა მიჩნეული მიმართულება პროფესიული თემატიკის კომუნიკაციების (ИКТ და ИКОМТ) განვითარება: ა) ინფორმაციის სისრულის უზრუნველყოფის მიზნით ნავიგაციის სისტემების შესწავლა; ბ) ინტერაქტიული პროფესიული საშუალებების ჩართვა; გ) ბიბლიოთეკის საინფორმაციო მასალების (კონფერენცია, სტატია



და ა. შ.) განთავსება; დ) მსოფლიოს საინფორმაციო თემატური თუ გლობალური სისტემების შესახებ სისტემური წარმოდგენის ფორმულირება და შესაბამისად პროგრამის დამუშავება. აღნიშნული პროექტის რეალიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია პუბლიკაციების თემატური სისტემა. მაგალითად, 2003 წელს გამოცემულია რამდენიმე ბუკლეტი სერიით “ინფორმნავიგატორი”. თემატიკა ძირითადად შეეხება ბავშვთა და მოზარდთა საინფორმაციო კულტურას, კითხვის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და ა.შ.

ჟურნალ “Иновация”-ს პუბლიკაციებსა და კვლევებში ჩამოყალიბებულია კონცეფციები მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ინოვაციური მიმართულებების შესახებ, რაზედაც შეიძლება ინფორმაცია მიეწოდოს ბიბლიოთეკებს.

ინფორმირების სრულყოფილად მართვა, მისი ეფექტურობა, განისაზღვრება ტრადიციულ კატალოგებზე და კარტოთეკებზე პერმანენტული მუშაობით და პარალელურად ელექტრონული რესურსების ექსპლოატაციით. თუ რა კრიტერიუმებია გათვალისწინებული კონკრეტულ შემთხვევებში, დამოკიდებულია მკვლევარის და მომხმარებლის საინფორმაციო თვალსაწიერზე, ბიბლიოთეკის ფონდების გახსნის სისრულესა და კატალოგებში ახალი გამოცემების ასახვის ოპერატიულობაზე. ვფიქრობთ, საცნობო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო საქმიანობის ეფექტურობა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, იმით, თუ რამდენად სრულყოფილად, ოპერატიულად, დიფერენცირებულად და ეკონომიურად ხდება მასალის თავმოყრა და გავრცელება კონკრეტული თემატიკის ინფორმაციით სხვადასხვა მეცნიერებათა დარგების განვითარების უზრუნველყოფის კუთხით.

საინფორმაციო ძიების სფეროში ინოვაციური თეორიის დამფუძნებელია ი. შუმპეტერი. მისი თეორია მოიცავს მიმართულებებს განათლების და ინფორმირების სისტემაში ორი სტრატეგიის თანაარსებობას და ტრაქტირებას, პიროვნების მომზადებას ახალ საზოგადოებაში საინფორმაციო საქმიანობის წარმართვისათვის, შემოქმედებითი უნარის, აზროვნების სხვადასხვა ფორმის განვითარებას და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობას; მეთოდური სამუშაო-

ის ეფექტურობა სწორედ იმით განისაზღვრება, თუ ბიბლიოთეკა რამდენად აქტიურად ნერგავს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში სამეცნიერო კვლევების შედეგებს. მაგ. ეკოლოგიის თემატიკის ლიტერატურით ფონდების დაკომპლექტება, სასურველია განხორციელდეს: ა) ტრადიციული წყაროებით; ბ) კატალოგით “Boks in print;” გ) ვირტუალური წიგნის მაღაზიით Biblion.ru; Biblioglobus...; დ) ვირტუალური გამომცემლობებით www.kniga.ru... (YAMAMЦПП და საერთაშორისო წიგნის შესახებ; ე) ელექტრონული ფოსტით წიგნის მიღება; ვ) ეკოლოგიური თემატიკის ლიტერატურით ინფორმირების უზრუნველყოფით, რაც მნიშვნელოვანია პრეპრინტების შესახებ ელექტრონული ინფორმაციისას, რომელშიც 5 საიტი და 6 დოკუმენტია განხილული; ზ) ინტერნეტში წიგნის მაღაზიების შეტყობინებებით. აქ მოიაზრება “Бюллетень нових поступлений за месяц, год.”

საინფორმაციო თემატური სისტემების შემადგენელ ელემენტად მოიაზრება კონკრეტული ბიბლიოთეკიდან მიღებული მონაცემთა საინფორმაციო რესურსები. მაგალითად, რუსულ საინფორმაციო სივრცეში მოწოდებულია პროგრამა “ხედვა 2020წლამდე”. პროგრამის ძირითადი არსი მდგომარეობს: 1) ინდივიდის მიერ საინფორმაციო საქმიანობის განხორციელებაში საკუთარი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; 2) სასწავლო მასალების მოპოვებაში შემდგომი გამოყენების მიზნით. 3) საინფორმაციო ძიების ჩვევების დაუფლებასა და სწავლაში; 4) მოპოვებული საინფორმაციო მასალიდან ძირითადის გამოყოფასა და ყურადღების წარმართვაში.

თემატიკა “ბიბლიოთეკები და ეკოლოგია XXI-ში” არსებული საინფორმაციო სისტემის ფარგლებში გულისხმობს ყველა სიახლის მიწოდებას საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული ტექნოლოგიების გამოყენებით. (სხვადასხვა პროგრამების ანალიზი: მაგ: “Заголовок”, პროექტები: “АгоАа,” “Строитель”, “Хайлайф”).

ინფორმაციის ძიების პროცესის განხორციელების მიზნით, საინფორმაციო მომსახურების სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისთვის სასურველი იქნება გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო ბაზრის პრობლემების ცოდნა. ამავე დროს, საინ-

ტერესო იქნება გლობალური საინფორმაციო თემატური ფონდის შექმნის მცდელობაც, მაგალითად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის პრობლემებთან დაკავშირებული ინფორმაციების სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებში ასახვა, საკლასიფიკაციო ინოვაციური კვლევითი სამუშაოების ჩატარება შედეგების რეალიზებით, საინფორმაციო მომსახურების სფეროში დასაქმებული ფირმების, ორგანიზაციების საქმიანობის რეკლამირებას <http://www.rir.csti.ru>.

ამრიგად, ეკოლოგიური განათლების თუ ინფორმირების საინფორმაციო სრული უზრუნველყოფის სისტემის შექმნის შესახებ, სასურველია, განისაზღვროს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც გულისხმობს სახელმწიფოს, რეგიონის, ქალაქის თუ კონკრეტული ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმირებას. (მაგ: რადიოაქტიური დაბინძურება, ახალი აპარატურული მეთოდების დანერგვა, წყლის რესურსების დაცვა, ექსპერტიზა, მინი სოციოლოგიური კვლევები და სხვა.); ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ცნება “ფონდის სისტემის დამუშავება”, “დაკომპლექტების კოორდინირება”, ვფიქრობთ, ეკოლოგიური თუ სხვა მეცნიერების სხვადასხვა თემატიკის პრობლემის მრავალასპექტურობა სრულყოფილად გადაიჭრება უნივერსალური და თანამედროვე ფონდის და თანამედროვე საინფორმაციო რესურსების სრულად გამოყენების საფუძველზე.

საინფორმაციო სისტემების ფლობის ცნება ეკოლოგიური ლიტერატურის შემთხვევაში აუცილებლად გულისხმობს ინფორმაციის დამუშავების მეთოდებში გარკვევას, ინფორმაციის მოპოვების წყაროების შესახებ ინფორმაციების იდენტიფიცირებას, პირველადი და მეორადი დოკუმენტური ნაკადის გამოყენებას. [Иванова А. Ю. Особенности потока педАвиДн»Г и вВоАиДн»Г документов в пАиоАиВеВном научном направлении (на пАимеАе экологии). Дис. 2002.05.09. /Биб-ка РАН]

გარდაქმნის ეპოქაში თანამედროვე საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემების შესახებ მიმართულებები, უპირველესად, განისაზღვრება ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური თუ სხვა საინფორმაციო ასპექტებით და მოიცავს შემდეგ მოდულებს: ა) ცოდნა და ინფორმაცია; ბ) მდუმარე ცოდნა; გ) მრეწველობის სხვადასხვა დარგში

ცოდნის და ინფორმაციის არათანაბარი განვითარება; დ) ინფორმაციის შენახვა ელექტრონული საშუალებებით; ე) ეკოლოგიურ-ელექტრონული რესურსების აღწერა და ბიბლიოგრაფიული კარტოთეკების ან მონაცემთა ბანკის შექმნა.

განხილული და გაანალიზებული მასალის საფუძველზე, ჩვენი აზრით, ზოგადად “საბიბლიოთეკო სისტემის” გაგებისას შეიძლება შემოვიღოთ შემდეგი ქვესისტემები:

ა) საინფორმაციო თემატური სისტემა ბიბლიოთეკების შიდა სივრცეში;

ბ) საინფორმაციო სისტემა შემადგენელი ელემენტებით რეგიონული ასპექტით;


გ) საინფორმაციო სისტემები დსთ და რუსეთის მასშტაბით (www.forum-sng.org);

დ) ევროპისა და აზიის საინფორმაციო სისტემები;

ე) გლობალური თემატური საინფორმაციო სისტემები (ა.შ.შ, ევროპა, რუსეთი, დსთ-ს ქვეყნები, ბალტიისპირეთი და აზია) ჰიპერკავშირებით;

ეკოლოგიის დარგში სრულყოფილი ინფორმირება დამოკიდებულია ბიბლიოთეკების მუშაობის ეფექტურობაზე, რომელიც იზომება კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების მიხედვით. ყველა ფუნქცია, რაც დაკავშირებულია ბიბლიოთეკების მუშაობასთან – დაკომპლექტება, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობა და სხვა, იზომება შემდეგი კრიტერიუმებით: ა) ფონდის დაკომპლექტების სისრულე; ბ) მკითხველის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული სრულყოფილი უზრუნველყოფისთვის ფონდის სისრულე, ინფორმაციის მისაწვდომობა; გ) მკითხველის მოთხოვნის აქტივობის ხარისხი კონკრეტული დარგების მიმართ და მკითხველთა მიერ ფონდის ცალკეული განყოფილების გამოყენების დონე მთელ ფონდთან მიმართებაში; დ) ინტერნეტში კოორდინირებული ძიების მიზნით, სხვადასხვა თემატიკის ლიტერატურის, ინფორმაციის მოძიებისთვის მრავალგვარი ძებნის მექანიზმების გამოყენება.

ჩვენი აზრით, საინფორმაციო სისტემების შემადგენელი ელემენტების დაჯგუფების მცდელობა ინფორმაციის სრულყოფილად წარმოსახვის კუთხით, საწყის ეტაპზეა. ეკოლოგიურ-საინფორმაციო სისტემების ცნება, ვფიქრობთ, მოიცავს ეკოლოგიური კულტურის და ეკოლო-



გიური განათლების საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის არსებობას ინფორმირების სხვადასხვა ელემენტებით.

აღნიშნული საკითხის შესახებ მოცემული სქემა, შეიძლება, რეკომენდირებული იქნეს სპეციალისტებისათვის, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო სფეროს მეთოდური სამსახურის, ასევე სხვა მკვლევართათვისაც. სქემა, რის მიხედვითაც აუცილებელია და სასურველიც საინფორმაციო ძიების ჩატარება, პრობლემური საკითხის შესწავლის მიზნით, როგორც ასეთი, არ არსებობს, მხოლოდ ფრაგმენტულად მოწოდებული ინფორმაციებით კი პრობლემა ვერ გადაიჭრება. აღნიშნული საკითხი ვეცადეთ განხილულიყო კონკრეტულის ფარგლებში, ხოლო ინფორმაციის საესეობის თვალსაზრისით, ჩვენი მცდელობა საკითხის გადაჭრისა, ვფიქრობთ,

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კვლევითი პროცესების საწყისად დავსახოთ; თანამედროვე საინფორმაციო სივრცე ფორმირდება ევოლუციის შედეგად და მისი პირველსაწყისი ელემენტარული კომპონენტებისგან შედგება, რომლითაც, ბოლოს და ბოლოს, განსაკუთრებით რთული სტრუქტურა წარმოიქმნება. თვით საინფორმაციო თემატური სივრცე კი ეფექტურად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მისი კომპონენტი იმყოფება სისტემატურ ერთიანობაში.

p.s. სტატია შეიქმნა 2000-2006 წლებში პროფესიულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების, ინტერნეტრესურსებისა და სხვა მასალების საფუძველზე.

რეცენზია

თეიმურაზ ქურდოვანიძე

ბულის გაღახსნა, ანუ მრავლსახეობის ერთიანობა

(გიორგი ეკიზაშვილი. ბილიკები – ლექსების კრებული. 2006)

ავტორი წიგნისა არაორდინალური კაცია. მას უყვარს თავისუფლება და ლიტერატურა, სიტყვასთან ჭიდილის შემდეგ ნაპოვნის მშვენიერებითა და სიძლიერით აღფრთოვანება.

გიორგი ეკიზაშვილი კრებულის პირველივე ლექსში გვიმჟღავნებს თავის იდეალს. ლექსის “მე ის კაცი ვარ, ვინც სიზმრებში ხედავს ტრამალებს...” ქვეტექსტი ჩემთვის იეითხება შუახნის კაცის ფიქრად (იქნებ, ოცნებად) – როგორი უნდა, რომ იყოს. სურვილთა ეს მრავალფეროვნება მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩანს, იდეალისკენ სწრაფვა არ მთავრდება...

ჩვენ ყველანი იმედის ქვეყნიდან მოვდივართ: ველით ყოველდღე, დაუსრულებლად, მღელვარედ, ზოგჯერ ტანჯვითაც და ეს მოლოდინი, ეტყობა, სიცოცხლის ბოლომდე არ მიგვატოვებს, როგორც არ ეხსნება გიორგი(ჟორჟ) ეკიზაშვილს. იგი, როგორც ჩვენი თაობის სხვა ადამიანები, სიყრმეშივე მოატყუეს, ფოტოაპა-

რატის წინ მდგარი ბიჭი დააჯერეს, რომ სიბნელიდან ჩიტი გამოფრინდებოდა. მან ნათქვამი გააზვიადა და წარმოიდგინა, რომ ათასფრად აჭრელებულ უცხო ფრინველს უნდა დალოდებოდა, მაგრამ ჩიტი დღემდე არ ჩანს.

“ახლა ის ბიჭი აღარ ვარ,
აღარც ზღვა მანსოვს კარგად
და მზეც ისე ვეღარ მწვავს,
სამფეხა აპარატებიც დინოზავრებით
გადაშენდნენ...
ვღგავარ, საკუთარ ცხოვებას შევეყრებ
და ბნელი წიაღიდან
ჩიტის გამოფრენას ველი...”

ეს განცდა რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული და მას, როგორც ზოგადადამიანურს, ყველა იცნობს, თუმცა ძალზე ინტიმურადაც რჩება და წილნაყარია იდუმალებასთან – ცხოვ-



რებაში ყველა თავის სასწაულს ელის.

მოლოდინის თემა მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია იმ სამყაროსი, რომელსაც გიორგი ეკიზაშვილი თავის მკითხველს ანდობს. ამ წიგნის გაცნობა ააშკარავებს, რომ გიორგი ორ განზომილებაში ტრიალებს. პირველი – რეალურად არსებული, გაუტანელი, მწლაკე, იმედგაცრუებებითა და წინააღმდეგობებით სავსე, ბედისგან დასაზღვრული სივრცეა, მეორე – რომანტიულ საბურველში გახვეული, იმედისმიერი.

ბავშვობაში დარჩენილა კალის ჯარისკაცების “ომი მხიარული, ლაღი, აშკარა”. ზრდასრულობიდან დაწყებული ცხოვრებასთან ქანცისგამცლელი ჭიდილის ხანა...

“ახლა თვითვე ვარ ჯარისკაცი, ბედის მებრძოლი,

მაგრამ, ომია სულ სხვაგვარი, უჩინარი, დაძაბული, ყოველდღიური...

და უფრო მეტი დამარცხებაა, ვინემ ყიჟინა გამარჯვებისა...

და ყოველ ღამე, წაგებული ომით დაღლილი, სანამ ბალიშზე თვალს დავხუჭავ,

ერთს ვიმეორებ მორცხვი ჩურჩულით:

“ხვალაც ომია, ხვალ გავიმარჯვებ...”

გიორგი ეკიზაშვილი ქართულ პოეზიაზე გაიზარდა, მაგრამ, ამას გარდა, ბედმა კიდევ იმით გაანებივრა, რომ სიჭაბუკიდან აზიარა ძველ და ახალ ფრანგულ ლიტერატურას. მისი თარგმანები ფრანგულიდან უკვე ორმოცი წელია იბეჭდება. ამ სულიერი საზრდოს გავლენით გაიზარდა და დავაჟკაცდა მისი ლექსი, დაეხვეწა გემოვნება.

გიორგის სურს დაგვაჯეროს, რომ მოუხერხებელია თავისი მოუწესრიგებელი ცხოვრების რაღაც წესრიგთან მიახლიება, თუმცა ამაოდ. ის კი სიმართლეა, რომ თავის ჩითვის ბუდეში მარტოობის სევდა ყოველდღე უცხოებს ცხოვრების პურებს და აძღებს მისით:

“ავდგები, გავალ,
შაქარს ვიყიდი,
ნამცხვარსაც...

...

მერე დავბრუნდები,
წყალს გახჭურაზე შევდგამ,
მაგიდასთან დავჯდები,
აღულებას დაველოდები,

ჩაიდანს გადმოვდგამ,
ყავის კოლოფს გავხსნი
და ორ ფინჯანში ჩავყრი...
ვინ იცის, იქნებ ვინმე
მოვიდეს...?!
გაუმარჯოს სიმარტოვეს!”

პოეტი წუხს, რომ ჩვენში ჭეშმარიტ მორწმუნეობას ეტმასნება ყალბი მორწმუნეობა. მავანი და მავანი ესწრება ღვთისმსახურებას, ყოველი ეკლესიის დანახვისას პირჯვარს იწერს და ამით ჰგონია, რომ “სულში ატარებენ მაცხოვრის უხილავ ნაწილს”. სინამდვილეში რწმენაში ვერასოდეს დამკვიდრდება, ვინც ეკლესიიდან გამოსული მრუდე გზით დადის.

გიორგის თვალს შეუძლია ერთი შეხედვით უმნიშვნელოში განსაკუთრებული შეამჩნიოს, უფრო სწორად, ჩვეულებრივი განსაკუთრებულის ხარისხში აიყვანოს. შეუძლებელია, გულგრილი დარჩე იმ მძიმე შეგრძნების წინაშე, რომელიც დაფიქსირებულია მის სტრიქონებში. უსათაურო ლექსის ეპიგრაფში ვკითხულობთ:

“ალავერდობაზე, მოხუცი, გამხდარი ქალი, დოლის ხმაზე, თავჩაქინდრული უვლიდა წრეს...”

ამ სურათით პროვოცირებული საკუთარი განცდა ტრაგიკულამდეა აყვანილი.

“გიცეკვიათ სიცარიელეში?”

ძველო მოცეკვავევ, ავი გაგიგონია,

ცეკვა სხეულის მიერ ნათარგმნი სულიაო?!
გიცეკვია სიცარიელეში?

როცა ტანგოს ცეკვა და გეტირება,

როცა ქვითინია რიტმი ცეკვისა...

გიცეკვია სიმარტოვესა და სიბნელეში?

როცა ბინას ერთი მბჟუტავი ნათურა ანათებს და

შენი მოცეკვავე ნახევარი არ ჩანს...

გიცეკვია სიმარტოვესა და სიცარიელეში?

როცა სხეული შენი და მხოლოდ სხეული შენი ავსებს

მეასედ ნაწილს შენივე საკუთარი სიცარიელისა?!”

ტკივილის პოეტურ ფორმაში მომწვედვეა ძნელი საქმეა. ძნელია იგი მით უმეტეს, თუ ჭრილობა სისხლისმიერის დაკარგვასთან არის დაკავშირებული. გიორგი ეკიზაშვილისთვის სამზეოდან ან სიბნელეში წასულებზე სევდას დაუტოვებია შიში, შიში ქვეყნიდან წასვლისა და

ტკივილზე არანაკლებ დაუძლეველი განცდა, შიში ამქვეყნად დარჩენისა.

“– რა დაგვიტოვებ, სიბნელეში წასული ძმებო?”

– უთქმელი სიტყვა,

დაუცვლელი ღვინის ჭიქა და სინანული...

– რა დაგვიტოვებ, სიბნელეში წასული ძმებო?”

– ჩვენი ფიქრები,

ხმების სითბო

და გახსენება...

– რა დაგვიტოვებ, სიბნელეში წასული ძმებო?”

– შიში არ ყოფნის,

– შიში აქ ყოფნის...

– სიბნელეში წასული ძმებო, რად დაგვიტოვებ?”

ჩვენი ჭრელი ცხოვრება, იქნებ ცხოვრებას მიმსგავსებული ყოფა, ბევრისთვის მწარე, სხვებისთვის ტკბილი, შეუფერხებლად იცვლება და დროთა კავშირი დარღვეულია არა მარტო ჰამლეტისათვის... ავტორი თვლის, რომ ახლა აღარ არის მტანჯველ ფიქრთა მონოლოგიტო გამოხატვის დრო, ახლა მხოლოდ ანტიმონოლოგი შეიძლება დაიბადოს:

“ყოფნა, არ ყოფნა?”

საკითხავი არაფერია...”

ახლა გამართლებული, დაკნინებულია პრობლემებისადმი დამოკიდებულება. ადამიანი გადაეჩვია ღელვას, გულგრილობამ მოიცვა და ეს ავტორისათვის ნამდვილად არ არის ტკივილის გარეშე დარჩენილი თემა.

ანტიმონოლოგს ვერ შექმნი მათხოვარ ბიჭუნასთან შეხვედრისას. რით უშველოს უპოვარ ბიჭს პოეტმა, რომელიც ავად არის

“რადაც სხვანაირი

ავადყოფობით, რომლის წამალი ჯერ არავის მოუგონია”.

ეგეც არ იყოს, პოეტს არაფერი აქვს გასაცემი “ერთი ცრემლის გარდა”. იმის იმედი კი რჩება: “...ადამიანის ცრემლი იქნებ რამეში წაგადგეს?”

პოეტი ვერაფრით ეგუება დროის სწრაფად წარმავლობას. იმას, რომ დრო ცვლის ყველაფერს, ადამიანებს კი, ყველაზე მეტად. გიორგისთვის წუხილის აღმძვრელია ბავშვობის მდი-

ნარესთან მისვლა. აქ მას ჰეიზაჟი თითქმის უცვლელი დახვდა: ნაცნობი მდინარე, იგივე წისქვილი, იგივე თხმელა და ძროხები, რიყეც იგივე. უფრო მეტიც, ახლა მდინარეში შესულს, იგივე სიცივე აიტანს და ისევ ძველებურად დასველდება. აქ დაფიქსირებულ “მოჩვენებით უცვლელობაში” იმალება ტკივილის მიზეზი: “ყოველივე ამ იგივეში, მე ვარ სხვა...”

ახალი დროის შეილება ნიღბებით ვდგავართ ცხოვრების ფიცარნაგზე და ვთამაშობთ ვინ ვის და ვინ რას. გიორგი ეკიზაშვილს სურს, ერთი ადამიანის მაგალითზე გაგვახსენოს, რომ

“დღისით სიარულს ერიდებოდა,

რადგანაც დღის სინათლეზე

ადამიანები არიან ისეთები,

როგორებიც არ არიან...

ღამით კი...

მთვარის შუქი და ვარსკვლავების ციმციმი

აღვიძებს იმას, რაც ადამიანებს ცოტათი მაინც

მალა ეზიდება

და რის წარმოჩენაც დღისით რცხვენიათ...”

გიორგი ეკიზაშვილის ლექსებისა და თარგმანების ეს თხელი წიგნი საინტერესო სამყაროს გადაგვიძლის, დამუხტულია ემოციით და საკითხავადაც სასიამოვნოა. ფრანგული პოეზია მასში წარმოდგენილია ვარსკვლავური სახელებით. მთარგმნელს შეურჩევია სხვადასხვა დროისა და მიმართულების, განსხვავებული ხელწერის პოეტები. მიზანი ერთია – ქართველ მკითხველს შეუქმნას მცირედი წარმოდგენა ფრანგულ ლექსზე.

გიორგი ეკიზაშვილის ორიგინალურ ლექსებში გაცხადებულია სულიერ სითბოს დახარბებული კაცის ფიქრები. იგი სულ საქმიანობს, მაგრამ მაინც იმაზე წუხს, რომ “ღუმს, ღუმს, ღუმს ტელეფონი... გთხოვთ, გთხოვთ, გთხოვთ დამირეკეთ...”


გიორგი თავს ხალისიან, ენამახვილ, იუმორით სავსე ადამიანად გვიჩვენებს. ეს წიგნი კი გვიმხელს სხვათათვის ფარულ სინამდვილეს და ეს სულაც არ არის პოზა.



ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

გურამ თაყნიაშვილი

პოეზიით სულანთაგული



“ფერიასავით ლამაზი”, “საშუალო ტანის კაფანდარა” – ასეთი ეპიტეტებით ამკობს პოეტი ქალის – ანა ერისთავის გარეგნულ იერს “ქალთა გაზეთი” (2004, №11). ეს სიტყვები მისი, როგორც ქალის, ერთი შეხედვითაა ნათქვამი და დაწერილი, თორემ მის სულიერ სამყაროში რომ ჩაეხედათ, მისი პოეზიის ნიმუშების სტრიქონებს შუა აზრებს რომ ჩამწვდარიყვნენ... თუმცა, სცადეთ და წაიკითხეთ, განიცადეთ, დატკბით ჭეშმარიტი პოეზიის სურნელებით; საამისოდ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მის ლექსებს ნუ დაუწყებთ ძებნას, ქალბატონი ანა უკვე სამი პოეტური კრებულის ავტორია. პირველი კრებული, რომელმაც ავტორს ჭეშმარიტი აღიარება და მკითველის სიყვარული მოუტანა, ამ ათიოდე წლის წინათ გამოიცა “გაზაფხულის” სახელწოდებით. ეს წელი თითქოს მართლაც პოეტის სულში ჭეშმარიტი გაზაფხულის შემოსვლა იყო. პოეზიის დიდ სამყაროში შემოსვლა ნამდვილი გაზაფხულია; გაზაფხულივით იმედიანი, თბილი და იმ ნაკადულივით ძლიერი, რომელიც თოვლის დნობისას აიმღვრევა, ადიდდება და მერე, ამინდის დაწყნარების კვალობაზე, თვითონაც დაწყნარდება და ნელა მიუყვება თავის კალაპოტს. ასეთი დინებით გაჰყვა ანა პოეზიის ყვავილოვან, ზოგჯერ ბურუსით მოსილ გზას; გაჰყვა, იღვაწა, შექმნა, დაიხარჯა და მეორე კრებული გამოსცა (“მეწამული ბილიკი” 2003); ამით პოეტმა ქალმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მის შემოქმედებას ფხიზლად ადევნებს თვალყურს მკითხველი, იგი შეიყვარეს როგორც უნახესი გრძნობის მომღერალი და ჭეშმარიტი სულის პოეტი; ყოველ მის ლექსში შეიმჩნევა სულიერი სრულყოფა, სწრაფვა

შინაგანი მეს სრულყოფილად შემეცნებისა და გახსნისა. ამის ნათელი დადასტურებაა პოეტი ქალის მესამე კრებული “დედაშვილობა”, რომელიც გასულ წელს გამოიცა. პოეტი აღიარებს, რომ ამ ქვეყნად ყოველი ჩვენგანი “წუთისოფლის ჩქარი მგზავრია”, რომელიც სულ გზაზე დგას, მიდის, მაგრამ გზადაგზა სიკეთეს უნდა თესავდეს, მოყვასის სული სითბოთი და იმედით უნდა აღავსოს. პოეზიის საგნად ბევრ შემთხვევაში ავტორს მიჩნეული ჰყავს ქართველი წმინდანები, მხურვალე მამულიშვილები, თავდადებულნი და წამებულნი. მეფე თამარი მისთვის “ქართველთა დამწყალობელი და სულსანთლიანი დედაა”, რომელიც ანგელოზებთან ბინადრობს, იგი ერის ზღუდე და მახვილია.

პოეტის მესამე კრებული “დედაშვილობა” გამსჭვალულია დედისადმი სიყვარულით: “კაბას ქათქათას, თოვლზე სპეტაკს აქვს დედის სუნი”. პოეტს ესიზმრება ცისკრის წირვა-ლოცვაზე აჩქარებით წასული დედა, პოეტი ღმერთს შესთხოვს, არ მორთოს მისი გაზაფხული შავებით, არ დაამსგავსოს “მგლოვია რე რუბლებს”. მას სწამს, რომ მამულის ფუძის გამაგრება დედაშვილობის მადლია. სახელოვანი წინაპრებისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტი ივსება ხან სინანულისა და ხანაც სიამაყის გრძნობით. პოეტის აზრით, ივანე ჯავახიშვილმა, საუკუნეთა მიღმა განჭვრიტა ჩვენი უიღბლობა – ჩვენი სიმცირე (“ჩაკრულო” – 2003, №10-11).

პოეტი სულის სიმშვიდეს ეძებს ჩამავალი მზის ფერმერთალ სხივებში, რომლებიც თანდათან კარგავენ ძალას, ვინაიდან თავად მზეა “გადაღლილი ქვეყნის ხმაურით” (ლიტ.საქართველო. – 2004. – 1-17 ოქტ.). პოეზიის სიყვარული, ყოველ მის სტრიქონს რომ აღმაფ-

ანა აჩიოსთავი

ლექსები



დედამეილობა

რენას მატებს, ეპატიჟება “ზეციურ ლხინში”. აქ პოეტს უჩნდება კითხვა, შეძლებს კი იგი აქამდე ამდღეობას? “როგორ ავზიდო ცოდვილ-მა ფრთები?” პოეტი ქალი მორიდებით გამო-ხატავს სიყვარულს სამშობლოსადმი, სიკეთის გზაზე მავალი პოეტი არ გრძნობს დაღლას, გრძნობს, რომ მზის ქვეშ მყოფს, დიდი ვალი აქვს მოსახდელი: “რაც სამზეოდ ვიყავი, სიკე-თის გზაზე მივლია”. ცისკენ ლტოლვილი “პო-ეტის სული გრძნობს იების სინაზეს, დედის მხურვალე ლოცვას, რომელსაც “კალთა ჩიტე-ბით აქვს ავსილი”. პოეტს ჭეშმარიტად სწამს, რომ მასაც და სიკეთის მეტეებელს მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს: “გადამარჩინა, სიყვა-რულმა გადამარჩინა,... სიძულვილი და შუ-რისძიება დამაგდებინა”. სწორედ სიყვარულმა განუმტკიცა მას რწმენა და მისცა შენდობის, პატიების, მონანიების ნიჭი. ამ თვისებათა მხატ-ვრული ფერებით გადმოცემა ცისფერ ზოლად გასდევს ანა ერისთავის პოეზიას.

ანა ერისთავი – ონის საბიბლიოთეკო გა-ერთიანების დირექტორი, ცხოვრობს აქტიური ცხოვრებით. არის არა ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებისა თუ სცენარის ავ-ტორი. პოეტი და შემოქმედი ქალი ღირსეულად გახდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი (1987წ.), არის მრავა-ლი პერსონალური გამოფენის მოწყობის ორგა-ნიზატორი. პროფესიით ბიბლიოთეკათმცოდნე ანა ერისთავი დღენიდაგ ტრიალებს წიგნების სამყაროში, უყვარს წიგნი და უფრო მეტად ადამიანი, მკითხველი, ბავშვი, რომელთა სული-ერი მდგომარეობის გამოსატყვას ასე მარჯვედ ცდილობს თავისი პოეზიის ნიმუშებში.



ანა
აჩიოსთავი
ლექსები

გადამარჩინა,
სიყვარულმა გადამარჩინა,
ყაყაჩოები, როგორც მირონი,
წყაროდ აღინა,
სიძულვილი და შურისძიება
დამაგდებინა,
სავედრებელი წმინდა სანთლები
დამანთებინა,
— ადამ, მიყვარხარ,
სამოთხის ბაღი თუმცა დავეარგეთ,
ეს ფოთოლცვენაც სიყვარულია,
ქროლვა გავსწავლეს.



“მე სიყვარულით მოვედი თქვენთან”

გვინდა ჩვენი მკითხველი დავარწმუნოთ, რომ ია პალტაგაშვილი-ხანუკაშვილის პოეტური კრებული “მე სიყვარულით მოვედი თქვენთან” უეჭველად დიდ ესთეტიკურ განცდას აღუძრავს ყველას, ვინც იცის პოეზიის მაღლი და ძალმო-სილება.


ქალბატონი ლია ქართული ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების სულისკვეთებით აღზრდილი ებრაელია, რომლის შემოქმედებაში ნათლადაა ასახული ჩვენი ებრაელებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ორი სამშობლოს სიყვარულის გამთლიანების გრძნობა. მისი პოეზია, რომელიც დასახელებულ პოეტურ კრებულშია წარმოდგენილი, გამოირჩევა მრავალფეროვანი თემატიკითა და მაღალი პოეტური მეტყველებით. როგორც ღრმამორწმუნე, ის, უპირველეს ყოვლისა, ღვთის წინაშე იხრის ქედს; მისი ლექსების უდიდესი ნაწილი სამშობლოს სიყვარულის გრძნობითაა გათბარი. შეიძლება ითქვას, შემოქმედის უმთავრესი თემა პატრიოტული თავდადებაა. მაგრამ აქ საკმაოდ ძალუძრად ჟღერს მოქალაქეობრივი მოტივები, მორალურ-ეთიკური მრწამსისადმი ერთგულება, სიყვარულს უმღერის მისი მრავალი

ლექსი, პოეტი გულწრფელად ქადაგებს ტოლერანტობასა და ადამიანურ სიკეთეს, უგალობს დედაშვილობის განცდას. მისი ლექსები აღსავსეა ოპტიმიზმით, მხნეობითა და მომავლის წრმენით, თუმცა არც ღრმარწმენაა მისთვის უცხო, რაც მეტად ფაქიზად და მაღალი ჰუმანურობით მოაქვს ჩვენამდე.

ია პალტაგაშვილი-ხანუკაშვილის პოეზიაში ნათლად არის ასახული ჩვენი სამყარო, ლექსები ლაღად და მუსიკალურად ჟღერს და ამითაც ხიბლავს მკითხველს, გამოირჩევა მართალი სიტყვით, სისადავითა და აზრის გადმოცემის სიცხადით. რაც მთავარია, ყველა მათგანი გულწრფელი და ხალასია. დასასრულს პოეტი მოკრძალებით ეთხოვება თავის მკითხველს, მომავალი შეხვედრებით დაი-

მედებული:

“მე სიყვარულით მოვედი თქვენთან, გზას მინათებდა სხივი ნათელი, კვლავ სიყვარულით დავრჩები თქვენთან, მე კიდევ დამრჩა თქვენთვის სათქმელი.”





ახალი ეთნოგრაფიული ნარკვევი

ჩვენი ჟურნალის რედაქციის წევრმა ქალბატონმა გულნარა სტურუამ გასულ წელს სიურპრიზი შემოგვთავაზა – გამოაქვეყნა პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო და საყურადღებო ეთნოგრაფიული ნარკვევი – „ჩვენი სუფრა ქართული“. შესავალში ავტორი გაგვიმარტავს, თუ რა მიზნები ამოძრავებდა მას ამ თემაზე მუშა-

ობისას, რამდენად მნიშვნელოვანია საკითხები, რომლებსაც ის იხილავს, რა მოცულობითაა ლიტერატურა მოცემული პრობლემების ირგვლივ. შესავალში ავტორი ეხება სუფრის სოციალურ ფენომენს და მოკლედ ამახვილებს ყურადღებას იმ ძირეულ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომშია თავმოყრილი. ამდენად, შესავალი ითავსებს აგრეთვე როგორც წინასიტყვაობას, ისე შესავლის ფუნქციებსაც, რაც უფრო უპრიანია იმიტომ, რომ წიგნს არ ერთვის ანოტაცია.


ნარკვევში საკითხები განხილულია თემატურად: როდის შეიქმნა ქართული სუფრა, ჭურჭელი ქართულ სუფრაზე, დგამი, სასმელ-საჭმელი, ბედოვლათობა თუ მომჭირნეობა, ზომიერება ჭამა-სმაში, სუფრასთან სხდომის წესები, ჭამის კულტურა, ღვინის როლი სუფრაზე და თამაღობის ინსტიტუტი.

ნაშრომი შედგება 83 გვერდისაგან, საკმაო მოცულობით აქვს დართული გამოყენებული ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე, რეზიუმე რუსულად და ინგლისურად.

ბუნიახა სუხუა

ჩვენი სუფრა ქართული

ეთნოგრაფიული ნარკვევი



თბილისი
2006



კავკასიელთა და ქართველთა ეთნოგრაფიული კვლევის მუსნიერული შედეგები

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია



წოლანდ
თოფჩიშვილი

ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა"- სალექციო კურსი. პირველი გამოიცა 2006 წელს, მეორე-2007 წელს.

“საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია” განკუთვნილია უნივერსიტეტების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში მოკლედ გადმოცემულია ქართველთა ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის საკითხები. ავტორი ითვალისწინებს არა მხოლოდ ქართველ სტუდენტთა, არამედ საზღვარგარეთ – ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა ინტერესებსაც.

ნაშრომში მასალა მოცემულია პარაგრაფებად. ყურადღებას იპყრობს ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: ქართველთა განსახლების არეალი, დემოგრაფიული მგომარეობა, ანთროპოლოგიური დახასიათება, ეთნონიმები, დამწერლობა, სარწმუნოება, მეურნეობის სხვადასხვა დარგების თავისებურებანი, საცხოვრე-

ბელი ნაგებობები, წეს-ჩვეულებები, საოჯახო ყოფა, ჩვეულებითი სამართალი, ფოლკლორი, არქიტექტურა და სხვ.

ნაშრომი შეიცავს 172 გვერდს, გარეკანზე დართული აქვს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულების (ეთნოგრაფიული ჯგუფების) რუკა.

მეორე წიგნი - “კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია” ქართულ ენაზე კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის სალექციო კურსის შექმნის პირველი ცდაა. ის მოცულობითაც გაცილებით დიდია – 397 გვ. ავტორი ცდილობს, ის ასპექტებიც წარ-

მოაჩინოს, რომლებსაც მისი წინამორბედი მეცნიერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გარდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა, წიგნი უეჭველად იმ მკითხველთა გულისყურსაც მიიპყრობს, რომლებსაც ქართველთა მწობელი კავკასიელი ხალხების ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა-ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები წეს-ჩვეულებები აინტერესებთ.

ავტორი წიგნში 45 კავკასიელ ეთნიკურ ერთეულს ეხება, იხილავს მათ დამახასიათებელ ეთნიკურ თავისებურებებს და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეისწავლის.

წიგნში ქართველთა შესახებ მასალა არ არის მოცემული, რადგანაც ეს საკითხი ავტორს ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ წიგნში ცალკე აქვს განხილული.

წოლანდ თოფჩიშვილი

საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია



ნანა კანდელეკი

მხოლოდ ერთხელ...

ტიციან ტაბიძის გახსენება

ტიციან ტაბიძეს მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მის სახლში, მისი ქალიშვილის – ნიტა ტაბიძის დაბადების დღეს.

ნიტა მეგობრობდა ჩემს თანაკლასელთან – ელიკო კაკელაძესთან. მე და ელიკო ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, გვერდი-გვერდ სახლებში. იქ შევხვდი ნიტას. ელიკოს დედა ვაჩნაძის ქალი იყო, ენათესავებოდა ნიტას დედას – ქალბატონ ნინოს, რის გამოც შვილებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

ერთხელ, ნიტამ დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმზე ორივე დაგვპატიჟა. ცას ვეწიე, გამიხარდა, რომ ტიციანს ახლოს ვნახავდი, მის ხმას გავიგონებდი. შორიდან ბევრჯერ მენახა რუსთაველის გამზირზე, თავის მეგობრებთან ერთად, ეტყობა, მწერალთა კავშირიდან მომავალნი: პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, ლეო ქიაჩელის და სანდრო შანშიაშვილის წრეში. სკოლის გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ბევრჯერ გავსულგართ გოგოები რუსთაველის გამზირზე, რომ შორიდან თვალი მოგვეკერა ამ სახელოვანი მწერლებისათვის. ისინი რომ დაარბიეს, მერე ლადო ასათიანის თაობას ვეთაყვანებოდით. მათი ლექსების ხელნაწერები ხელიდან – ხელში გადადიოდა, რომელთაც უმაღვე ზეპირად ვსწავლობდით.

და აი, მე და ელიკო დღის ორი საათისთვის ტაბიძეებს ვეახლეთ.

წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი გაწბილება, ტიციანი შინ რომ არ დაგვხვდა. ქალიშვილის სტუმრებს მასპინძლობდა ქალბატონი ნინო, მისი მეგობარი და ნიტას გამზრდელი – ბებია ვარო.

სუფრა უკვე გამწვანდა იყო. შუაში იდო „ნაპოლეონის“ დიდი ნამცხვარი. მაშინ ტორტი არ იყო ასე რიგად მოლაში სუფრაზე მისატანად. „ნაპოლეონის“ აქეთ-იქით ვამწვანდა და

ხორციანი ნამცხვრები იდო. სუფრა გალამაზებული იყო ხილით, ჩირით, ბუტერბროდებით და იმდენი ბოთლი ~სიტრო~ იდგა, რამდენი ბავშვიც ვიყავით დაპატიჟებული. ლიმონათი მერე შემოვიდა.

ახლა რომ ყველანაირ ზეიმზე ერთნაირად ვიცით სუფრის დაზვავება, ასე არ იყო წინათ. ბავშვის დაბადების დღის სუფრა, განსხვავებოდა ახალი წლისა თუ სხვა თვალსაჩინო დღესასწაულების აღნიშვნით. ნეტავ კვლავ დავუბრუნდებოდეთ ამ ჩვევას, აღარაფერს ვამბობ ჭირის სუფრაზე, რომელიც ხშირად სულაც არა ჰგავს სამგლოვიარო რიტუალის გამომხატველ წესს.

მოპატიჟებული სტუმრები ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. ესენი ვიყავით I საცდელ-საჩვენებელი, მე-3 საცდელ-საჩვენებელი და 25-ე სკოლის მოსწავლეები. ერთმანეთს მოზარდმაყურებელთა, ოპერის, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების სპექტაკლებზე და კონცერტებზე ვხვდებოდით ხოლმე.

ნიტასთან მოსალოცად მე და ელიკოს გარდა მოვიდნენ ლეონიძის და პაოლოს ქალიშვილები – თინათინ და ნესტანი, მედეა – ნიტას ნათესავი – კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის შვილიშვილი, თბილისის გოგონების საერთო სიმპატია – მიკა ყარალაშვილი, ნინიკო ჟღენტი – შემდეგში პოეტ რევაზ მარგიანის მეუღლე, ამირან ქარცივაძე, გივი დოლიძე – შემდეგ კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მეუღლე – ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგის – მამუკა დოლიძის მამა.

პიანინოსთან მე დამსვენს. ბევრი ვიმღერეთ, იცეკვეს აზიური და ევროპული ცეკვები. მიკამ გრიშაშვილის – “რა კარგი ხარ, რა კარგი“ და „გენაცვალე“ წაიკითხა. მე ვიმღერე ორი თუ სამი რომანსი. ერთი სიტყვით, ძალიან მოვილხინეთ. მე ვიცოდი, რომ საღამოთი ქალბატონ

ნინოსთან „ნინაობის“ აღსანიშნავად უფროსები უნდა მოსულიყვნენ, ეს ამ ოჯახის ტრადიციული დღესასწაული იყო და ვთქვი: – შინ წასვლის დროა-მეთქი.

მართლაც, წამოვიშალენით. უკვე ტალანში რომ გამოვედით და ვემშვიდობებოდით ნიტას, მის დედას, ბებია ვაროს, მოვიდა ტიციანი. იგი შორეთიდან მოსულ კეთილ მესტაპრეს ჰგავდა... თოვლის ფანტელებს მთლად დაეთოვლა მისი თავი და მხრები. ცალ ხელში წითელი მიხაკის დიდი თაიგული ეჭირა, მეორეში – ორი ბოთლი შამპანური. სახეგაბადრული მოგვაჩერდა და თვალეხანთებულმა წამოიძახა:

– რა ხდება, რა ამბავია? საით გაგიწევიათ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო?!

– კარგა ხანია აქ არიან, შესანიშნავად მოილხინეს, ეტყობა დაილაღნენ და შინ წასვლა გადაწყვიტეს, – უთხრა ნინომ.

– კი, მაგრამ არ ეუთხრა მადლობა, ჩემი ნიტა რომ გაახარეს აქ მობრძანებით? შებრუნდით სასადილო ოთახში, ასე ვერ წახვალთ, ტიციანმა თქვენი სადღეგრძელო რომ არ შესვას.

– ტიციან, აღარაფერი დარჩა სუფრაზე, ღმერთამანი, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებ, – შეწუხდა ქალბატონი ნინო.

– ნინო, შენ არ იცი რა გემრიელია ნამცეცებზე ქეიფი?! – გაიბადრა ტიციანი, ნიტა გადაკოცნა, თაიგული მიართვა, პალტო სწრაფად გაიხადა, ყმაწვილებს ხელი გადახვია და ოთახში შეგვიძღვა. შამპანურის საცობი ხმაურით მოხადა, ყველას ნახევარ-ნახევარი ჭიქა ჩაგვისხა და ცნობილი ლექსი „ტანიტ ნაბიძე“, რომელიც პოეტმა ქალიშვილს მიუძღვნა ჯერ კიდევ 1926 წელს, გულშიჩამწვდომად წაიკითხა, მე დღეს ერთ ტაეპს მოვიყვან მხოლოდ:

“მე ასე გიწერ, შვილო, ორ აპრილს,
არ ვიცი, კიდევ რამდენი დამრჩა,
ვიგონებ დროშას, კართაგენს დახრილს,
რომ შეაგინეს ტანიტის ფარჩა“.

მოჯადოებულები მივჩერებოდით ლექსის კითხვით გასხივოსნებულ პოეტის სახეს და ნიტა რომ დავლოცეთ, ვთხოვეთ ტიციანს, კიდევ ერთი ლექსი წაეკითხა. ტიციანმა რატომღაც ჩაფიქრებულმა შემოგვხედა, ნიტას შუბლზე აკოცა და „ლექსი მეწყერი“ წაიკითხა, 1927წელს

შექმნილი. ხომ დიდებულია ეს ლექსი, ტიციანის საპროგრამო ქმნილება, მე მაინც ის ბოლო სტროფი ჩამრჩა გონებაში და აქამდე ამ ლექსს რომ კეითხულობ, ან სხვის წაიკითხულს ვისმენ, იმ დღის პოეტის ხმა ჩამესმის ყურში:

“მე არ ვწრე ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,

ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“.

ეს ლექსი ბევრი მსახიობის წაიკითხული მსმენია, მაგრამ არა, ისე როგორც ის წაიკითხა იმ დღეს ტიციანმა, – არც უკეთესად და არც იმის ბადალად, აღარ გამიგონია.

– ტიციან, მე კი არ წამიკითხავ ლექსს? – ღიმილით სთხოვა ნინომ.

– მაპატიე, მაპატიე, ძვირფასო! ყველაფერი შენდამი ლექსით უნდა დამეწყო, მაგრამ ამ ყმაწვილებმა ყველაფერი დამავეწყეს, – თქვა და საოცარი მონდომებით წაიკითხა ლექსი – „ნინა მაყაშვილს“, 1921 წელს დაწერილი:

“შენს წითელ კაბას... ბალაგანის ჯვრის გარდამოხსნას,

შენს ტუბერკულოზს და სინაზით ავაღამხდარ ხმას!

ძველი სონეტის მხოლოდ დარჩა... ერთი ტერცინა...“

და განსაკუთრებული ხაზგასმით ლექსის ბოლო სტრიქონები წარმოთქვა:

“მე ვხედავ მორგს, მოწამლული სადაც დავწვებით,

ღმერთს, პოეზიას შენს სიყვარულს მე დავაფიცე;

წამებულებზე ლოცულობდეს ტანიტ ტაბიძე!“

ღმერთო ჩემო, რა იყო ეს, როგორ წაიკითხა ეს ლექსი ტიციანმა... ნინოს ცრემლი მოერია. ტიციანი მოეხვია ცოლს და თვითონაც ცრემლმორეულმა გადაკოცნა. მერე გახსნა შამპანურის მეორე ბოთლი და ნინოს სადღეგრძელო დაგვაღვეინა.

რაღაც უცნაური ნაღველი ჩამოწვა. ბავშვები აფორიაქებულები მივჩერებოდით ამაღლეზე სცენას. ახლა ვფიქრობ, რაღაც წინასწარი გრძნობა ხომ არ დასტრიალებდა პოეტს? საოცარი იყო იგი იმ დღეს. თუმცა რა ვიცი, მე ხომ მას პირველად ვუსმენდი, პირველად

ვხედახდი ასე ახლოს, თანაც შინაურ გარემოცვაში. იქნებ იგი სხვა დროსაც ასე განიცდიდა შინაგანად თავისი სტრიქონების სიღრმესა და სიღიადეს, ტკივილს და ნალველს, აღმაფრენას... შესაძლოა, გუმანით გრძნობდა მოახლოვებულ უბედურებას. ეს ხომ უკვე 1935 წელი იყო. ტერორის აჩრდილი უკვე დასტრიალებდა ქვეყანას. რაღა თქმა უნდა, ამას ყველაზე მეტად ინტელიგენცია გრძნობდა, მათგან გამორჩეულად კი სიტყვის ოსტატები. გაიხსენეთ სტრიქონები ლექსიდან „სერგეი ესენინს“, 1926 წელს დაწერილი:

“არ გამოცვლილა ხომ პოეზია, –
მუხები ცისკრის კარებს ადებენ,
მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.”

უცებ, შესაძლოა, სიტუაციის გასამუხტავად, ქალბატონმა ნინომ თქვა:

– ტიციან, შენ ხომ ასე გიყვარს რომანსები, ვთხოვოთ თამარ წერეთლის პატარა მიმღევივარს, გვიმღეროს.

– აბა, რომელია, ახლა თამარ წერეთელი?
– დაინტერესდა ტიციანი. ნინომ ჩემზე ანიშნა და მთხოვა მემღერა.

– მიყვარს რომანსები, მიყვარს თამარ წერეთელი, გვიმღერე, ვთხოვოთ, – ღიმილით მომჩერდა ტიციანი და პიანინოსთან მიმიყვანა.

წარმოდგინეთ მოსწავლე გოგონას განცდა. ჯერ ვის წინაშე უნდა მემღერა, თანაც ვის შემადარეს, საქვეყნოდ ცნობილ ბოშური და რუსული რომანსების მომღერალს. საშინლად ავლელდი, მაგრამ ძალიან სწარაფად დავიოვე აფორიაქება და რამდენადაც შემძლო, ვცადე, გულშიამწვდომად მემღერა ძველებური რომანსი – “Отцвели уже давно, Хризантемы в саду”.

ტიციანმა იყვირა:

– მოიცა, მოიცა, გოგონი! რა დროს შენი “ოცველი ხრიზანტემებია”, ცხოვრებას ახლა იწყებ. გენაცვალე, ცოცხალი, რაღაც ცეცხლოვანი იმღერე, რომ გაგხალისდეთ. აი, თუნდაც “Берюзовые колечики”, იცი? მღერი?

– ვიცი, ვმღერი, – სულაც არ მეწყინა ტიციანის შენიშვნა, არც ბავშვების სიცილმა დამაბნია, პირიქით, საოცრად გაგხალისდი და რიხიანად დავიწყე ტემპიანი და მხიარული სიმღერა.

ტიციანი გალალდა, მხრები შეატოკა, ხელე-

ბი მალლა შეათამაშა, ბოშებმა რომ იციან. ბავშვები სიმღერის ტაქტს აჰყენენ, ტაში შემოპკრეს და ოთახში მხიარულება აზვირთდა.

სიმღერა რომ დავასრულე, ტიციანი, ეტყობა, ეშხში შევიდა და მკითხა:

„ცისფერ თვალებს“ მღერი?

– ვმღერი, – უკვე შეთამამებული გავეპასუხე.

– მაშინ, მიდი, გარეკე!

– აქამდე „ოჩი ჩორნიე“ გქონდა ამოჩემებული და, რამდენადაც მე ვიცი, თამუნია წერეთელს არ ჰქონია ცისფერი თვალები, რა მოხდა? ახალი მუზა გაჩნდა ცის კიდურზე?! – არტისტული ეჭვიანობით წარმოსთქვა ქალბატონმა ნინომ.

ტიციანი წამით გაისუსა, მერე სახეგაბადრულმა წამოიძახა:

– ნინიო! ო, მუზავ ჩემო! ტიციანმა ლექსი რომ წეროს, აბა, როგორ გინდა?

– შენ ოღონდაც ლექსი დაწერე და რა ფერის თვალები დაგაწერინებენ, ისტორიისათვის ამას რა მნიშვნელობა აქვს, – მიუგო სიცილით ნინომ.

– აქვს, ნინოჩკა, აქვს! ეს შენც კარგად იცი...

– სიცილითვე გაეპასუხა ტიციანი და ამას საერთო განხალისება მოჰყვა.

სალამოს 6 საათი შეუმჩნევლად მოგვეპარა, შემთხვევით საათს გავხედე და მაშინდა დავინახე. ავი ზევით ვთქვი, ოჯახში ტრადიციად ჰქონდათ, „ნინაობას“ დღისით ნიტას უხდიდნენ, სალამოს კი ქალბატონ ნინოს პატივისმცემლები იყრიდნენ თავს. ამიტომაც სტუმრებს შევთავაზე შინ წასვლა. ყველა დამეთანხმა. წასვლისას საცეკვაო დავუკარი. ნინიო ჟღენტმა „ქართული“ დაუარა, ქალ-ვაჟი გამოიპატიჟა, ისინიც აცეკვა. ტიციანი ბავშვით ლაღობდა, გულმოდგინეთ ტაშს უკრავდა და მალი-მალ წამოიძახებდა ხოლმე, – კარგია, თქვენ გენაცვალეთ, კარგია! – ნიტას ხელს გადახვევდა, ჩაკოცნიდა და კვლავ ტაშს აყოლებდა საცეკვაო მელოდიას.

ღიახ, სალამოს ექვს საათამდე დავრჩით ტაბიძებთან.

ეს იყო დაუვიწყარი, განუმეორებელი განცდა და შთაბეჭდილება ჩემთვის, ალბათ ყველა ჩვენთაგანისათვის, ვინც 1935 წლის 14 იანვარს ვესტუმრეთ ნიტას, მის საოცარ ოჯახს, – ტიციან და ნინო ტაბიძეების ოჯახს...

ეს იყო მხოლოდ ერთხელ...

ჩვენი შემოქმედება

სკვლითა და იხელით

დიდი ხანი არაა, რაც ჟურნალმა “საქართველოს ბიბლიოთეკამ” საზოგადოებას აუწყა საბიბლიოთეკო საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალის, ცნობილი სპეციალისტის, გმირული შემართების მოქალაქის – აფხაზეთის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორის, დამსხურებული მოღვაწის ეთერ სიხარულიძის გარდაცვალება.

სულ ახლახანს გავეცანიტ მის პირად არქივს და კვლავ დაერწმუნდით, რამდენად გულანთებულ მამულიშვილთან, მაღალი გრძობებით აღვზნებულ პიროვნებასთან, შემოქმედებითი წვით აღსავსე ადამიანთან გვექონია საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ დიდი სატანჯველი მიჰკერძა, უმძიმესი გზით ატარა ბოლო ხანებში და რა საშინელებები არ გამოაცდევინა, იგი გმირული სულისკვეთებით იგერიებდა ყოველივეს, იმედს არ ჰკარგავდა, თუმცა სავსებით ბუნებრივი მძიმე სევდისგანაც არ იყო თავისუფალი.

მისთვის სამშობლო იყო საფიცარი და საგალობელი. თავის შემოქმედებაში, რომელსაც სიცოცხლეში მხოლოდ ძალიან ახლობლებს უზიარებდა, აშკარად გამოსჭვივის პოეტური სულისკვეთება და ნიჭიერება. განსაკუთრებულად მოითხოვდა ყველასაგან ქვეყნისათვის უანგარო სამსახურს. “წუთისოფლიდან – სამშობლო ქვეყნიდან მუდამ არ უნდა ითხოვდე და ელოდე სიკეთეს, – წერს ის ერთ-ერთ თავის ესკიზში, – გიყვარდეს შენი საქართველო – ეს ნიშნავს იმას, რომ გრძობდე მის ჭირსა და ღზინს, შენი შესაძლებლობის ფარგლებში ეცადო, შეუმსუბუქო მას ტკივილი, დარდი, და სიხარული აჩუქო...” ქვეყნისადმი ვალმოხდილება მისი მთავარი საფიქრალი იყო:

“ჩემო ამქვეყნიერო, ჩემო წუთისოფელო, დავიწყების ქვეყანამ ადრე არ გამიხსენოს,

ადრე არ წამიყვანოს, ადრე არ მომასვენოს, ვალმოხდილი გამიშვი, ჩემო წუთისოფელო!”

მოქალაქეობრიობის, საქმისადმი ერთგულების მოტივები არაერთგან ჟღერს მის შემოქმედებაში. ერთგვარი მსუბუქი ირონიანარევი სიტყვებით მიმართავს ის მის კონკრეტულად გაუცნობიერებულ თანამოქალაქეს:

“რის გაკეთებაც დღეს შეგიძლია, ნუ დაულოცავ ზვალეს. ეს მატყუარა “ზვალე” შენს დღეებს ისე გალევს, რომ ვერ მიხვდები ზვალე რატომ მოვიდა მალე.”

სევდა, წუხილი, მწუხარება ულევად არის მიმობნეული მის ლექსში, მაგრამ არსად გაბოროტებული, გამძვინვარებული არ ჩანს პოეტი. პირიქით, სხვას მოუწოდებს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისაკენ:

“რამ გაგამწარა ასე, სულ რომ ოხრავ და კვნესი? სად შეაგროვე ამდენი შური, ბოღმა და გესლი? რად გშურს სიკეთე სხვისი, მარტო შავს რატომ ხედავ, სიკეთეს რად ვერ ამჩნევ, რით გაბოროტდი ნეტავ?”

ეთერ სიხარულიძის შემოქმედება მარტივი პოეტური მეტყველებით გამოირჩევა, მაგრამ, რაც მთავარია, უაღრესად გულწრფელი და მართალი გრძობითაა აღსავსე, რაშიც უდავოდ დარწმუნდებიან ჩვენი მკითხველები იმ ლექსების გაცნობით, რომლებსაც მათ ვთავაზობთ.

თიერ სიხარულიც

სულის გარეშე არ არსებობს ადამიანი –
 ასეთი არის წესი და რიგი,
 მცნებათ გარეშე ვერ მიაღწევს მაღალ საწადელს,
 მარადისობას შეერთვის იგი.
 რაც ჩემში არის, შენა ხარ, ვიცი,
 ზეცასთან განაერთო.
 უზენაესო, მე დაგინახე,
 შენ თუ შემნიშნე, ღმერთო?!

წუთისოფელო, მადროვე

წუთისოფელო, მადროვე,
 არსად არ მიმეჩქარება...
 ამ ქვეყნად ერთხელ მოსულსა
 არ მიმძიმს თავის ტარება.
 ნუ მედავები, ხომ ვიცი –
 ამ სოფლის წესი არი –
 ერთხელაც დაიხურება
 ჩემს წინ იმისი კარი.
 ოღონდ მადროვე, არ მინდა,
 რომ მივატოვო ყოველი,
 მინდა დიდი ხნის სიცოცხლე
 და არა წუთი სოფელის...
 არა გთხოვ, სულაც არა მსურს
 თუნდაც ათასი წელი,
 ოღონდ დამაცა ცოტა ხანს –
 ათასი საქმე მელის.

ჩემო საქართველო!

ჩემო პატარა სამშობლოვ,
 საუკუნებს ითვლი...
 პატარა საოცრება ხარ
 და დიდი მაგალითი.
 შენ ყველაფერი გინახავს –
 ჭირიც და ლხინიც იცი,
 ბოროტის ზღვევაც კი ვძალუძს,
 თუმც პატიებაც იცი.
 ნელ-ნელ იღვიძებ, მიყვები
 გზებს, ძლიერ მძიმედ სავალს,
 წელში თანდათან სწორდები,
 იმედს გვიღვიძებ მრავალს.
 ამყად ღვახარ, მხრებსა შლი,
 საუკუნებს ითვლი...
 პატარა საოცრება ხარ
 და დიდი მაგალითი.

მსგავსება

ცაო, გიყურებ – მშვიდი ხარ,
 ცისფერი კაბა გაცვია,
 ხან მეტად მკვეთრი ფერი გაქვს,
 ხანაც მრუდე და ბაცია.
 უეცრად გამოიცვლები –
 ვხედავ, რომ ისევ დათბა,
 იმავე წუთს მოიქუშები –
 კვლავ ავი დარი დადგა.
 წვიმა შხაპუნით ჩამოდის,
 ელვა და გრგვინვა ახლავს,
 რა წამში გამოიცვლები?
 მე ასე როგორ მგავხარ?
 მე ეს ცვლილება მაფიქრებს –
 შენ ჩემს ხასიათს გავხარ,
 მე მაინც მუდამ მიყვარხარ,
 ჩემი ოცნება ცა ხარ.

რატომ ველარ ვმღერი

მარტოდ მიყვარს ყოფნა,
 მარტოდ მიყვარს ფიქრი,
 ბუნებაში გასვლა,
 მარტო ხეტიალი...
 ჩემი თანამგზავრი მაშინ ღმერთი არი.
 მე ცისფერ ფერებში
 სამყაროს შევხარი,
 მიყვარს ვარდის ფერიც
 და ხასხასა მწვანე...
 დედამიწა მიყვარს, მხოლოდ ის ვიწამე.
 უკუნეთი ღამის
 მძულს მე ბნელი ფერი...
 არ ჩამაცვა შავი,
 არ დამტოვო, კარგო,
 ფიქრით ჩემთან იყავ, და არ დამეკარგო.
 დამიფარე, გესმის,
 მომაშველე ხელი,
 გზებით განაკაფით
 შენს ბილიკს მოგიყვები,
 შენსკენ მოვისწრაფი, ამბავს მოგიყვები.
 ვიგალობო მინდა –
 ყველაფერი მღერის,
 ზარი რეკავს, გალობს,
 სახლი მოჩანს შენი...
 მე რა დამემართა, რატომ ველარ ვმღერი?
 რატომ ველარ ვმღერი, რატომ ველარ ვმღერი?!

ჩემი ანდერძი

როცა მე თქვენ გხედავთ,
ფიქრი მიმშვიდდება,
სიცოცხლეს შევხარი,
სიკეთეზე ვფიქრობ...
მაგრამ რაღაც მიმიძიშს,
სული ჭკნება თითქოს,
გული სადღაც გარბის,
და სინათლეს ითხოვს.
დრო უწყალოდ გარბის,
ვეღარ დამიფაროთ,
ამიტომაც ვჩქარობ,
სიტყვა დაგიბაროთ:
როცა დაგშორდებით,
გთხოვთ არ დაივიწყოთ –
ერთი სანთლის ღერი,
ერთი სეფის კვერი,
ერთი ჭიქა ღვინო,
და ნაკურთხი წყალი –
სულ ეს არის ჩემთვის
თქვენი საჩუქარი!
როცა ჟამი დაჰკრავს,
ნუ დამტოვებთ მარტო,
ყველგან მომიძიეთ,
ყველგან დამინახეთ,
რომ არ დაგეკარგოთ,
გულში შემინახეთ.

უნდა გაუძლო ამ დროს

შენი ღიმილი მიყვარს,
და შენი მშვიდი მზერა,
შენი ჭკალარა მიყვარს
და შენი გარინდება.
ღღეს კი მწუხარედ დახვალ,
სევდა თუ ბოღმა გმართავს,
არ ძალგვიძს მოსვენება,
მითხარ, რა დაგემართა?
ცრემლები გცვივა მძივად,
მძიმე დრომ აგატირა?
გული რა დარდმა შესძრა,
სამშობლოს ბედი გტკივა?
დასაბამიდან გვთხოვნიდნენ
გარე მტრები თუ შინა,
გვჩენეს და ვერ აგვჩენეს,
განგებამ შეგვინახა,
განგებამ დაგვარჩინა.
მე შენ წარსულში გხედავ,
ლამაზ ოცნებას გავხარ,
ერთად ვიცინოთ ლხენით,
ვიხაროთ იმ ფერებით,
მე ახლაც უდრეკი ვარ
და ახლაც გეფერები.
მაღლა ასწიე თავი,
ლაღად გაშალე ფრთები.
უნდა გაუძლო ამ დროს,
არ გაახარო მტრები.

ნუ გეშინია, დედა!

ჩემო ამაყო ქალო, შენ ჩემო კარგო დედავ!
აღბათ იგრძენი ღამით (ან იქნებ იყო დღისით)
საფლავის გაღავანი რომ აგაცალეს ზედა
იმათ, რომელთაც დღესაც რიდი არა აქვთ ღვთისი.
უსახლკაროდ რომ დავჩნით, ისიც თუ იგრძენი ნეტავ,
იქ ჩასახლებულთ ახლაც არა აქვთ ღმერთის შიში,
ნუ გაიკვირვებ ამას, ნურც შემფოთდები, დედა,
ასეთი არის მათი სული, მოდგმა და ჯიში.
რასაც ნახავენ, მიაქვთ, დღისით არის თუ ღამით,
ყველაფერს ყნოსვენ, ჩხრეკავენ, არ ისვენებენ წამით.
ხშირად სიზმარში გხედავ, მესმის მე შენი სუნთქვა,
თან დამღვეს სათნო მზერა, ის გაჯავრებაც შენი,
შენი ყოველი სიტყვა ყურში ჩამესმის თითქოს,

და მეუფლება სითბო, აუწერელი ენით.
მასხოვს, ღმერთსაც რომ ეურჩე, ჩემი სიცოცხლის გამო,
არ გაგატანო – უთხარი, – სიმწრით გავზარდე შვილი!
მანაც დაგინდო, ებრაღე, სიტყვაც რომ უთხარ ამო,
და დამეუფლა იმწამსვე ძილი წყნარი და მშვიდი.
ახლა სანთელს რომ გინთებ ცივი სამარის ქვაზე,
ასე მგონია, კვლავ გხედავ ისევ ძლიერს და მტკიცეს
გუშაგად გიდგას მამა, დაც ზომ მანდ გადგათ თავზე.
დავბრუნდებითო – ყველამ, ერთმანეთს ფიცი მისცეს.
სულ მარტო არ ხარ, დედი, შენისთანა ბევრი,
ვისაც ამ გარეწრების გაძლება დაგვებედა,
ყველა ერთად ვართ მაინც, ახალგაზრდა თუ ბერი,
ნუ გეშინია, გაუძლებთ, ჩვენთვის ილოცე დედა.

პალიტრა

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

“ჩემი თბილისი და ფიროსმანი...”

ფრანგი მწერალი ანდრე მორუა აღნიშნავდა: “მკვდრები აღარ არიან მკვდრები, როცა ცოცხლები მათ მოწიწებით აცოცხლებენო.”

და მართლაც, განა დიდი ქართველი თვითმყოფადი მხატვრის – ნიკო ფიროსმანის უკვდავყოფის კიდევ ერთხელ აღიარება არ იყო საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილი შესანიშნავი გამოფენა დევიზით “ფიროსმანი – ქართველ მხატვართა მუზა?”



ბ. ზირაქიშვილი – „დაბრუნება“

გამოფენა გაიხსნა 14 თებერვალს – წმინდა ვალენტინის, სიყვარულის დღეს, – თვით ფიროსმანის ცხოვრებაც ხომ სიყვარულთან ასოცირდება.

გამოფენაზე წარდგენილი იყო შესანიშნავი ქართველი მხატვრების ნამუშევრები: პორტრეტები, კომპოზიციები, ეტიუდები, ჩანახატები, სხვადასხვა თემებზე შექმნილი ტილოები და ქანდაკებები... გამოფენის ძირითადი თემა კი მაინც განლდათ ფიროსმანი, თბილისი, სიყვარული.

ფიროსმანი ქართველ მხატვართა შთაგონების წყაროა, გაუხუნარი მუზა. მის მოტივებზე შექმნილია მრავალი ბრწყინვალე ლიტერატურული, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევარი.

დამთავალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ნამუშევრებმა: დავით პოპიაშვილის “აღდგომა”, რევაზ ადამიას “თოვლი მოსულა ნიკალას ეზოში (მირზაანი)” და “ნიკო ფიროსმანის აღდგომისდამის ლოცვანი და ხილვები, ანზორ ჩხაიძის “ნიკალა და მარგარიტა”, თემურ სხულუხიას “ფიროსმანი”, დავით ლაშქარაძის “ფიროსმანი ფრინველითა და ყანწით”, “ფიროსმანის პორტრეტი”, “ფიროსმანი აღდგომის მცხეთის ჯვართან”, გურამ ცერცვაძის “აქტრისა მარგარიტას პორტრეტი”, გიზო ხუბუას “ფიროსმანის ქუჩა”, დათო მადრაძის “ნიკალას პორტრეტი”, თენგიზ ქართველიშვილის “ორთაჭალის ტურფა” ძველი თბილისის ხედის ფონზე და “ფიროსმანი”, უშანგი ქადაგიშვილის გრაფიკული ნამუშევარი “ნიკალა კიბის ქვეშ” და “ნიკალა თბილისის ქუჩებში”

რელიეფური ფერწერის შესანიშნავი ნიმუშებით წარმოგვიდგა ცნობილი მხატვარი გოჩა ზირაქიშვილი. მის ტილოზე

“ფიროსმანის პირბველი დაბრუნება” სათაყვანებელ თბილისს ფიროსმანი თავისი ტილოების უკვდავ გმირებთან ერთად უბრუნდება: აი, მშვენიერი მარგარიტა, მეფხოვე, ღარიბი და მდიდარი, წითელპერანგა მეთევზე, ყარაჩოხელი... თვალსაჩინო ტილოა აგრეთვე ზირაქიშვილის “ფიროსმანის მეორე დაბრუნება”: ფიროსმანი ზის დიდ სამოვარშემოდგომულ, მწირი სანოვაგით გაწყობილ მაგიდასთან; ხომ გვანსოვს მისი ნატვრა, სამოვარის გარშემო რომ ესაუბრათ მეგობრებს მხატვრობაზე... ტილოები ძალზე შთამბეჭდავია და ზედმიწევნით სივრცობრივ აღქმას იძლევა.

სიყვარულის თემას ეძღვნება თენგიზ ქართველიშვილის მშვენიერი ნამუშევარი “ყაყაჩოების თაიგული”, გოჩა ზირაქიშვილის ღრმადშინაარსიანი და ემოციებით დატვირთული სიურეალისტური ტილო “ზმანება”, რომელიც ქალ-ვაჟს შორის დაუოკებელ, დიდ სიყვარულს გამოხატავს.

ფერწერული ტილოები შესრულებულია დახვეწილი, დიდი ოსტატობით და სრულყოფილია ტონის, შესრულების თვალსაზრისით.

გამოფენაზე ჩვენი ყურადღება მიიქცია მაია ადამიას (საფრანგეთი) ბისერებით შესრულე-



ინგა ლაზარაშვილი

6. ფიროსმანის „მეთევზისა“ და „მეფხოვის“ მიხედვით მარგარიტოსა და ქვიშის მასალაზე შესრულებული ნამუშევრები


ნიკალა და თბილისი განუყრელნი არიან. მხატვართა პეიზაჟებში საქართველოს გულის – თბილისის სუნთქვა, მაჯისცემა შეიგრძნობა, ნათლად ჩანს, შემოქმედები როგორ ეთაყვანებიან ნიკო ფიროსმანიშვილს, დიდ ქართველ მხატვარს, რომელიც

“აქ, ამ ქუჩებში დადიოდა, როგორც სიზმარი, საქართველოს ცას აქ ეტრფოდსა მისი ოცნება, ჩამოხეული, ტანმორჩილი, მარად ზიზანი, მარტოდენ გული და ბაჯაჟლო პატიოსნება!”

(ლ. ასათიანი)

ბულმა ნამუსევრებმა “ფიროსმანი ბატკნით ხელში”, ნატო სირბილაძის “ჟირაფმა”.

ძალზე საინტერესო და ორიგინალურია ფიროსმანის შედევრების მოტივებზე შექმნილი ინგა ლაზარაშვილის “მეფხოვე” და “მეთევზე”. მხატვარს მასალად გამოყენებული აქვს დეკორატიული ქვიშა და მარმარილო, რაც უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს. მაღალი შეფასება მიიღო რევაზ ადამიას “სულის მარადიულობამ”, პიკასოს მოტივზე შექმნილმა ინგა ლაზარაშვილის “დონ-კიხოტმა”, ნიკო ხერკელაძის



“ხარუთინამ” და “ხანმატელმა პატარძალმა”, რომელზეც ხევსურეთის ყოფაა გამოსახული.

ცნობილი ფოტოგრაფის, მე ვიტყვოდი, ფოტო-ხელოვანის, იური მეჩითოვის და მათი დეისადის ძალიან მაღალმხატვრული ფერადი ფოტოები “ქეფი” და “აქტრისა მარგარიტა”, აგრეთვე ფერადი ფოტოკომპოზიცია ისეთი მაღალი ოსტატობით გამოირჩევა, რომ რომ ფერწერული ტილოები გეგონებათ.

“სიტყვა და ფერი მომიმადლე,
ბედო მუხთალო,
ვინება, რომლითაც ქვას კოდავდა
მიქელანჯელო,”-

ასე წერდა ერთ-ერთ სონეტაში ცნობილი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, მხატვარი გიგლა ხუხაშვილი.

სწორედ ეს საოცნებო “სიტყვა და ფერი” მოჰმადლა უხვად ბედმა ჭემშარიტ ქართველ მხატვრებს, მაღალნიჭიერ, ინდივიდუალური სტილის, მრავალფეროვანი თემატიკის მქონე ხელოვანთ.

ქართველმა მოქანდაკეებმა წარმოგვიდგინეს ჩინებული, ღრმად ფსიქოლოგიური, სკულპტურული ნამუშევრები. მათ შორის აღსანიშნავია: გიორგი წულაძის “ფიროსმანი”, თემო ნაცვლიშვილის “ფიროსმანი” და “ნიკალა ირმებთან ერთად” (ტონიზირებული თაბაშირი); ირაკლი წულაძის “ფიროსმანი” (ბრინჯაო), ირაკლი რევაზიშვილის ძალიან შთამბეჭდავი ქანდაკება “ნიკო ფიროსმანი ირემთან ერთად” (ტონიზირებული თაბაშირი); ყურადღება მიიქცია რომუალდ ცუხიშვილის დეკორატიულმა თეფშმა “ნიკალას მოგონება” (შამაოტი) და ქართულ მოტივზე შექმნილმა ირაკლი რევაზიშვილის ნამუშევარმა “სახინკლე”.

გამოფენაზე პარალელურად წარმოებდა ხელმოწერების შეგროვება, რათა თბილისში შენარჩუნდეს ფიროსმანის სახლ-მუზეუმი, რომ არ მოხდეს მისი ხელყოფა უსულგულო ადამიანების მიერ დედაქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. ამაზე ფიქრის დაშვებაც შეუძლებელია! მაგრამ, თურმე ამის საშიშროება არსებობს, რაზეც გულისტკივილით ილაპარაკეს მხატვრებმა.

ფიროსმანის შემოქმედება ხალხს ეკუთვნის!

ფიროსმანი ხალხს შემორჩა, როგორც “მართოდენ გული და ბაჯაღლო პატიოსნება!”

ფიროსმანი თბილისის სიმბოლოა!

სიცოცხლეში არაღიარებული გენიოსი მხატვარი ნიკალა ფიროსმანი თავისი უკდავი, ხალასი, მაღალი შემოქმედებით მსოფლიოს ქვეყნებში საქართველოს სავიზიტო ბარათია!

მხატვარს, რომლის ხელოვნება უვიც ადამიანებს მღებავის ხელობამდე ჰქონდათ დაყვანილი, რომლის სიცოცხლე უკიდურეს სიღარიბესა და სიღუბჭირეში, ერთ-ერთი სადარბაზოს კიბის ქვეშ აღესრულა, უმაღლეს პატივს მიაგებენ ცნობილი მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები... მისი ნამუშევრების ექსპოზიციებს ეთმობა მსოფლიოს ღირსშესანიშნავი საგამოფენო დარბაზები... აღტაცებით საუბრობენ, მსჯელობენ მის თვითმყოფად, ღვთიური სახელით გაცისკროვნებულ შემოქმედებაზე...

...და კვლავ ხშიანობს გონებაში მარად უკდავი, კეთილშობილი ქართველი მხატვრის გაუხუნარი სიტყვები: “მეხო, ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის ავაშენოთ დიდი სახლი, რომ შევიყარნეთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე”.

ახდა ნიკო ფიროსმანის ნატვრა! მის მხატვრობაზე მსოფლიოს ვრცელ და ნათელ საგამოფენო დარბაზებში საუბრობენ...

ეს ქვეყანა სიყვარულმა ააშენა!


სიყვარულმა შეგვახვედრა ნიკალასთან, ნიკალას უკვდავებასთან!

14 თებერვალს გამართული გამოფენა იყო შეხება მაღალი სულიერების, სილამაზის, მშვენიერების სამყაროსთან!

ხელნავიან ქართველ მხატვრებს ახალ შემოქმედებით ძიებას, გამარჯვებების უღვევ სინარულს და შემოქმედებით აღმასვლას ვუსურვებთ!

მაღლიერებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა სისტემატურად უთმობს თავის დარბაზს ამგვარ ღონისძიებებს და გვსურს ეს ტრადიცია სამუდამოდ დამკვიდრდეს.

ნიმ-უქნისაქნ!



ეს წერილი ანონიმური არ გეგონოთ; შემთხვევით თვით წერილში ადრესატი მითითებული არ არის, კონვერტი კი, რომელზედაც გამომგზავნის ყველა მონაცემი იყო მითითებული, არ შემონახულა, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. რაც ამ ბარათშია აღწერილი, იმდენად დამახასიათებელია ჩვენი ცხოვრებისათვის, რომ არა ერთი, ათობით, და შეიძლება, ასობით ბიბლიოთეკის მდგომარეობა წარმოიდგინოთ.

აი, სიტყვა-სიტყვით, რას წერენ ჟურნალ “საქართველოს ბიბლიოთეკას”: “პირველ რიგში, გილოცავთ ჩვენი საამაყო ჟურნალის დაარსების 5 წლისთავს, გისურვებთ თქვენთვის ჩვეული წარმატებების სიმრავლეს, ყოველგვარ სიკეთეს!

გვსურს, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ჩვენი ბიბლიოთეკის დიდ პრობლემას, რომელიც, ჩვენი აზრით, ტენდენციურად აგორდა. “ახალგაზრდულ ბიბლიოთეკას”, რომელშიც ფუნქციონირებს სამრევლო სკოლა და მრავალმიმართულებიანი კლუბი “ემბაზი”, ამჟამად ემუქრება საშიშროება, რომელიც შეიძლება (როგორც ჩვენამდე მოაღწია) გაუქმებით დამთავრდეს. ამის მთავარი მიზეზი კი ჩვენი ბიბლიოთეკის სტრატეგიული მდებარეობით განისაზღვრება (სტალინის ქ.№8). ერთადერთი კულტურული ცენტრი უამრავ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებს შორის. ყოველივე ამას უკავშირებენ “რეორგანიზაციას”, როგორც ეს გაერთიანების დირექტორმა გაგვიმარტა ბიბლიოთეკის სამივე თანამშრომელს და ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს. ყველას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ეს და ვთვლით, რომ ამით მოხდება გაუთვალისწინებელი დანაშაული. ნუთუ რეორგანიზაციის შედეგად აქტიურად მოქმედი ბიბლიოთეკა უნდა გაუქმდეს?

გთხოვთ, ჩაერთოთ საქმეში და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში დაგვეხმაროთ აღნიშნული უსამართლობის თავიდან აცილებაში.

თუ მკრეხელობაში არ ჩაგვითვლით, მოკრძალებით გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი კორესპონდენტი, რომელიც რეალურად დარწმუნდება და ასახავს ჩვენს მუშაობას.

“ახალგაზრდული ბიბლიოთეკის კოლექტივი”.

ჩემო ძვირფასო კოლეგებო! უპირველეს ყოვლისა გმადლობთ, ჩვენს ჟურნალს კეთილად რომ მოიხსენიებთ, მეორეც – თქვენთან ერთად ათეულ ათასობით ბიბლიოთეკარს ვუცხადებ სამძიმარს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის დასამარების გამო.

თქვენი წერილიდან ნათლად ჩანს საქმისადმი თქვენი სიყვარული და არსებული მოვლენების მიმართ გაოგნება, თითქოს ვერ გარკვეულხართ, რა ხდება ამ ქვეყანაზე. ეტყობა, გგონიათ, რომ ეს უბედურება მარტო თქვენს თავსაა. “ახალგაზრდულ ბიბლიოთეკას, რომელშიც ფუნქციონირებს სამრევლო სკოლა და მრავალმიმართულებიანი კლუბი “ემბაზი” ამჟამად ემუქრება საშიშროებაო...” გაუქმება მოელის მათო...

ჩვენში ახლა გაქანებული შეჯიბრებაა რევიონებს შორის, ვინ მეტ ბიბლიოთეკას გააუქმებს. თუ სუყველას გააუქმებენ, მით უკეთესი, თუ ვერა-და, მაგასაც მალე მოეგლება. ასე რომ, ეს დღე მოელის თქვენს ბიბლიოთეკასაც, თუ უკვე არ აღსრულებულა ეს საქმე. მით უმეტეს, სავარაუდოა ეს, რომ თურმე კარგ ადგილას ბინადრობთ.

ჩვენ დროში ვის უნდა ბიბლიოთეკა?.. მარკეტი, მაღაზია, სასაიდლო, რესტორანი, კაფე, ბარი, ტოტალიზატორი და მისთანები - აი, რა გვინდა, ფული რომ შეაქვთ ბიუჯეტში... ბიბლიოთეკა კი რაა? რომელი ფულის შემომტანია ეს ძველისძველი “გადმონაშთი”? – პირიქით, იქეთ ითხოვს რჩენას. ჰოდა, არ აჯობებს, მის ნაცვლად სარფიანი რამე დაწესებულება გაიხსნას?

“ყველას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ესო,” – იწერებით. ერთი მითხარით, ვინ ეკითხება “ყველას”, როცა “ზევით” უკვე ასე აქვთ მოფიქრებული და გადაწყვეტილი?

“გთხოვთ ჩაერთოთ საქმეში... დაგვეხმაროთ...” – ამ საქმეში დიდი ხანია ჩართული ვართ, მაგრამ გვისმენს ვინმე? ან გვეკითხებიან რამეს? გავვიგონებენ?.. ითხოვთ, საქმის გასარკვევად ჩვენი კორესპონდენტი გამოვიგზავნოთ. ეს უკვე მიაბიჭური ოპტიმიზმია. ჯერ ერთი, ჩვენ ამის საშუალება

არა გვაქვს – ძლივს, დიდი გაჭირვებით ვახერხებთ ჟურნალის გამოსაცემად საჭირო სახსრების მოძიებას, მეორეც – გგონიათ რამეს გახდებით? ვის რა უნდა დავემტკიცოთ? რა უტყუარი არგუმენტებიც არ უნდა წარმოვაყენოთ, არავინ არაფერს გაგვიგონებს. ამ საქმეს მართავენ ადამიანები, რომლებიც არ არიან გაცნობიერებულნი მის არსში, არც უნდათ სპეციალისტებს მოუსმინონ, თავისი კი არ იციან. ჰოდა, განა უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლას რაიმე აზრი აქვს? უმეცრებამ თავისით უნდა მოჭამოს თავისი თავი, თორემ მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდები – „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა – გულსა ჰრევდეს“.

ერთი გამგებელი დასახმარებელად მისულ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს უცხადებს: “რა გამიწყალეთ გული თქვენი ბიბლიოთეკით? რა ბიბლიოთეკა ეგაა, თქვენზე მეტი წიგნი მე სახლში მაქვს”... და საბიბლიოთეკო კვირეულის არც ერთ ღონისძიებას არ დასწრებია; მეორე კიდეც – რიხით ამბობს: “ვილას უნდა ეგ თქვენი ბიბლიოთეკა, ვინ კითხულობს ახლა წიგნსაო”... და არ იცის, რომ მკითხველი სულაც არ აკლია ამ ბიბლიოთეკას; მესამე გაიძახის: “რად გვინდა ასეთი ბიბლიოთეკა, სადაც ახალი წიგნები და გაზეთები არ შემოდისო?”... და სულაც ავიწყდება, რომ თვითონაა ვალდებული მოაგვაროს ბიბლიოთეკის დაფინანსების საქმე; ერთიც კიდეც კატეგორიულად ბრძანებს: “კარგი, ბატონო, დახურვით არ დავხურავ ცენტრალურ ბიბლიოთეკას, მაგრამ თავისით შეინახოს თავიო”, თითქოს ბიბლიოთეკა კაფე-ბარი იყოს, რაღაც შემოსავალი ჰქონდეს, გარდა გაწვევრიანებით მიღებული უსუსური სახსარისა, რისი უფლებაც კი არა აქვს.

რას იზამ, რა მათი ბრალია, როცა “ზევიდან” უთხრეს, იმდენი ბიბლიოთეკა დატოვეთ, რამდენსაც შეინახავთ და ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკას ემსგავსებაო. ჰოდა ამაზე აღვილი რაღაა: – ვერ ვინახავთ ამდენს და ვამცირებთ... ესა და ეს ბიბლიოთეკა ვერ პასუხობს ნორმებს და ვხურავთო და ა.შ. ფაქტობრივად, მათ იმის ნაცვლად, რომ საქმის გამოსწორება მოთხოვონ, სანქცია მისცეს ბიბლიოთეკების თვითნებურად შემცირებისა.

საქმე იქამდე მიდის, რომ თვით წიგნსაც “უთხრიან” სამარეს – საკმაოდ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკმა ისე განაცხადა: “წიგნი რაღა საჭიროა, როცა კომპიუტერმა შეცვალა იგიო”, რომ თითქოს საფუძვლიანად შეესწავლოს ეს პრობლემატური საკითხი, რომელსაც ასე თავგამოდებით ივლევენ მსოფლიო მნიშვნელობის სპეციალისტები და რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ ამას.

ისე, კომპიუტერის შესაძლებლობები მართლაც დიდია და თუ ამგვარი წარმატებით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ არამც თუ წიგნი, კომპიუტერს შეუძლია შეცვალოს სიმფონიური ორკესტრი, სოლისტები, კინო, თეატრი, მხატვრობა, ფოტოგრაფია, ტელეფონი, საათი, სარკე და ვინ იცის კიდეც რა! მაგან და მაგანმა შეიძლება იმის მტკიცებაც დაიწყო, კომპიუტერი სამზაველო აგრეგატადაც გამოდგებაო, მაგალითად, კვერცხები შეიძლება შეგვიწვასო...და ა.შ.

შემწვარი კვერცხი იქეთ იყოს, მაგრამ ამგვარი მიდგომით კულტურას, საერთოდ, თურმე განათლება რომ არ ჭირდება, ნაღდა, რაღად გვინდა მსახიობების, მომღერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, ბიბლიოთეკარების, არქივარიუსების, სამუზეუმო გიდების და სხვათა მომზადება? სხვების სხვამან იკითხოს, მაგრამ ბიბლიოთეკარების პროფესიულ მომზადებაზე ხმის ამოღება ნამდვილად ჩვენც გემაართებს. ამ საქმეს უძველეს დროიდან მისდევდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ.

ძველ საბერძნეთსა თუ რომში, ევროპის ქვეყნებში, რუსეთსა და საქართველოში შუა საუკუნეებში სამონასტრო სკოლებში ახალგაზრდებს წერა-კითხვასა და წიგნების გადანუსხვას რომ ასწავლიდნენ, უპირველეს ყოვლისა, ამ წიგნების მოვლა და დაცვის წესების დაუფლებას ავალდებდნენ. თანდათან დაიხვეწა ეს საქმე, განსაკუთრებით მას შემდეგ, სამოქალაქო წიგნიერება რომ გახდა დომინირებული. მერე სპეციალური სწავლებაც შემოიღეს. გაუნათლებელმა ბოლშევიკურმა რუსეთმაც კი ერთ-ერთ პირველ საგანმანათლებლო საქმიანობად ბიბლიოთეკართა მომზადება მიიჩნია და 1918 წელს სკოლის გარეშე განათლების ინსტიტუტში კულტურულ-საგანმანათლებლო კადრების მომზადება დაიწყო. 30-იანი წლების დასაწყისში მის ბაზაზე საბიბლიოთეკო ინსტიტუტიც დააარსეს, რომელიც 1964 წელს კულტურის ინსტიტუტად გადაკეთდა (სხვათა შორის, დღემდე არ გაუუქმებიათ, ამაში ნამდვილად გაუუსწართ რუსეთს).

40-50-იანი წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში და, რა თქმა უნდა, ჩვენშიც ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკართა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მწვობრი სისტემა. 1938 წლიდან საქართველოში ბიბლიოთეკარებს უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები ამზადებდნენ. გვქონდა ერთი უპრეტენზიო, ყოველმხრივ კარგად ორგანიზებული ფაკულტეტი, მას მეორეც შემოემატა. ორი უმაღლესი სასწავლებელი ამზადებდა სპეციალისტებს... მოულოდნელად, სავსებით უცერემონიოდ და გაუაზრებლად გამოაცალეს მას ნიადაგი... რა

უნდა თქვა, როცა მიაჩნიათ, რომ ბიბლიოთეკარს რა სპეციალური განათლება ჭირდება, თუკი ამ საქმეს ყველა წერა-კითხვის მცოდნე შეძლებს?

სხვათა შორის, საოცარია, მაგრამ ასე სულ არ ფიქრობდნენ სხვა ცივილიზირებულ ქვეყნებში – ამერიკა, კანადა, საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, იტალია... და თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა, ახლაც ამზადებენ პროფესიონალ ბიბლიოთეკარებს...

რა ჩამორჩენა!

აი, ჩვენ სხვა ვართ! ყველაფერს ანგარიშს ვუწევთ, წინ ვუსწრებთ მოვლენებს!.. ჩვენ ვართ, რაც ვართ! იქნებ ვურჩიოთ სხვებს, მოგვბადონ ჩვენ: ზედმეტად ნუ იხარჯებიან, აიღონ და გააუქმონ ბიბლიოთეკები, ამდენი რომ აქვთ; გააუქმონ სასწავლებლები, შეკვეცონ დაფინანსება... და რამდენ პრობლემას ერთბაშად დაადწვენ თავს, რა მოგებას ნახავენ, წარმოგიდგენიათ?

ჰოდა, ჩვენი მზე უნდა იფიცონ.

ერთიც შეგვიძლია ვურჩიოთ:

თუ მაინც და მაინც ვერ ელევიათ ამ ბიბლიოთეკებს, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკები სასკოლო ბიბლიოთეკებს შეუერთონ. ჩვენ უკვე ვნერგავთ ამგვარ “სიახლეს”. მართალია, ჩვენ არ ვართ ამ საქმის პიონერები, სხვებმა დაგვასწრეს სამასი თუ ოთხასი წლის წინათ, მაგრამ ხომ გავიგიათ: “კარგად დავიწყებული ძველი

ახალია“. მშენიანებელმა აგვარებდნენ ამ საქმეს ერთ დროს მეტროპოლიები კოლონიურ ქვეყნებში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასასრულს. საფრანგეთშიც კი ნაპოლეონის ეპოქაში სასკოლო ბიბლიოთეკებს დაავალეს მოსახლეობის მომსახურება, მაგრამ რატომღაც ფრანგებს არ მოეწონათ ეს და მალე გააუქმეს ამგვარი წესი. 1836 წელს ამერიკაში გამოიცა სანქციები, რომლებიც სასკოლო ბიბლიოთეკებს ავალებდნენ ქალაქისა და დაბა-სოფლების ბიბლიოთეკების ფუნქციების შეთავსებას. მალე აბუნტდნენ მკითხველები და ხელისუფლება იძულებული გახდა მოსახლეობისათვის ცალკე გაეხსნა ბიბლიოთეკები; ისეთ წყნარ ქვეყანაშიც კი, როგორც ბელგიაა, ამგვარი წესი რომ შემოიღეს 1860 წელს, საზოგადოება აქტიურად ახმაურდა, ეს რას გავსო, და უკუაგდეს ეს სიახლე. სხვათა შორის, ბულგარელებმაც 1891 წელს უარი თქვეს ამგვარ წესზე საზოგადოების ზედწოლით.

კარგი, ბატონო, თუკი ამათ და მათ მსგავს ხალხს არ უნდა სიკეთე, ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ უარი ამაზე? რა გვიშლის ხელს? ჩვენი ხალხი არც ამერიკელებია და არც ფრანგები, ბუნტი ატე-

ხონ ამაზე და ხმა ამოიღონ, და რატომ არ უნდა გავაკეთოთ?

ერთი სიახლეც წამოვიწყეთ: საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკების უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებისათვის შეერთება. მართალია, არც ამაში ვყოფილვართ თურმე პირველები, მაგრამ ამ საქმის აღორძინებას რომ ჩვენ მივეცი ბიძგი, ეს უტყუარია.

საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციებს ერთ დროს არაერთი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ასრულებდა: ულტრეხის, გრონინგენის, ამსტერდამის, ლუცერნის, ბაზელის, ბერნის, ლოზანის, ჟენევის, ლიეჟის და სხვებისა და სხვების. უძველესი დროიდან იყო ასეთი რამ ცნობილი; ბოლოს, ზოგი ადრე, ზოგი გვიან მაინც თავისუფლდებოდა ამ ტვირთისაგან, მაგრამ ამჟამად არაა ცნობილი, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამგვარი რამ არის თუ არა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენში რომ იყოს ასე, ვითომ რა მოხდება? წინააღმდეგობას გაბედავს ვინმე თუ რა? თუკი ეკონომიკურ სიკეთეს მოგვიტანს ეს, თანაც ვინმე ბიზნესმენსაც თუ შეგუწყოთ ხელს, ქალაქის ბიბლიოთეკის შენობა დაინარჩუნოს, ამას რა სჯობს? მართალია, კანონით ეს დაუშვებელია, მაგრამ კანონი რა შუაშია? კანონი ყველასათვის კი არ იწერება! ჰოდა, ჩვენში გადაწყვიტეს კიდევ, ეს ბათუმიდან დაეწყოთ. ჯერ არ განხორციელებულა, ცოტა აბუზღუნდა ხალხი და თავი შეიკავეს, მაგრამ არაუშავს, მცირე ხანს დავიციდით და სხვა საქმით რომ იქნება ხალხი დაკავებული, უცებ ამასაც მოვაგვარებთ. მერე უნივერსიტეტზე გადავალთ.

ისე, თურმე, პოლანდიაში ამსტერდამის უნივერსიტეტში გაუკეთებიათ ეს 1578 წელს, და თუ XVI საუკუნეში შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტისათვის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ფუნქციების შეთავსება, რატომ დღეს არ შეიძლება ეს, XXI საუკუნეში? ვურჩიოთ ჩვენს პოლანდიელ კოლეგებს, ჩვენ ხომ მათთან განსაკუთრებული სიახლოვე გვაქვს, დაგვიჯერონ და არ დარჩებიან წაგებულნი.

ასე, ჩემო წერილის უცნობო ავტორებო! ასეა ჩვენი საქმე და რა ვქნათ? გვარწმუნებენ, წინ მივდივართო, და დაუუჯეროთ უნდა. მართალია, წარსულისკენ მივდივართ, მაგრამ რაკი პირი იქეთ გვიქნია, გამოდის, რომ წინ მივდივართ... წინსვლას~ კი ვერაფერი შეაჩერებს.

დრო უნდა ყველაფერს და ჩვენც უნდა დავიცადოთ!... მაგრამ როდემდე?

თქვენი ერთგული კონწარა

ნეკროლოგი

მკიძე სინანულის განცდით



თავდადებულ, უანგარო შრომაში გალია თავისი წუთისოფელი ჩვენმა ღირსეულმა კოლეგამ, ქალბატონმა ზეინაბ გიორგის ასულმა ჯაფარიძემ. ერთი შეხედვით, მისი ცხოვრების ქრონიკა არ არის მრავალფეროვანი, მაგრამ მთელი მისი განვლილი გზა შინაარსიანი და აზრიანი იყო.

დაიბადა 1951 წლის 27 თებერვალს სოფელ ღარში. დაამთავრა ონის #1 საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე განაგრძო, მუყაითი ქალიშვილი სწავლას წარმატებით უთავსებდა შრომას – მუშაობდა სორგითის სასოფლო ბიბლიოთეკაში, საიდანაც დაიწყო მისი პროფესიული დაოსტატება. შემდეგ გადაყვანილ იქნა ონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფად, სადაც ენერგიულად მოღვაწეობდა 2006 წლის 23 აპრილამდე – მისი ტრაგიკულად აღსრულების დღემდე.

ჩვენს მეხსიერებაში ის დარჩება როგორც პატიოსანი, მეგობრული, მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ყველას გვერდში ედგა ჭირსა თუ ღზინში. მისი ნათელი ხსოვნა არ წაიშლება ჩვენს გულებში. წავიდა და დიდი სულიერი ტკივილი დაგვიტოვა. მის სევდიან საფლავს არ მოაკლდება ყვავილები და ნაკურთხი სანთლები.


ონის ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკების თანაშრომლები.



ბიბლიოთეკის მუშაკთა სარაიონთაშორისო კურს-კონფერენცია ქ. გორში. (1961 წ.)



რესპუბლიკის საბავშვო ბიბლიოთეკების კურს-კონფერენცია (1962წ)



188/9

Քաղաքացիական
Պատերազմը

Պատմություն և քաղաքագրություն
Հայաստանի և Արցախի մասին

ՔԱՂԱՅԻՆ
ԵՐԱՐԱՆ